

გამოცემის ექიმური ცენტრი

წიგნირება

PIRLS - 2006 საქართველოში

2008 წელი

„ წიგნიერება. *PIRLS* - 2006 საქართველოში”

ავტორი: ია კუტალაძე

გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

რედაქტორი: თამარ თთხმებური

ყდის დიზაინი: ქეთევან ხარებავა

წიგნიერების საერთაშორისო კვლევას საქართველოში უძღვებოდა გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი. კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მაღლობას ვუძიოთ კვლევის დეპარტამენტის კონსულტანტებს: თამარ თთხმებურს, ნინო გორდელაძეს, თამაზ ვასაძეს, თამარ გაგოძიძეს, თეონა მიმინოშვილსა და სოფო ბახუფაშვილს. ასევე, ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს მერაბ თოფურისს, ლოჯისტიკის დეპარტამანტის კონსულტანტს თემურ მარდალეიშვილს, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლებს თემურ პაფარიძესა და ქეთევან ხარებავას.

კვლევის კოორდინატორი საქართველოში: მაია მიმინოშვილი


გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი

შინაახსი

შესავალი	5
1. წიგნიერება.....	7
1.1. კითხვის დანიშნულება, მიზანი	7
1.2. წაკითხულის გააზრების პროცესები	8
1.3. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის მნიშვნელობა	10
2. კვლევის მეთოდოლოგია	12
2.1. მოზარდთა ტესტირება	12
2.2. გარემო ფაქტორების კვლევა	14
2.3. კვლევის აღმინისებრირება	17
3. კვლევის შედეგები – საქართველო და საერთაშორისო სფანდარტები	18
3.1. მოსწავლეთა მიღწევები	18
3.2. საერთაშორისო მიღწევის დონეები და საქართველო	23
3.3. საერთაშორისო მიღწევის საფეხურები – ნიმუშები და ახსნა-განმარტებები	26
3.4. საერთაშორისო მიღწევის დონეები და საქართველოს რეგიონები	36
3.5. საერთაშორისო მიღწევის დონეები და საქართველოს სკოლები	38
3.6. საქართველოს რეგიონები	40
კითხვის მიზნები და პროცესები	40
3.7. გოგონები და ბიჭები	42
3.8. ქალაქი, სოფელი	43
3.9. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე	45
3.9.1. საზოგადოებრივი ფაქტორები	45
3.9.2. სკოლის ფაქტორები	46
3.9.3. ოჯახური ფაქტორები	52
4. რას ველით	54
5. რეკომენდაციები	58
დანართი 1 – როგორ ვასწავლოთ კითხვა?	
(პრაქტიკული რჩევები პედაგოგებისათვის)	63
დანართი 2 – როგორ ვასწავლოთ კითხვა?	
(პრაქტიკული რჩევები მშობლებისათვის)	103
დანართი 3 – როგორ ფასდება წაკითხულის გააზრება	
(წიგნიერების საერთაშორისო ტესტების ნიმუშები)	119

PIRLS -2006

წიგნისაბუბოს საერთაშორისო კვლევაში მონაწილე ქვემდებ



შესავალი

2006-2007 წლებში საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვან სიახლეს ჩაეყარა საფუძველი. საქართველომ მონაწილეობა მიიღო რამდენიმე საერთაშორისო კვლევაში, რომელსაც მსოფლიოს საგანმანათლებლო სფეროში კარგად ცნობილი საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) უძღვება.

საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია შეიქმნა 1959 წელს. მისი მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის განათლების სფეროში შედარებითი კვლევების წარმოება სწავლისა და სწავლების დონის გაუმჯობესების მიზნით. საერთაშორისო კვლევა საშუალებას იძლევა, მონაწილე ქვეყნებმა შეადარონ მოსწავლეთა მიღწევების დონე საერთაშორისო სტანდარტებს, გააანალიზონ, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პოლიტიკა, სასწავლო გეგმები, სწავლების მეთოდიკა თუ საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეთა მიღწევებზე. საერთაშორისო შეფასების შედეგების ანალიზი მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ხარვეზებს და კარგ საფუძველს ქმნის იმის გადასაწყვეტად, თუ რა და რატომ არის შესაცვლელი თუ დასახვეწი სწავლების პროცესში.

საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია საერთაშორისო კვლევებს წარმართავს რამდენიმე მიმართულებით. საქართველომ მონაწილეობა მიიღო ამ ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ორ ფართომასშტაბიან კვლევაში:

- ➥ წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS) – 2006 წელი. კვლევა მიზნად ისახავს 9-10 წლის ბავშვთა კითხვის უნარის შეფასებას.
- ➥ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა (TIMSS) – 2007 წელი. ამ კვლევის ფარგლებში ხდება 9-10 და 13-14 წლის მობარდების ცოდნის შეფასება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

2008 წელს საქართველოში ასევე დაგეგმილია დაწყებითი და საშუალო სკოლების მათემატიკის მომავალი მასწავლებლების განათლების საერთაშორისო კვლევაში (TEDS-M) მონაწილეობა. როგორც ცნობილია, მასწავლებელთა კვალიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის მიღწევებსა და სწავლისადმი ინტერესის გადვივებაში. ეს კვლევა საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ, თუ რა ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პედაგოგები წარმართავენ სწავლების პროცესს კლასში და რა

უნდა შეიცვალოს მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად შეძლონ თავიანთი ცოდნისა და შესაძლებლობების რეალიზაცია.

საქართველო საერთაშორისო კვლევებში იმ პერიოდში ჩაერთო, როდესაც საშუალო განათლების სისტემაში სერიოზული რეფორმები დაიწყო. რეფორმამ მოიცვა სასწავლო გეგმები და პროგრამები, შეფასების სისტემა, სკოლის მართვა, მასწავლებელთა ტრენინგი და ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და პილოტირების კომპონენტები. ამგვარი მასშტაბური რეფორმა აუცილებლად მოითხოვდა რეფორმის ინდიკატორების განსაზღვრას და პროცესის პერიოდულ მონიტორინგს. მაღალი ხარისხის განათლება მეცნიერული კვლევების, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით მიიღწევა. სწორედ ამიტომ განათლების სისტემაში მასშტაბური ცვლილებების საწყის ეტაპზევე გადაწყდა საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო კვლევებში.

ბევრმა ქვეყანამ სწორედ საერთაშორისო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შეცვალა სასწავლო სტრატეგიები თავის საგანმანათლებლო სისტემაში და სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფის თვალსაზრისით სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია. ჩვენც ამ კვლევის შედეგებს განვიხილავთ, როგორც ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მნიშვნელოვან ინდიკატორსა და ახალი ცვლილებების კატალიზატორს.

გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც საქართველოში საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებს უძღვება, ამჯერად მოსწავლეთა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) შედეგებს წარმოგიდგენთ.

1. ნიგნიერება

მობარდის, როგორც მოქალაქის, ჩამოყალიბების პროცესში 9-10 წელი მნიშვნელოვანი ასაკია. ამ დროს საფუძველი ეყრება ძირითად საბაზო უნარებს, მათ შორის ყველაზე მთავარს – კითხვის უნარს. დაწყებით კლასებში მოსწავლე ეუფლება კითხვის ტექნიკას, ეცნობა სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, კითხულობს იმიტომ, რომ ისწავლოს, მიიღოს გარკვეული ლიტერატურული გამოცდილება, მას უყალიბდება მხატვრული გემოგნება. კითხვის უნარი უმუალო კავშირშია ზოგადად ბავშვის აზროვნების განვითარებასთან, ასე რომ, ამ ასაკში კითხვის უნარის შემოწმება გულისხმობს იმის გარკვევასაც, თუ რამდენად წარმატებული იქნება ბავშვი მომავალში, შეძლებს თუ არა მაღალი კლასების სასწავლო პროგრამის დამლევას.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მიზანია, შეამოწმოს წაკითხულის გააზრების უნარი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. კვლევაში გამოყენებული ტესტების მეშვეობით მოწმდება, რამდენად იგებს, იაზრებს ბავშვი სხვადასხვა ტიპის ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოფანა, მიზეზ-შეღებობრივი კავშირების დანახვა, პერსონაჟის ხასიათის, თვისებებისა და ქცევის მოტივის ამოცნობა, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე; ახერხებს თუ არა საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვას, გარკვეული ენობრივი და მხატვრული გამოსახვის საშუალებების გარჩევას და შეფასებას.

1.1. კითხვის განიშნელება, მიზანი

IV კლასის დამთავრებისას კითხვა, ძირითადად, ორ მიზანს ემსახურება:

1. ლიტერატურული გამოცდილების მიღება
2. ინფორმაციის მიღება და გამოყენება

კითხვა ლიტერატურული გამოცდილების მიღების მიზნით ხელს უწყობს ზოგადად კითხვის მიმართ ინტერესის და წიგნის სიყვარულის გაღვივებას. ხოლო კითხვა ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების მიზნით ეხმარება მოსწავლეს ცოდნის შეძენასა და დაგროვებაში.

1.2. ნაკითხების გააზრულის პროცესები

კითხვის მიზნებს შორის სხვაობის მიუხედავად, პროცესები და სტრატეგიები, რომლებსაც მკითხველი იყენებს ამა თუ იმ ტექსტის კითხვის დროს, მეტ-ნაკლებად საერთოა. ეს პროცესებია:

- ა. ექსპლიციტურად, ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა;**
- ბ. უშუალო დასკვნების გამოტანა;**
- გ. აზრისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე;**
- დ. ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გაამრება.**

ა. ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა

პროცესი გულისხმობს წინადადებაში ან ფრაზაში ღიად, ცხადად მოცემული ინფორმაციის, აზრის ან დეტალის დაკავშირებას შეკითხვაში მოცემულ მოსამიებელ ინფორმაციასთან. ამ დროს მკითხველს არ მოეთხოვება (ან თითქმის არ მოეთხოვება) დასკვნის გამოტანა. ეს პროცესი ხელს უწყობს ამა თუ იმ საგნის სწავლისას ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრეფისა და დაგროვების უნარის განვითარებას.

ბ. უშუალო დასკვნების გამოტანა

პროცესი გულისხმობს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციისა თუ მოსაბრებების ერთმანეთთან დაკავშირებით უშუალო დასკვნის გამოტანას. ამგვარი დასკვნის გამოტანა, ისევე როგორც ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა, უშუალოდ ტექსტს ემყარება, ოღონდ ამ დროს მკითხველის ყურადღება ტექსტის უფრო ვრცელ მონაკვეთებზე ან მთლიან ტექსტზეა მიმართული. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მკითხველს ამოიკითხოს ის, რაც ტექსტში ექსპლიციტურად არ არის მოცემული, მაგრამ ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარეობს. ის ხელს უწყობს ზოგადად კრიტიკული აზროვნების განვითარებას, განსაკუთრებით კი – არგუმენტაციის უნარის ჩამოყალიბებას.

გ. აზრის და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე

პროცესი გულისხმობს ტექსტის მთლიანობაში გაგებას, ტექსტში მოცემული აზრებისა და ინფორმაციის გააზრებას, როგორც მთელი ტექსტის, ისე მისი ცალკეული

პასაჟის იმპლიციტური (ფარული) შინაარსის ამოცნობას და ინტერპრეტაციას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირების საფუძველზე. ეს პროცესი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, განსჯის უნარის განვითარებას. IV კლასის დამთავრებისას ამ პროცესის ფარგლებში მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ტექსტის მთავარი იდეის, ძირითადი აზრის, თემის ამოცნობა;
- მთლიანად ნაწარმოების ან პერსონაჟის განწყობის ამოცნობა;
- ნაწარმოებში მომხდარი ამბის, მოვლენის, აგრეთვე პერსონაჟის მდგომარეობის ან მოქმედების მოტივის ამოცნობა;
- საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისგან გარჩევა;
- გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- ბოგადად წიგნიერებასთან დაკავშირებული გამოცდილების და ცოდნის გამოვლენა.

ღ. ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გაამრება

პროცესი გულისხმობს ტექსტის ენობრივი და მხატვრული გამოსახვის საშუალებების გარჩევას და შეფასებას, რაც ხელს უწყობს ტექსტის ესთეტიკური აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. IV კლასის დამთავრებისას თავისი ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- რეალურსა და შეთხმულს (მხატვრულ პირობითობას) შორის განსხვავების დანახვა; მხატვრული ქანრების – ბდაპრის, იგავის, ლექსის, აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის (ისტორიული, საბუნებისმეტყველო, სალექსიკონო) ტექსტების სპეციფიკის ცოდნის გამოვლენა;
- მხატვრულ ტექსტში გამოსახვის საშუალებათა (დიალოგის, აღწერის, დახსიათების), აგრეთვე, მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების) ამოცნობა.

გემოთ განხილული ოთხივე პროცესი წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მოწმდება მხატვრული და საინფორმაციო ხასიათის ტექსტების მეშვეობით. მოქმედებები, რომლებსაც მოსწავლე მიმართავს ამ პროცესების დროს, არის: იდენტიფიცირება, პროდუცირება, თავისუფალი პროდუცირება.

1.3. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის მნიშვნელობა

წიგნის კითხვა ბავშვებს სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობაში, თვალსაწიერის გაფართოებაში ეხმარება. სწორედ ბავშვობაში გაღვივებული კითხვის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ მობარდებს. კითხვის უნარის განვითარება აღრეული ასაკიდან, ხშირ შემთხვევაში, ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკიდან იწყება და ამ უნარის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის საკმაოდ დიდი დროა საჭირო. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ გრუნავენ მოსწავლეთა წიგნიერებაზე სხვადასხვა ქვეყნებში, რას და როგორ კითხულობენ ქართველი ბავშვების თანატოლები მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებიც PIRLS-ის კვლევაში არიან ჩართული.

მსოფლიოს 45 ქვეყნის ბავშვები – ინგლისიდან, შვედეთიდან, გერმანიიდან, მაკედონიიდან, პოლანდიიდან, სამხრეთ აფრიკიდან და სხვა მრავალი ქვეყნიდან ქართველ ბავშვებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას ამ კვლევაში: ისინი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ტექსტებს კითხულობდნენ და თანდართულ ტესტურ კითხვებზე პასუხობდნენ. კვლევის ამგვარი უნიფირება მოსწავლეთა მიღწევებისა და წიგნიერების ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენის, შედარებისა და განგოგადების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. კვლევაში ჩართული ყველა ქვეყნისთვის კვლევის შედეგები უდიდეს ინტერესს წარმოადგენს, ხოლო შედეგების ანალიზი ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის ანალიზისა და პრობლემების დამლევის აღეკვატური სტრატეგიის შემუშავების საუკეთესო საშუალებაა.

რატომ იყო და არის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოსწავლეთა წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობა?

1. ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ, კითხვის უნარია. წიგნიერება სწავლის საფუძველია. სწორედ ამიტომაც რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მოსწავლეთა წიგნიერების განვითარების ხელშეწყობაა. კითხვის საბაზო უნარის ჩამოყალიბება აღრეულ ასაკში, სასკოლო პერიოდის პირველივე ეტაპზე ხდება და ის ხელს უწყობს იმ სააზროვნო პროცესების განვითარებას, რომლებიც ეფექტური სწავლების და სწავლის წინაპირობაა საშუალო განათლების მომდევნო საფეხურებზე. „მობარდები, რომელთაც უჭირთ კითხვა, მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან სკოლაში სწავლისას

და ხშირ შემთხვევაში ვერ ავლენენ თავიანთ პოტენციალს ვერც სკოლაში და ვერც ცხოვრებაში” (Basic Skills Agency, 1997), მოსწავლეთა წიგნიერების კვლევა საშუალებას იძლევა სწავლების საწყის საფეხურზე შევაფასოთ მოსწავლეთა კითხვის უნარი და ის კონტექსტი, რომელშიც მიმდინარეობს ამ უნარის განვითარება (ოჯახი, სასკოლო რესურსები, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ.), გარდავქმნათ და გავაუმჯობესოთ კითხვის სწავლების პროცესი, რითიც ხელს შევუწყობთ, ერთი მხრივ, სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საშუალო განათლების მომდევნო საფეხურებზე და, მეორე მხრივ, დავეხმარებით მობარდს სოციალიზაციასა და პიროვნულ განვითარებაში.

2. PIRLS შედარებითი კვლევა. ის წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილების გამიარებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ტენდენციების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. საზოგადოდ, ამ ტიპის შეფასებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სწავლისა და სწავლების დონის გაუმჯობესებას ემსახურება. საერთაშორისო შეფასების შედეგების ანალიზი მკაფიოდ აკლენს, თუ რა არის შესაცვლელი თუ დასახვეწი სწავლების პროცესში, და ბოგადად, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში.
3. PIRLS საერთაშორისო კვლევა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველ ხეთ წელიწადში ერთხელ ტარდება. კვლევის ამგვარი ციკლურობა ამ სფეროში ცალკეული ქვეყნის პროგრესის შეფასების საშუალებას იძლევა. ეს კი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს გულისხმობს. კვლევების ამგვარი პერიოდულობა საშუალებას გვაძლევს დინამიკაში, უნიფიცირებული მეთოდოლოგიით შევაფასოთ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები (კონკრეტული ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, ცვლილებები ეროვნულ სახწავლო გეგმაში და განათლების რეფორმის სხვა ასპექტები). ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომლის საგანმანათლებლო სისტემაში ამ ეტაპზე მასშტაბური რეფორმები მიმდინარეობს. საერთაშორისო კვლევები ამ რეფორმების შედეგების დინამიკაში ხედვის საშუალებას იძლევა, რაც, ბუნებრივია, დაგვეხმარება ორიენტირების დაზუსტებასა და ცვლილებების დაგეგმვაში.

4. ჩვენი ქვეყანა მიისწოდაფის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისაკენ, რომლის განუყოფელი ნაწილიც ის საუკუნეების განმავლობაში იყო. ამდენად, ქროსკულტურული შედარებითი კვლევის მონაცემები, შეღებების ანალიზი და რეკომენდაციები იქნება **საერთაშორისო სტანდარტების მესაბამისი მაღალი ხარისხის განათლების** მიღწევის საუკეთესო წინაპირობა.

2. ავივის მეთოდოლოგია

წიგნიერების საერთაშორისო კვლევა ორი ნაწილისაგან შედგება:

1. მობარდთა ტესტირება მათი კითხვის უნარის შემოწმების მიზნით.
2. იმ გარემოს კვლევა, რომელშიც ყალიბდება მოსწავლის კითხვის უნარი (საგანმანათლებლო ხისტემა, სახელმწიფო გეგმა, ხელა, მასწავლებელი, ოჯახი და ა.შ.)

2.1. მოზარდთა ტესტირება

მოსწავლეთა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ტესტი შექმნილია ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოსტონის კოლეჯის ექსპერტების მიერ. კითხვის უნარის შესაფასებლად კვლევაში სულ გამოყენებული იყო 12 ბუკლეტი. ეს ბუკლეტები კვლევაში ჩართულ ყველა ქვეყანაში ითარგმნა და ადაპტირდა, ექსპერტების მიერ შეფასდა თარგმანის ხარისხი, ორიგინალთან შესაბამისობა. ძირითადი კვლევის ადმინისტრირებამდე კვლევაში ჩართულ ყველა ქვეყანაში ჩატარდა კვლევის პილოტირება (2005 წელი). ამგვარი საცდელი ტესტირების მიზანი, ჩვეულებრივ, კვლევის ინსტრუმენტების დახვეწაა. კვლევის აპრობაციაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს 40 სკოლის 1500 მოსწავლე.



ტესტის შინაარსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვა, ძირითადად, ორ მიზანს ემსახურება, ესენია: ლიტერატურული გამოცდილების მიღება და ინფორმაციის მიღება და გამოყენება. თუ რამდენად არის მიღწეული კითხვის ეს ორი ძირითადი მიზანი, ეს ტესტში გამოყენებული 5 საინფორმაციო ტექსტისა და 5 მხატვრული ნაწარმოების საშუალებით შეფასდა.

ტესტი	ღავალების ჩამოენობა	აჩვევითპასუხიანი ღავალების ჩამოენობა	ლია კითხვიანი ღავალების ჩამოენობა	ჯამური ჭრა
მხატვრული ტექსტი	64	34	30	85
საინფორმაციო ტექსტი	62	30	32	82
სულ	126	64	62	167

პროცესები და სტრატეგიები (ექსპლიციურად მოცემული ინფორმაციის პოვნა, უშუალო დასკვნების გამოფანა, ამრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე, ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გააზრება) ტესტში შემდეგი თანაფარდობით შემოწმდა:

კითხვის პერიესები და სტატეგიები	ღავაცებების %	ღავაცებების ჩამოენობა	აჩჩევითპასუხის ნი ღავაცებების ჩამოენობა	ლიანი კითხვის პერიესი გავაცებების ჩამოენობა	ჯამური ჭრა
ექსპლიციურად მოცემული ინფორმაციის პოვნა	22	31	19	12	36
უშუალო დასკვნის გამოფანა	28	43	29	14	47
აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე	37	34	6	28	61
ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გააზრება	14	18	10	8	23
სულ	100	126	64	62	167

2.2. გახემო ფაქტორების ავლენა

კვლევაში გამოყენებული იყო 5 კითხვარი:

- ➡ მოსწავლის კითხვარი;
- ➡ მშობლის კითხვარი;
- ➡ მასწავლებლის კითხვარი;
- ➡ სკოლის კითხვარი – დირექტორებისათვის;
- ➡ სასწავლო გეგმის კითხვარი.


ამ კითხვარების საშუალებით შეიკრიბა ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებაზე. სპეციალური კომპიუტერული პროგრამით მოსწავლის ტესტირების შედეგები და მისი კითხვარი

დაუკავშირდა მისი მასწავლებლის, დირექტორისა და მშობლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ამგვარი მიღვომა ცალკეული მოსწავლის მიღწევების ინტერპრეტირების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

ქვემოთ წარმოდგენილია წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი მოსწავლის ტესტის ბუკლეტი და კითხვარი. ასევე, მისი მშობლის, პედაგოგისა და დირექტორისთვის განკუთვნილი კითხვარები, რომელთა საშუალებითაც ვიღებდით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორია ამ მოსწავლის ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი, რა მეთოდს იყენებს მისი პედაგოგი კითხვის უნარის გასავითარებლად, რას აკეთებს მისი სკოლა მოსწავლეთა წიგნიერების ხელშესაწყობად და ა. შ.



კომპლექსურად მიღებული ინფორმაციის შეჯერება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ – რაფომ აქვს მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს/კონკრეტულ მოსწავლეს უკეთესი თუ უარესი შედეგი? როგორია მისი დამოკიდებულება კითხვისადმი, რა სიხშირით კითხულობს, რას კითხულობს, ანიჭებს თუ არა სიამოვნებას კითხვა, რა სირთულეები აქვს კითხვაში, როგორია კითხვის სწავლების პროცესის მისეული აღქმა; როგორია სკოლის საგანმანთლებლო რესურსი (ბიბლიოთეკა, წიგნიერებასთან დაკავშირებული სასკოლო აქტივობებიდა ა. შ.), სწავლების რა მეთოდოლოგიას იყენებენ პედაგოგები (პედაგოგების კვალიფიკაცია კითხვის სწავლების მეთოდოლოგიაში, პროფესიული განვითარებისათვის მათ მიერ გაწეული აქტივობები, სამუშაო გამოცდილება და ა. შ); როგორ ეხმარება ოჯახი ბავშვებს კითხვის უნარის განვითარებაში, როგორია ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი (მშობელთა განათლება, კითხვისადმი დამოკიდებულება, წიგნების რაოდენობა ოჯახში და ა. შ).



მოსწავლეთა მიღწევების და მათი განმაპირობებელი ფაქტორების ამგვარი კვლევა საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, რა ფაქტორები უწყობს ხელს ან აფერხებს მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებას როგორც საზოგადოდ, ისე კონკრეტულ ქვეყანაში. საერთაშორისო კვლევა იძლევა იმ ფაქტორების განზოგადების საშუალებას, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებას, და საზოგადოდ, სწავლისა და სწავლების პროცესს მთელს მსოფლიოში. ამგვარ ინფორმაციას,

ბუნებერივია, განსაკუთრებული ღირებულება აქვს კვლევაში ჩართული ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმართვისათვის.

2.3. კვლევის აღმინისცემის

2006 წლის წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობდა 45 ქვეყანა, ტესტირება ჩატარდა 45 ენაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 215 000 მოსწავლემ, 185 000 მშობელმა, 11 000 მასწავლებელმა, 7 600 სკოლამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტესტირების პერიოდისთვის მოხვავდეთა ასაკის დიაპაზონი საშუალოდ $9.7-11.9$ წელი იყო (საერთაშორისო მაჩვენებელი). საქართველოში მოხვავდეთა საშუალო ასაკი – 10.1 წელი.

საქართველოდან წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში ჩართული იყო თბილისისა და საქართველოს რეგიონების – აჭარის, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხემ-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, აფხაზეთის¹, კახეთის სკოლები, სულ – 149 სკოლა. სკოლები წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობის მისაღებად შემდეგნაირად შეირჩა: საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მონაცემთა ბაზა გაიგზავნა კანადაში, ასოციაციის კონტრაქტორ ორგანიზაციაში, სადაც მოხდა სკოლების შერჩევა ყველა წესის დაცვით. კვლევაში მონაწილეობდა:

- ▶ IV კლასის 4 350 მოსწავლე;
- ▶ 4 341 მშობელი;
- ▶ 225 პედაგოგი
- ▶ 149 ღირექტორი

ტესტირებას სკოლებში პედაგოგებმა ჩაატარეს. მათთვის ითარგმნა და ადაპტირდა ასოციაციის მიერ მომზადებული ტესტირების ჩატარების ინსტრუქციები (სკოლის კოორდინაციონისა და ტესტირების ჩამდგარებლის სახელმძღვანელო). ამგვარი ინსტრუქციების მკაცრი დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ კვლევა ყველა ქვეყანაში ერთსა და იმავე პირობებში ჩატარდეს, სხვაგვარად აზრს კარგავს კვლევის მონაცემების შედარებითი ანალიზი. იმის გამო, რომ ჩვენს სკოლებში ამგვარი კვლევების ჩატარების გამოცდილება არ არსებობდა, გამოცდების ერთვნულმა ცენტრმა ჩაატარა სამუშაო

¹ კვლევაში მონაწილეობდა აფხაზეთის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე სკოლა.

სემინარი იმ სკოლების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჩართული იყვნენ პლევაში.

პლევაში ჩართულ ყველა ქვეყანაში ტესტირებას თვალყურს აღევნებდნენ საერთაშორისო მონიტორები (დამკვირვებლები), რომლებიც პლევის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციას. საქართველოში ტესტირებას ასევე ესწრებოდნენ გამოცდების ეროვნული ცენტრის დამკვირვებლები.

გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩატარდა გამსწორებელთა ტრენინგი. გამსწორებლებმა სპეციალურად შექმნილი უნიფიცირებული შეფასების სქემების მიხედვით გაასწორეს მოსწავლეთა ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ ნაშრომთა 50%, რომელიც სპეციალური კომპიუტერული პროგრამით შეიძჩა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორჯერ გასწორდა იმის შესაფასებლად, თუ რამდენად უნიფიცირებულად, ობიექტურად და ადეკვატურად იყო შეფასებული გამსწორებლების მიერ მოსწავლეთა ნაშრომები. მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორების შემდეგ შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც გაიგზავნა გერმანიაში (DPC) საერთაშორისო მონაცემთა ბაზის ფორმირებისა და სტატისტიკური ანალიზისათვის.


3. კვლევის შეღებები – საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები

3.1. მოსწავლეთა მილნევები


საუბარს ბავშვთა მიღწევების მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგები სიით დავიწყებთ. როგორია ქართველი ბავშვების წიგნიერების დონე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბავშვთა წიგნიერების დონესთან მიმართებით?

► ქართველ ბავშვებს PIRLS-ის საერთაშორისო სკალირებულ საშუალობები დაბალი მიღწევები აქვთ. მათი წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი 471-ია, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება PIRLS-ის საშუალო მაჩვენებელს. (*PIRLS-ის სტანდარტულ სკალაზე საშუალოა 500, სტანდარტული გადახრა – 100*).

შიგნივრებაში მოსავალთა მიღწევების მიხედვით შედგენილი რეიტინგული სია



◀ ქართველ ბავშვებს მხატვრული ტექსტების გააჩრებაში უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ (სკალირებული საშუალო – 478), ვიდრე საინფორმაციო ტექსტების გააჩრებაში (სკალირებული საშუალო – 467), თუმცა ორივე შემთხვევაში ეს შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება PIRLS-ის საერთაშორისო სკალირებულ საშუალოს.



- ◀ წაკითხულის გააჩრების ოთხი პროცესის მიხედვით მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველ მოსწავლეებს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ იმ ტიპის დაგალებებში, რომლებიც მოითხოვს ექსპლიციურად მოცემული ინფორმაციის პოვნას და უშუალო დასკვნის გამოყანას (479), შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ ტექსტის ინტერპრეტაციასა და ინტეგრირებასთან დაკავშირებულ დავალებებში.
- ◀ PIRLS 2006-ში, ისევე, როგორც PIRLS 2001-ში, გოგონებმა უფრო მაღალი მიღწევები აჩვენეს, ვიდრე ბიჭებმა. გოგონებს საერთაშორისო საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ბიჭებს კი – დაბალი.

რეიტინგული სია ზაკითხულის გააზრდის პროცესში მიხედვით

ქვეყნები	ინფორმაციის ამოცნება და უფალო დასკვნის გამოთანა	ინტერესითაცია, ინტერაცია და უფასება	სავარაუ (აპსილუტრი შემთხვევების)	სავარაუ	
				ინფორმაციის ამოცნება და უფალო დასკვნის გამოთანა	ინტერესითაცია ინტერაცია და უფასება
მოლდოვა	486 (2.9)	515 (2.9)	29 (1.7)		
კანადა, ონტარიო	543 (3.1)	563 (2.9)	19 (1.6)		
ბულგარეთი	538 (4.2)	553 (4.4)	15 (1.5)		
კანადა, ახალი შოტლანდია	533 (2.2)	548 (2.0)	15 (0.8)		
ახალი ჰელანგია	524 (2.3)	538 (2.2)	14 (1.3)		
აშშ	532 (3.3)	546 (3.3)	14 (0.9)		
იტალია	544 (2.8)	556 (2.9)	12 (1.1)		
კანადა, ბრიტ-კოლუმბია	551 (2.8)	562 (2.5)	11 (1.4)		
ლიტვა	534 (2.5)	545 (1.9)	11 (1.2)		
კანადა, ალბერტი	553 (2.6)	564 (2.3)	11 (1.2)		
უნგრეთი	544 (2.8)	554 (3.0)	10 (1.9)		
ინგლისი	533 (2.8)	543 (2.4)	10 (1.1)		
ლიტვა	531 (1.9)	540 (1.6)	9 (1.2)		
ისრაელი	507 (3.2)	516 (3.6)	9 (1.4)		
პონგ-კონგი	558 (2.5)	566 (2.4)	8 (1.3)		
ესპანეთი	508 (2.5)	515 (2.6)	7 (1.1)		
პოლონეთი	516 (2.4)	522 (2.3)	6 (1.6)		
სლოვენია	519 (2.1)	523 (2.0)	5 (0.8)		
შოტლანდია	525 (2.8)	528 (2.6)	4 (1.9)		
ბელგია (ფლ.)	545 (1.9)	547 (1.8)	3 (1.2)		
სლოვაკეთის რესპუბლიკა	529 (2.8)	531 (2.8)	2 (0.8)		
რუმინეთი	489 (5.2)	490 (5.3)	1 (1.2)		
რუსეთის ფედერაცია	562 (3.4)	563 (3.2)	0 (1.7)		
კანადა, კვებელი	533 (2.7)	531 (2.7)	2 (1.1)		
ტრინიდადი და ტობაგო	438 (4.7)	437 (5.0)	2 (1.9)		
შვედეთი	550 (2.4)	546 (2.2)	4 (1.0)		
ბელგია (ფრ.)	501 (2.6)	497 (2.5)	4 (1.2)		
სინგაპური	560 (3.3)	556 (2.7)	5 (1.1)		
ინდონეზია	409 (3.9)	404 (4.1)	5 (1.5)		
საფრანგეთი	523 (2.1)	518 (2.3)	6 (1.1)		
მაკედონია	446 (3.8)	439 (4.0)	7 (1.6)		
ნორვეგია	502 (2.3)	495 (2.4)	7 (1.2)		
დანია	551 (2.7)	542 (2.3)	9 (1.9)		
ნიდერლანდები	551 (2.0)	542 (1.5)	9 (1.6)		
ირანის ისლამ. რეს.	428 (3.3)	418 (3.3)	10 (1.5)		
ტაივანი	541 (2.0)	530 (1.9)	11 (0.7)		
ისლანდია	516 (1.2)	503 (1.3)	13 (1.2)		
ავსტრია	544 (2.1)	530 (2.2)	14 (0.9)		
გერმანია	555 (2.6)	540 (2.2)	14 (1.5)		
საქართველო	478 (3.3)	461 (3.5)	17 (1.3)		
ლუქსემბურგი	565 (1.2)	548 (0.9)	17 (1.0)		
კუვეიტი	337 (3.9)	+ +	+ +		
მარკეკ	336 (6.2)	+ +	+ +		
კატარი	361 (1.2)	+ +	+ +		
სამხრეთ აფრიკა	307 (5.3)	+ +	+ +		

საშუალოებს ზორის სხვაობა სტანდარტის მიხედვით

მგებები	გოგონები		გიგები		გოგონების და გიგების გიგანტებს საშუალოება ზორის სხვაობა
	%	საშუალო სტანდარტი პულა	%	საშუალო სტანდარტი პულა	
ლუქსემბურგი	49 (0.7)	559 (1.3)	51 (0.7)	556 (1.6)	3 (2.0)
ესმაენთი	49 (1.1)	515 (2.6)	51 (1.1)	511 (3.1)	4 (2.8)
ბელგია (ფრ.)	50 (0.7)	502 (2.8)	50 (0.7)	497 (2.9)	5 (2.3)
უნგრეთი	50 (0.9)	554 (3.6)	50 (0.9)	548 (2.9)	5 (2.6)
ბურგა (ფრ.)	50 (0.9)	550 (2.3)	50 (0.9)	544 (2.4)	6 (2.5)
იტალია	48 (0.8)	555 (3.3)	52 (0.8)	548 (3.3)	7 (2.9)
ნიდერლანდები	51 (0.8)	551 (2.0)	49 (0.8)	543 (1.6)	7 (2.2)
გერმანია	49 (0.7)	551 (2.5)	51 (0.7)	544 (2.5)	7 (2.6)
კანადა, ალბერტა	48 (0.8)	564 (2.4)	52 (0.8)	556 (2.7)	8 (1.9)
კანადა, ბრიტ.კოლუმბია	50 (0.8)	562 (2.9)	50 (0.8)	554 (3.1)	9 (3.0)
ავსტრია	49 (0.7)	543 (2.3)	51 (0.7)	533 (2.6)	10 (2.3)
აშშ	51 (0.7)	545 (3.3)	49 (0.7)	535 (4.4)	10 (3.2)
ჰონგ-კონგი	49 (1.3)	569 (2.5)	51 (1.3)	559 (2.8)	10 (2.5)
საფრანგეთი	48 (0.7)	527 (2.4)	52 (0.7)	516 (2.4)	11 (2.5)
სლოვაკეთის რესპუბლიკა	49 (0.8)	537 (2.7)	51 (0.8)	525 (3.3)	11 (2.5)
კანადა, კვებეკი	49 (1.0)	539 (2.7)	51 (1.0)	527 (3.5)	13 (3.0)
კანადა, ონტარიო	49 (1.1)	562 (3.3)	51 (1.1)	549 (3.3)	13 (3.8)
ტაივანი	48 (0.5)	542 (2.2)	52 (0.5)	529 (2.3)	13 (1.9)
დანია	52 (0.9)	553 (2.8)	48 (0.9)	539 (2.7)	14 (3.2)
მოლდოვა	50 (1.0)	507 (3.1)	50 (1.0)	493 (3.5)	14 (2.5)
ირანის ისლამური რესპ.	46 (1.1)	429 (5.3)	54 (1.1)	414 (3.8)	14 (6.7)
რუმინეთი	48 (1.0)	497 (5.0)	52 (1.0)	483 (5.7)	14 (4.2)
ისრაელი	48 (1.2)	520 (4.1)	52 (1.2)	506 (3.7)	15 (4.0)
რუსეთის ფედერაცია	51 (0.9)	572 (3.9)	49 (0.9)	557 (3.4)	15 (2.9)
სინგაპური	48 (0.6)	567 (3.1)	52 (0.6)	550 (3.3)	17 (2.9)
ჰოლონეთი	51 (0.8)	528 (2.6)	49 (0.8)	511 (2.7)	17 (2.6)
საქართველო	48 (1.0)	480 (3.3)	52 (1.0)	463 (3.8)	17 (3.2)
მარიკო	47 (1.0)	332 (6.6)	53 (1.0)	314 (6.6)	18 (5.8)
შვედეთი	48 (1.1)	559 (2.6)	52 (1.1)	541 (2.6)	18 (2.5)
ლიტვა	49 (0.9)	546 (2.0)	51 (0.9)	528 (2.0)	18 (2.2)
ისლანდია	50 (0.9)	520 (1.7)	50 (0.9)	501 (1.9)	19 (2.5)
ნორვეგია	49 (1.1)	508 (2.8)	51 (1.1)	489 (3.1)	19 (3.2)
ინგლისი	50 (0.9)	549 (3.0)	50 (0.9)	530 (2.8)	19 (2.7)
სლოვენია	48 (0.7)	532 (2.1)	52 (0.7)	512 (2.7)	19 (2.5)
ინდონეზია	49 (0.9)	415 (4.2)	51 (0.9)	395 (4.6)	20 (3.3)
ბულგარეთი	49 (1.0)	558 (4.4)	51 (1.0)	537 (5.0)	21 (3.8)
კანადა, აბ. შოტლანდია	49 (0.7)	553 (2.5)	51 (0.7)	531 (2.8)	21 (3.2)
გაერმანია	49 (0.7)	453 (4.4)	51 (0.7)	432 (4.4)	21 (3.5)
შოტლანდია	51 (0.9)	538 (3.6)	49 (0.9)	516 (3.1)	22 (3.8)
ლატვია	48 (1.0)	553 (2.7)	52 (1.0)	530 (2.6)	23 (2.7)
ახალი ზელანდია	49 (0.9)	544 (2.2)	51 (0.9)	520 (2.9)	24 (3.1)
ტრინიდადი და ტობაგო	49 (1.7)	451 (4.9)	51 (1.7)	420 (6.0)	31 (5.6)
სამხრეთ აფრიკა	52 (0.6)	319 (6.3)	48 (0.6)	283 (5.5)	36 (4.6)
კატარი	50 (0.2)	372 (1.7)	50 (0.2)	335 (1.7)	37 (2.6)
კვევიტი	50 (2.0)	364 (4.7)	50 (2.0)	297 (6.2)	67 (7.5)
საერთ. საშუალო	49 (0.2)	509 (0.6)	51 (0.2)	492 (0.6)	17 (0.5)

● საშუალოთა შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია

3.2. საერთაშორისო მილნევის ღონიერი და საქართველო

PIRLS-ის კვლევაში გამოყოფილია მოსწავლეთა მიღწევის 4 საფეხური:

უმაღლესი საფეხური – ≥ 625 ქულა

მაღალი საფეხური – ≥ 550 ქულა

საშუალო საფეხური – ≥ 475 ქულა

დაბალი საფეხური – ≥ 400 ქულა


როგორ განისაზღვრა საერთაშორისო მიღწევის ღონიერი და რა პრინციპით დადგინდა მაღალი, საშუალო და დაბალი საფეხურების შესაბამისობა ყოველი დავალებისათვის?

მოსწავლეთა მონაცემების ანალიზთან ერთად ხდება იმ დავალებების ექსპერტული შეფასება, რაც კარგად განასხვავებს სხვადასხვა მიღწევის მქონე მოსწავლეებს. განისაზღვრა, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ და რას აკეთებენ მოსწავლეები მიღწევის უმაღლეს, მაღალ, საშუალო და საშუალობები დაბალ საფეხურები. მაგალითად, არჩევითასეხიანი დავალება ფასდება, როგორც საერთაშორისო მიღწევის უმაღლესი საფეხურის შესატყვისი, თუ 625 ქულით შეფასებულ მოსწავლეთა (*უმაღლესი საფეხური*) 65%-მა და 550 ქულით შეფასებულ მოსწავლეთა (*მაღალი საფეხური*) 50%-მა წარმატებით გაართვა თავი ამ დავალებას; ანუ გამოიყო ის დავალებები, რომლებსაც წარმატებით ასრულებდა მიღწევის კონკრეტულ ღონებებს მყოფი მოსწავლე და ვერ წყვეტდა მიღწევის უფრო ქვედა დონეზე მყოფი მოსწავლე² სიცხადისათვის: მოსწავლე, რომლის მიღწევა მაღალ საფეხურს შეესაბამება, წარმატებით ართმევს თავს საშუალო და დაბალი საფეხურის შესაბამის დავალებებს; მოსწავლე, რომლის მიღწევაც უმაღლეს საფეხურს შეესაბამება, ძლევს მაღალი, საშუალო და დაბალი საფეხურის შესატყვის დავალებებს. სწორედ ამიტომ სტატისტიკური ანალიზისას, ძირითადად, კუმულაციურ პროცენტებს ვიყენებთ.

მიღწევის საერთაშორისო ღონიერის (საფეხურების) მიხედვით შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 1%-მა დაძლია PIRLS-ის საერთაშორისო სკალის უმაღლესი საფეხური, მაღალი – მოსწავლეთა 15%-მა, საშუალო – 50%-მა, დაბალი კი – 82%.

მოსწავლეთა 18% აღმოჩნდა მიღწევის საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ.


² Scale anchoring ანალიზი



მონაწილე ქვეყნების უმრავლესობაში მცირე რაოდენობაში (7% ან ნაკლები, საქართველოში – 1%) მიაღწია PIRLS 2006 საერთაშორისო სკალის უმაღლეს საფეხურს, იმ დროს, როცა ასეთი მოსწავლეების რაოდენობა რუსეთის ფედერაციასა და სინგაპურში თითქმის ერთი მეხუთედია. მობარდებს, რომლებიც ამ საფეხურს აღწევენ, აქვთ ინტერარეტირებისა და არგუმენტირების, ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ინტეგრირების უნარი, შეუძლიათ ლიტერატურული და საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული თავისებურებების აღქმა და გააბრება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კვლევაში ჩართულ 45 ქვეყანაში მოსწავლეთა პროცენტულ გადანაწილებას მიღწევის საფეხურების მიხედვით. ცხრილიდან ჩანს, რომ სინგაპურის, რუსეთის ფედერაციის, კანადის მოსწავლეთა მნიშვნელოვანმა პროცენტმა დაძლია უმაღლესი და მაღალი საფეხურისთვის დასახული ამოცანები.

მოსაზღვრეთა პროცენტული რაოდენობა, რომელიც გაიაღდია PIRLS 2006-ში კითხვის უნარისათვის დაგენერილ საერთაშორისო სტანდარტებს/საკუთრებას



3.3. საექიმოური მიღწევის საფეხური – ნიმუში და ახსნა-განმახუბები

იმისთვის, რომ შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა მიღწევის საერთაშორისო საფეხურების შესახებ, ქვემოთ წარმოვადგენთ თითოეული საფეხურის მოკლე აღწერასა და ტესტურ დავალებათა ტიპურ ნიმუშებს. ნიმუშები აღებულია წიგნიერების კვლევაში ჩართული ქართველ მოსწავლეთა ნამუშევრებიდან.

დაბალი საფეხური

ამ საფეხურზე მოსწავლეები მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების კითხვისა და გააზრებისას ახერხებენ იმ ტესტურ კითხვებზე პასუხის გაცემას, რომლებიც, ძირითადად, არ საჭიროებს დასკვნების გამოტანას ან ტექსტის ინტერპრეტაციას. მათ შეუძლიათ ტექსტში ექსპლიციურად მოცემული ინფორმაციის პოვნა, ამოცნობა და რეპროდუქცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამოსაცნობი დეტალები ტექსტის დასაწყისშია მოცემული. ამ საფეხურზე მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ტექსტზე დაყრდნობით უშეალო დასკვნის გამოტანას გულისხმობს.

მხატვრობის ტესტები

ნიმუში № 1

7. რამ შეამტკრია საძინებელი ოთახის კარი?

- მას ნიანგმა კუდი დაარტყა.
- მას დიდი ლარნაკი მოხვდა.
- იგი ფლამინგოს ბასრმა ნისკარტმა გატეხა.
- მას საწოლი დაეჯახა.

ეს ნიმუში აღებულია მოთხოვნიდან „საოცრებათა დამე“³ დავალება მოითხოვს ტექსტში ექსპლიციურად მოცემული ინფორმაციის პოვნას, ამოცნობასა და

³ მოთხოვნის სრული ტექსტი თავისი ტესტური დავალებებით იხ. დანართი 3.

რეპროდუქციას. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 82%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 77%)⁴.

ნიმუში N 2

9. რა გრძნობა გაუჩნდა ანინას ფლამინგოების მიმართ მოთხოვნის ბოლოს?

- ა) დანაშაულის
- ბ) სიფრთხილის
- გ) მაღლიერების
- დ) გაღიზიანების

„საოცრებათა ღამე“.


ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 70%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 69%)

საინფორმაციო ტესტები

ნიმუში N 3

1. სად მდებარეობს გლობუსზე ანტარქტიდა ?

 ნუსახელე მდებარეობს გლობუსზე ანტარქტიდა



ნიმუში აღებულია საინფორმაციო ტექსტიდან „ანტარქტიდა“⁵. ეს ინფორმაცია ექსპლიციურად არის მოცემული ტექსტის დასაწყისში. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 84%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 81%)

⁴ ბავშვთა მიღწევების მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგები ხის ხათავები მყოფ ქვეყნებში (რუსთა, პონგ-კონგი და ტაივანი) ამ კითხვაზე მოსწავლეთა 90%-მა უპასუხა სწორად.

⁵ მოთხოვნის ხრული ტექსტი თავისი ტექსტური დაგაღებებით იხ. დანართი 3.

ნიმუში № 4

4. დაფიქრდი რას მოგვითხობს ეს ტექსტი ანტარქტიდის შესახებ. დაასახელე თრი მიზეზი, თუ რატომ არ ირჩევენ იქ გასამგზავრებლად პერიოდს აპრილიდან სექტემბრამდე?

(1) 1. იუ მდგრადის აკ ხოჯას ნუსაფრ.

(2)
0
8
9

(1) 2. იუკო ხო აკ ქაბ ზოგანს. იუკო ხო

კუჭა ღამ პატარე ნუსაფრა ნუსაფრ იხის.

„ანტარქტიდა”.

მიღწევის დაბალ საფეხურზე მყოფი ქართველი მოსწავლეების 55% ახერხებს მოიყვანოს ტექსტი წარმოდგენილი მიზეზებიდან მხოლოდ ერთი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ არის მიბანშეწონილი ანტარქტიდაში მოგზაურობა აპრილიდან სექტემბრამდე (საერთაშორისო საშუალოა 55%). ქვემოთ მოცემულია ნიმუში, თუ როგორ პაუხობენ ამ კითხვას საშუალო და მაღალ საფეხურზე მყოფი მოსწავლეები.

ნიმუში № 5

4. დაფიქრდი რას მოგვითხობს ეს ტექსტი ანტარქტიდის შესახებ. დაასახელე თრი მიზეზი, თუ რატომ არ ირჩევენ იქ გასამგზავრებლად პერიოდს აპრილიდან სექტემბრამდე?

(1) 1. ანტარქტიდა საღან უკვე კონფინიცია. აკ აქ ხ-
ლინ სუსტებამის ზოგანს და საღან ციკა.

(2)
1
0
8
9

(1) 2. ზოგან ანტარქტიდა უკვე თეს პატარე ნუსაფრ ნუს-
არ იხის.

საშუალო საფეხური

ამ საფეხურზე მოსწავლეები ამჟღავნებენ მეტ გაწაფულობას განსაკუთრებით მხატვრული მოთხოვნების კითხვისა და გააჩრებისას. მათ შეუძლიათ სიუჟეტის გაგება, გარევეული დასკვნების გამოგანა და ტექსტის ნაწილებს შორის მიმართებების დანახვა. საინფორმაციო ტექსტი შეუძლიათ ტექსტის ქვესათაურებისა და ილუსტრაციების გამოყენება შესატყვისი ინფორმაციის მოძიების მიზნით და ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის შეჯერება. ამ საფეხურზე მოსწავლეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა შეუძლია არა მხოლოდ ერთი ან ორი წინადადების ფარგლებში, არამედ ის ხედავს კავშირს ტექსტის ორ მონაკვეთში წარმოდგენილ ფაქტებსა და მოვლენებს შორის.

მხატვრული ტექსტები

ნიმუში № 6

5. დაალაგე ქვემოთ მოცემული წინადადებები იმ თანმიმდევრობით,
რა თანმიმდევრობითაც მოთხოვნაში ხდება მოქმედება.
ნომერი I უკვე მითითებულია.

1 ანინამ ნიანგი დაინახა.

2 ნიანგმა ორი ფლამინგო შეჭამა.

3 ანინა შეეცადა აეხსნა მშობლებისთვის, რატომ იყო
კარი შემტკრეული.

4 ანინა სააბაზანოსკენ გაემართა.

5 ანინა შევარდა საწოლ ოთახში და კარი მიიჯახუნა.

“საოცრებათა დამე”.

ამ ტესტური დავალებაში მოსწავლემ მოცემული წინადადებები ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა დაალაგოს. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 54%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 67%).

ნიმუში N 7

3. რაზე ოცნებობს თიხის გუნდა მოთხოვობის დასაწყისში?

1) ნული ჩემი უქო ხილი ერთგული აუქნის ფილი

2) 8

3) 9

ეს ნიმუში აღებულია მოთხოვობიდან “თიხის გუნდა”⁶ ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 64%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 68%).

საინფორმაციო ჟაკსტი

ნიმუში N 8

3. რატომ ათავსებ ვაშლის ნაჭერს ჭიანჭველების ბედესთან ახლოს?
- 1) ჭიანჭველების გაპვალები გზა რომ ჩახერგო
- 2) იმიტომ, რომ ჭიანჭველებმა გზა გაპვალონ
- 3) ჭიანჭველები რომ დააფრთხო
- 4) იმიტომ, რომ ჭიანჭველებმა აბნეულად იმოძრაონ

ეს ნიმუში აღებულია საინფორმაციო ტექსტიდან „საკვების ძიებაში“⁷. ეს არის 3-ნაწილიანი ტექსტი სამეცნიერო პროექტების აღწერილობით. მოცემული არჩევითი ტიპის კითხვა მოითხოვს მოსწავლეებისგან ტექსტის რამდენიმე ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირებას. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 62%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 72%).

⁶ მოთხოვობის სრული ტექსტი თავისი ტექსტური დაგალებებით იხ. დანართი 3.

⁷ მოთხოვობის სრული ტექსტი თავისი ტექსტური დაგალებებით იხ. დანართი 3.

ნიმუში № 9

7. დაასახელე სამი რამ, რისი საშუალებითაც პიგვინი ინარჩუნებს სითბოს ანტარქტიდაში.

1. 1. არქტიკული გელათინი.
2. 2. არქტიკული კერძო.
3. 3. ბუნებრივი მარ მარყვათ კერძო.

3
2
1
0
8
9

„ანტარქტიდა“⁸.

დავალება მოითხოვს ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნის გამოტანას. მიღწევის ამ საფეხურზე მყოფ ქართველ მოსწავლეთა 29%-ს მოჰყავს ტექსტში მოცემული სამი მონაცემიდან მხოლოდ ორი⁹ (საერთაშორისო საშუალოა 22%).

მაღალი საფეხური

ამ საფეხურზე მყოფი მოსწავლეები კარგი მკითხველები არიან. მხატვრული მოთხოვობებიდან მათ შეუძლიათ ამოიღონ ტექსტში გაბნეული მნიშვნელოვანი დეტალები. ამ საფეხურზე მოსწავლეებს უკვე განვითარებული აქვთ ასაკისათვის შესაბამისი არგუმენტირების უნარი (ტექსტიდან შეუძლიათ მოიყვანონ დასკვნების შესაბამისი არგუმენტები). საინფორმაციო ტექსტების გააზრებისას მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის დანიშნულების განსაზღვრა, ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისგან გარჩევა, ტექსტიდან გამომდინარე აზრის დასაბუთება. შეუძლიათ, გამოიყენონ საინფორმაციო ტექსტის ორაგანიზებისათვის დამახასიათებელი ნიშნები მიმართებების დასამყარებლად და დასკვნების გამოსატანად.

მოსწავლეები ახერხებენ როგორც მხატვრულ, ისე საინფორმაციო ტექსტებში ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთებს შორის კავშირის დანახვას და ამის საფუძველზე დასკვნის გამოტანას; აგრეთვე, ტექსტის ინტერპრეტაციას საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების მოშველიერით. ამ დონეზე მოსწავლეები სწორებიან ტექსტის ძირითად

⁸ მოთხოვობის სრული ტექსტი თავისი ტექსტი დაგალებებით დანართი 3.

⁹ რესპონსისა და პონგ-კონგის მოსწავლეთა 91% და 92%-ს მოჰყავს 3-დან 2 მიზეზი.

აბრს, იდეას, ტექსტის ბოგიერთ მხატვრულ ელემენტს და ახდენენ ტექსტში გადმოცემული იდეებისა და ინფორმაციის ინტეგრირებას.

მხატვრულ ტექსტი

ნიმუში № 10

12. ავტორი ისე წერს თიხის გუნდის შესახებ, თითქოს ის ცოცხალი არსება იყოს. რა უნდა ავტორს, რომ შენ წარმოიდგინო?

- ⑤ რას გრძნობ, როცა წვიმაში ხვდები.
- ⑥ რა შეიძლება ეგრძნო თიხის გუნდას.
- ⑦ როგორია თიხით მუშაობა.
- ⑧ რას გრძნობ, როცა რაღაცას ამზადებ.

„თიხის გუნდა“.

მიღწევის მაღალ დონეზე მყოფ მოსწავლეებს შეუძლიათ პერსონიფიკაციის იდეის გაგება. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 39%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 55%).

ნიმუში № 11

8. როგორ დაეხმარა ანინას უურნალი? აღწერე უურნალის მიერ გაწეული ორი დახმარება.

 1. უურნალის ფარინგული გუნდი გამოიწვა



 2. უურნალის ფარინგული და ნიანგი კანკუ-
დამბეჭვა

„საოცრებათა დამე“.

კითხვა ეხება ანინასათვის უურნალის მიერ გაწეულ ორ დახმარებას, რაც მოსწავლეთათვის რთული აღმოჩნდა. ამ კითხვას ქართველ მოსწავლეთა 34%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 41%).

საინფორმაციო ტექსტი

ნიმუში N 12

10. ტექსტის რომელ ნაწილშია საუბარი იმის შესახებ, თუ რა სისქისად ყინული ანტარქტიდაში?

- რა არის ანტარქტიდა?
- ამინდი ანტარქტიდაში
- პინგვინები ანტარქტიდაში
- წერილი ანტარქტიდიდან


„ანტარქტიდა“

შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებს მიღწევის მაღალ საფეხურზე შეუძლიათ ტექსტის მათრგანიზებელი ნიშნების (მაგ. ქვესათაურების) გამოყენება. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 47%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 57%)¹⁰.

ნიმუში N 13

9. როგორ ფიქრობ, რა მოხდება ხოჭოების პროცესის მე-3 საფეხურზე, თუ ნოტიო ფოთოლს ყუთის მარცხენა კუთხეები გადადებ?

 ნიშვნები ხოჭოები ფოთოლის მარცხენა კუთხეები



9. როგორ ფიქრობ, რა მოხდება ხოჭოების პროცესის მე-3 საფეხურზე, თუ ნოტიო ფოთოლს ყუთის მარცხენა კუთხეები გადადებ?

 ამით ძირი წავლი განსაზღვრავ.



¹⁰ მოსწავლეთა 83-84%-მა რეაგირდა, დაუქსემბურგიდან და შვედეთიდან სწორად პასუხობდა ამ კითხვას.

„საკვების ძიებაში“.

შეკითხვა მოითხოვს სამეცნიერო პროექტების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირებას. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 47%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 55%).


უმაღლესი საფეხური

ამ საფეხურზე როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტექსტების კითხვისა და გაამრებისას მოსწავლეებს შეუძლიათ მთელ ტექსტში მოცემული სხვადასხვა ინფორმაციის გაამრება, ტექსტის მონაკვეთებს შორის ლოგიკური კავშირის დანახვა, ტექსტის მთლიანობაში აღქმა, წაკითხული ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ტექსტის მარგანიზებელი ნიშნების ეფექტურად გამოყენება; ასევე ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ ცოდნასთან, გამოცდილებასთან შეჯერება.

ნომერი N 14

10. აღწერე ის განსხვავებული გრძნობები, რომლებიც თიხას ეუფლება მოთხოვნის დასაწყისში და ბოლოს. ახსენი, რატომ იცვლება მისი გრძნობები.

(3) პუნქტის თხოს გერმანულ დასტურის ძვრან
მიზნების მიერთ, ხომ ის ძვრან ძვრი იყო და ცეკვა
შეავრა მის უფლება. პოლოს ფი უფა გოვონდა კარგიდან-
გრა და მისუნა ჭიჭი გოვითა. გვია ფი გოვითა სხვა
და მას ჭიჭიდონ გთავა და და და მეტნება, ხომ
გოვითა ა ჭიჭი უფლებადი მიხილება.



10. აღწერე ის განსხვავებული გრძნობები, რომლებიც თიხას ეუფლება მოთხოვნის დასაწყისში და ბოლოს. ახევნი, რატომ იცვლება მისი გრძნობები.

3) Ortak işbirliğinin işsizlik ortaklığını減少する
yeni işin ortaklığından işsizlik hizmeti gizliliklilikteki
sayesinde, ekonomik bilançodan önceki işsizlik hizmeti sayesinde
ortak işbirliği onarılmış işsizlik hizmeti gizliliklilikteki
gizlilikteki işsizlik hizmeti gizliliklilikteki işsizlik hizmeti
sayesinde işsizlik hizmeti gizliliklilikteki işsizlik hizmeti
sayesinde işsizlik hizmeti gizliliklilikteki işsizlik hizmeti



„თიხის გუნდა“.

ეს დავალება ძალიან რთული აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 9%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 27%).

ნომერი N 15

9. მოთხოვთაში რომელი სიტყვები მიანიშნებს იმას, რომ პატარა გოგონამ იცოდა,
რისი გაკეთება უნდოდა?

ა „თიხის გუნდას მისი თითების შეხებაზე არაჩვეულებრივი გრძნობა დაეუფლა“.

ბ „პატარა გოგონამ თიხის გუნდა დაინახა“.

გ „პატარა გოგონას ის ფრთხილად უჭირავს“.

დ „მისი ხელები მიზანდასახულად მოძრაობდნენ“.

„თიხის გუნდა“.

ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა 43%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 42%)

საინფორმაციო ტექსტი

ნიმუში N 16

7. დააკვირდი სურათს, რომელიც ახლავს პროექტს „შეისწავლე ხოჭოები“. რით გეხმარება ეს სურათი იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა ჩაატარო ექსპერიმენტი?

 სურათი იმით გვეხმარება, რომ ა ხოგოთ
უნდა იყოს ყორა.



„საკვების ძიებაში“.

ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 9%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 21%)

ნიმუში N 17

12. ახსენი, რატომ ათავსებ საბუდარში მიწისა და ქვიშის ფენებს?

 ამინდ, როცა ჰქონდა ძინა და ქვეშა
ქართული აუზი



„საკვების ძიებაში“.

ამ კითხვაზე ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 19%-მა უპასუხა სწორად (საერთაშორისო საშუალოა 26%)

3.4. საეთაშორისო მილნევის ღონისძიები ეს საქართველოს ჩეგიონები


უმაღლესი საფეხური. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მოსწავლეთა საშუალოდ 1%-მიაღწია PIRLS-ის საერთაშორისო მიღწევის სკალის უმაღლეს საფეხურს. ამ კომპონენტი უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს რამდენიმე რეგიონს:

- ქვემო ქართლი – 1.6%
- სამეგრელო-ბერი სვანეთი – 1.5%
- მცხეთა-მთიანეთი – 1.3%
- თბილისი – 1.2%

მაღალი საფეხური. საქართველოს მოსწავლეთა საშუალოდ 15%-მა დაძლია საერთაშორისო მიღწევის სკალის მაღალი საფეხური. ამ კომპონენტში უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს სამ რეგიონს: სამეგრელ-ბერი სვანეთს (კუმულაციური პროცენტი – 19.1), ქვემო ქართლს (კუმულაციური პროცენტი – 19.1), იმერეთსა (კუმულაციური პროცენტი – 15.2) და თბილისს (კუმულაციური პროცენტი – 16.1).

გრაფიკზე ასახულია, თუ როგორ გადანაწილდა საერთაშორისო მიღწევის დანარჩენ საფეხურებზე მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა.

რეგიონების მიხედვით სკოლების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც საერთაშორისო სკალირებულ საშუალოზე დაბალი და მაღალი მაჩვენებლები აქვს.



აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურისთვის ტიპური დავალებების დაძლევა ვერ მოახერხა ბოგიერთი რეგიონის მოსწავლეთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა პროცენტმა.

3.5. საერთაშორისო მიღწევის ღონიერი ტა საქართველოს სკოლები

უმაღლესი საფეხური

- PIRLS საერთაშორისო მიღწევის სკალის უმაღლეს საფეხურს ვერ მიაღწია საქართველოს 149 სკოლიდან 119 სკოლის (79.86%) ვერც ერთმა მოსწავლემ.
- 30 სკოლაში მოსწაველეთა 1%-ზე მეტმა მიაღწია უმაღლეს საფეხურს, მათ შორის არის რამდენიმე სკოლა (2.013%), სადაც ეს მაჩვენებელი 10%-ზე მეტია. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეთა 18.2%-მა დაძლია უმაღლესი საფეხური.

მაღალი საფეხური

- PIRLS-ის საერთაშორისო მიღწევის სკალის მაღალ საფეხურს ვერ მიაღწია საქართველოს 149 სკოლიდან 41 სკოლის (27.51%) ვერც ერთმა მოსწავლემ.
- 19 სკოლაში მოსწავლეთა 30%-ზე მეტმა, 6 სკოლაში კი – მოსწავლეთა 50%-ზე მეტმა მიაღწია მაღალ დონეს.
- მაღალ დონეს მიაღწია 64 სკოლის 10%-ზე მეტმა მოსწავლემ და 34 სკოლის მოსწავლეთა 20%-ზე მეტმა.

საშუალო საფეხური

PIRLS საერთაშორისო მიღწევის სკალის საშუალო საფეხურს ვერ მიაღწია საქართველოს 149 სკოლიდან 3 სკოლის (2.01%) ვერც ერთმა მოსწავლემ.


დაბალი საფეხური

- PIRLS-ის საერთაშორისო მიღწევის სკალის დაბალ სფეხურზე არც ერთი მოსწავლე არ ჰყავს 8 სკოლას (5.37%). ამ სკოლების ყველა მოსწავლე საშუალო, მაღალ ან უმაღლეს საფეხურზეა.

დაბალ საფეხურზე ქვემოთ

- განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს 149 სკოლიდან 46 სკოლას ჰყავს 25% ან 25%-ზე მეტი მოსწავლე საერთაშორისო მიღწევის სკალის დაბალ საფეხურზე ქვემოთ (მაქსიმალური მაჩვენებელია 77.8%).


სკოლები და მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა საერთაშორისო მიღწევის დაბალი საფეხურის ქვემოთ.



3.6. საქართველოს ხეგიონები


კუთხევის მიზნები და პრიცესები

წარმოგიდგენთ მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილ საქართველოს რეგიონების რეიტინგულ სიას, რომელიც მოსწავლეთა მიღწევების საშუალო სტანდარტიზებული ქულითაა წარმოდგენილი (საშუალო – 50, სტანდარტული გადახრა – 10). ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ თბილისის სკოლების მოსწავლეებს (საშუალო 51.14), საშუალო მაჩვენებლები – ქვემო ქართლის (50.06), იმერეთის (50.43), სამეგრელო-ზემო სვანეთის (50.12) სკოლების მოსწავლეებს.



■ მხატვრული ტექსტების გააზრებაში საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ თბილისისა (51.29) და ქვემო ქართლის (51.39) მოსწავლეებს.

◀ საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში საშუალობები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაღალი მაჩვენებელი არა აქვს არც ერთ რეგიონს. საშუალო და საშუალობები ოდნავ მაღალი მაჩვენებლები აქვს აჭარას (50.85), თბილისს (50.69), იმერეთსა (50.29) და სამეგრელო-ზემო სვანეთს (50.56)¹¹.



◀ წაკითხულის გააზრების პროცესების მიხედვით მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თბილისელ მოსწავლეებს საშუალობები მაღალი მაჩვენებელი აქვთ იმ ტიპის დავალებებში, რომლებიც მოითხოვს ტექსტები ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნას და უშუალო დასკვნის გამოტანას (51.18), საშუალობები მაღალი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე, ქვემო ქართლისა (50.58), და იმერეთის(50.55), მოსწავლეებს. ტექსტის ინტერპრეტაციასა და ინტეგრირებასთან დაკავშირებულ დავალებებში საშუალო ან საშუალობები უმნიშვნელოდ მაღალი მაჩვენებლები აქვთ

¹¹ ამგვარი შედეგი შეიძლება იმით აიხსნას, რომ სახწავლო გეგმაში ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება საინფორმაციო ტექსტების გააზრებაზე. მასწავლებლები მოსწავლეთა მხოლოდ 10%-ს თხოვენ, წაიკითხონ ყოველკვირკველად საინფორმაციო ხასიათის ტექსტები (ხაურთაშორისონ საშუალოა 49%)


მოსწავლეებს თბილისიდან (50.88), აჭარიდან (50.56), სამეგრელო-ზემო სვანეთიდან (50.40) და იმერეთიდან (50.25).

3.7. გოგონები და ბიჭები

PIRLS 2006-ში, ისევე, როგორც PIRLS 2001-ში, გოგონებმა უფრო მაღალი მიღწევები აჩვენეს, ვიდრე ბიჭებმა. გოგონებს საერთაშორისო საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ბიჭებს კი – დაბალი. ეს ტენდენცია დაფიქსირდა თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, კერძოდ,

- ➔ ტესტში გოგონების საშუალო სტანდარტიზებული ქულაა 51.04, ბიჭებისა კი – 48.99
- ➔ ეს განსხვავება უმნიშვნელოდ მცირდება, თუ ტესტური დავალებები ინფორმაციის მიღებასა და გამოყენებას ეხება (საინფორმაციო ტექსტები) (გოგონების სტანდარტიზებული საშუალო ქულაა 50.97, ბიჭების კი – 49.07). ანალოგიური ვითარებაა ლიტერატურული ტექსტების შემთხვევაშიც.
- ➔ გოგონებს უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ დავალებებში, რომლებიც მოითხოვს ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნას და უშუალო დასკვნის გამოფანას (გოგონების სტანდარტიზებული საშუალო ქულაა – 50.95, ბიჭებისა კი – 49.08). გოგონებს იმ დავალებებშიც უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ, რომლებიც მოითხოვს ტექსტში მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და ცოდნასთან ინტეგრირებას (გოგონების სტანდარტიზებული საშუალო ქულაა – 50.98, ბიჭების კი – 49.05)

გოგონების და ბიჭების მიღწევების შედარებითი ანალიზი, PIRLS საერთაშორისო მიღწევის საფეხურის მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკზე.



ეს შედეგი ნამდვილად იძლევა დაფიქრების საბაბსაც დაბლი მიღწევების მქონე ბიჭების საგანმანათლებლო პერსპექტივების შესახებ, როგორც ამ ეფაპზე, ისე სამომავლოდ.

3.8. ქალაქი, სოფელი


განსაკუთრებით საინტერესოა მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით სოფლისა და ქალაქის სკოლების შედარებითი ანალიზი.

ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს PIRLS-ის საერთაშორისო სკალირებულ საშუალაოზე მაღალი მიღწევები აქვთ (508.89) (PIRLS-ის სტანდარტულ სკალაზე საშუალო 500, სტანდარტული გადახრა – 100). სოფელში მცხოვრები ბავშვების მიღწევები კი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება PIRLS-ის საშუალო მაჩვნებელს და შეადგენს 472.46-ს. ქალაქსა და სოფელში მცხოვრები ბავშვების მიღწევებს შორის შედარებით ანალიზს მიღწევის საერთაშორისო სკალის მიხედვით თუ

გავაკეთებო, ვნახავთ, რომ ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეთა 12% აღმოჩნდა მიღწევის საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ. სოფელში მცხოვრებ მოსწავლეთა ანალოგიური მაჩვენებელი კი 25,5%-ია.

რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს, რომ

- განსხვავება სავარაუდო მწირი სასკოლო რესურსებითაა განპირობებული. მაგალითად, სკოლის დირექტორების კითხვარების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბიბლიოთეკა არა აქვს სოფლის სკოლების 11.5%-ს, ქალაქის სკოლების 3,5%-ს.
- სოფლის სკოლის დირექტორთა მონაცემებით, მათ სკოლებში სწავლების პროცესის ხარისხს ძლიერ აქვეითებს მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია.




3.9. თაქცონის, ხომლების გავლენას ახდენს მოსწავლეთა ნიგნიერებაზე

3.9.1. საზოგადოებრივი თაქცონის

- ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI – ქვეყანაში კეთილდღეობის ხარისხის მაჩვენებელი)
- GDP – მთლიანი შიდა პროდუქტი
- ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკა, მიმდინარე რეფორმები
- დაწყებით სკოლასთან დაკავშირებული სპეციალური საგანმანათლებლო პოლიტიკა
- სკოლამდელი აღმრღდის პოლიტიკა

მიუხედვად იმისა, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში მასშტაბური რეფორმები მიმდინარეობს, ქვეყანაში კეთილდღეობის მაჩვენებელი (HDI-ინდექსი) ჯერჯერობით საკმაოდ დაბალია¹². წიგნიერების საერთაშორისო კვლევის მონაცემებით, რაც უფრო ნაკლები მოსწავლეა სკოლაში ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახიდან, მით უფრო მაღალია წიგნიერების მაჩვენებელი. საქართველოში მოსწავლეთა 28% სწავლობს სკოლებში, სადაც ბავშვების ნახევარზე მეტი ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახებიდანაა¹³ (საერთაშორისო საშუალოა 18%). ამასთან, ძალიან დაბალია სახელმწიფო ინვესტიცია განათლების სისტემაში (მთლიანი შიდა პროდუქტის 2.2%), თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2003-2006 წლებში გამოკვეთილია განათლების სისტემაში მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) პროცენტული ზრდის ტენდენცია.



¹² ამ მხრივ საქართველოშე დაბალი მაჩვენებელი კვლევაში ჩართული ქვეყნებიდან მხოლოდ 4 ქვეყნას აქვთ.

¹³ წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში ჩართული სკოლების დირექტორთა მონაცემები.

3.9.2. სეიონის ფაქტორები

- სასწავლო გეგმაში კითხვის უნარის განვითარების, კითხვის სწავლების ხელისაღწერი გეგმა
- სკოლის როლი კითხვის სწავლების გეგმის შემუშავებაში
- კითხვისათვის განჯეოვნილი სასწავლო დრო
- სკოლის მიერ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის გზები და საშუალებები
- მასწავლებელთა მომზადება კითხვის სწავლებისათვის
- კითხვის სწავლებისათვის სხვადასხვა მასალისა და რესურსების გამოყენების ხარისხი
- კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი ხარისხი და კლასგარემენტი აქტივობების მრავალფეროვნება
- მასწავლებლების მიერ შემუშავებული კითხვის უნარის შეფასების კრიტერიუმები
- სასწავლო გარემო და სკოლის რესურსები
- სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის ხარისხი

სასწავლო გეგმა, სასკოლო პროგრამები, მასწავლებლები, საკლასო აქტივობები:

- ➔ კითხვის სასწავლო გეგმა (კურიკულური) ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის შემადგენელი ნაწილია
- ➔ მოსწავლეთა წიგნიერებაში მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების სასწავლო გეგმებში ყურადღება გამახვილებულია ტექსტის შინაარსის, ენისა და ტექსტუალური ელემენტების შეფასებაზე, ტექსტში გადმოცემული აბრების ინტერპრეტაციასა და ინტეგრირებაზე (რუსეთის ფედერაცია, ჰონგ-კონგი, კანადა, შოტლანდია). საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში კი ძირითადად აქცენტი ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის გაუბასა და პირდაპირი დასკვნების გამოფანაზე კეთდება.
- ➔ კვლევის მიხედვით, არ ჩანს მნიშვნელოვანი კავშირი კითხვის სწავლებაზე დახარჯულ დროსა და კითხვის მიღწევის მაჩვენებლებს შორის. საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა მეხუთედი კითხვას კვირაში 3 დღეზე ნაკლებს უთმობს, ისევე როგორც ბელგიაში, ჰონგ-კონგში, სლოვენიასა და სამხრეთ აფრიკაში. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ბოგიერთი მაღალი მიღწევებით გამოირჩევა და წიგნიერების რეიტინგულ სიაში ლიდერობს, ბოგს კი ძალიან დაბალი შედეგები აქვს.
- ➔ საქართველოში კლასის მოცულობა საშუალოდ 21 მოსწავლეა (საერთაშორისო საშუალოა – 24, ჰონგ-კონგში – 35). თუმცა სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ კლასის მოცულობა არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კითხვის მიღწევის მაჩვენებლებზე.
- ➔ ქართველ მოსწავლეთა 99%-ს უნივერსიტეტის დიპლომის მქონე მასწავლებელი ასწავლის, თუმცა მათ არა აქვთ გავლილი კითხვის

სწავლების სპეციალური პროგრამა, რაც დაწყებითი კლასის მასწავლებლების პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა იყოს.

სასკოლო რესურსები და სკოლის გარემო:

სასკოლო რესურსების მისაწვდომობის მაღალი ინდექსი (კვალიფიციური მასწავლებლები, სათანადო სასწავლო მასალები, სასკოლო პირობები და სივრცე, კომპიუტერები და კომპიუტერული პროგრამები, ბიბლიოთეკა, აუდიო-ვიზუალური რესურსები) მნიშვნელოვან კავშირშია კითხვაში საშუალო დონის მიღწევებთან.

- ◆ წიგნიერების კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა 52% სწავლობს მაღალი სასკოლო რესურსების ინდექსის მქონე სკოლაში. საქართველოში ასეთი საშუალება მოსწავლეთა 46%-ს აქვს.
- ◆ ქართველ მოსწავლეთა 93%-ს აქვს სკოლაში ბიბლიოთეკა. ქართველ მოსწავლეთა 76%-ს შეუძლია ისეთი სასკოლო ბიბლიოთეკით სარგებლობა, რომელშიც 500 წიგნია (საერთაშორისო საშუალო – 71%).
- ◆ სკოლაში კომპიუტერების გამოყენების შესაძლებლობა ქართველი მოსწავლეების მხოლოდ 10%-ს აქვს. სკოლაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია მოსწავლეთა 4%-ისათვის. შესაბამისად, კომპიუტერის კითხვის სწავლების მიზნით გამოყენების ხარისხი მინიმალურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს სკოლების სრული კომპიუტერიზაცია, რომელიც 2009 წლისთვის დასრულდება.
- ◆ საქართველოში მნიშვნელოვნად დაბალია სკოლისა და ოჯახის კომუნიკაციის ხარისხი – მხოლოდ მოსწავლეთა 9%-ის მშობლებს აქვთ სკოლასთან ინტენსიური და ქმედითი ურთიერთობა (საერთაშორისო საშუალოა 45%). მოსწავლეთა 70%-ის შემთხვევაში კი კომუნიკაციის ინდექსი ძალიან დაბალია (საერთაშორისო საშუალო – 28%).
- ◆ წიგნიერების კვლევაში ჩართულ სკოლათა 37%-ს არა აქვს მოსწავლეთა დასწრების პრობლემა. საქართველოში დასწრების პრობლემა არა აქვს სკოლების მხოლოდ 13%-ს.
- ◆ ქართველი ბავშვებისა და მათი მშობლების უმრავლესობის აზრით, სასკოლო გარემო უსაფრთხო, მოსწავლეებზე მზრუნველი და კეთილგანწყობილია. სკოლის უსაფრთხოების ხარისხის მიხედვით საქართველო ნორვეგიის, შვედეთის და დანიის შემდეგაა. საინტერესოა, რომ წიგნიერებაში საშუალობები დაბალი მიღწევების მქონე ქვეყნებში

მოსწავლეთა უმრავლესობა სასკოლო გარემოს განსაკუთრებით
მზრუნველად და კეთილგანწყობილად აღიქვამს¹⁴.

ძალისმინდებლები და სწავლების მეთოდოლოგია:

იმ ფაქტორების კვლევისას, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებლების კვალიფიკაციას, სწავლების მეთოდოლოგიას, კითხვის უნარის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილ საკლასო და კლასგარეშე აქტივობებს. თუმცა ქართველი მასწავლებლების კითხვარების ანალიზისას შეიმჩნევა გარკვეული ტენდენციურობა. მაგალითად, საქართველოში:


- მოსწავლეთა 96%-ს ყოველდღიურად ეხმარებიან ტექსტში ახალი სიტყვების გაგებასა და ლექსიკური მარაგის განვითარებაში (საერთაშორისო საშუალოა 69%). საქართველო ამით წინ უსწრებს ბევრ საშუალოზე მაღალ დონეზე მყოფ ქვეყანას.
- მონაცემთა მიხედვით, ქართველი მასწავლებლები მოსწავლეებთან იყენებენ (70-98%) წაკითხულის გააზრების ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა ძირითადი აზრის იდენტიფიკაცია, საკუთარი მოსამრების არგუმენტაცია, საკუთარ გამოცდილებასთან ტექსტის იდეის დაკავშირება, წაკითხულის განზოგადება და დასკვნის გამოტანა. მაშინ როდესაც იმ ქვეყნებში, რომლებიც წიგნიერების რეიტინგულ სიას ლიდერობენ, გაცილებით მცირე რაოდენობის მოსწავლეები ფლობენ ამ შესაძლებლობებს.
- ქართველ მოსწავლეთა 46%-ს ყოველდღიურად ავარჯიშებენ ტექსტის დეკოდირებაში (კითხვის სტრატეგია). ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს (26%).
- მასწავლებლების შეფასებით, საქართველოში მოსწავლეთა 17%-ს ესაჭიროება სპეციალური დახმარება კითხვაში (საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელი 17%). საინტერესოა, რომ მასწავლებლების მონაცემებით, მოსწავლეთა 25%-ს აქვს კითხვის გამლიერებული პროგრამით სწავლების შესაძლებლობა (საერთაშორისო საშუალოა 11%).

¹⁴ სკოლის დირექტორები უფრო რეალისტურად უყურებენ სკოლებში არსებულ გითარებას. მათი პოზიციიდან სკოლები სამხრეთ აფრიკაში, კატარში, კუვეიტში, ინდონეზიასა და მაროკოში სულაც არ არის ისეთი უსაფრთხო, როგორც ეს ბაგუგბებს და მშობლებს მიაჩნიათ. საქართველოშიც შეინიშნება ეს ტენდენცია, რომელ უფრო სუსტად.

- ➔ წიგნიერების საშუალოზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების მსგავსად, საქართველოში მოსწავლეთა უმეტესობისათვის (80%) სკოლები კითხვის სწავლებაში დამატებით რესურსად საბავშვო წიგნებს იყენებენ.¹⁵ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს (69%).
- ➔ ცნობილია, რომ დღეს ქართველი ბავშვები არ არიან განებივრებულნი მრავალფეროვანი საბავშვო ჟურნალ-გაზეთებით, თუმცა, მონაცემების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ქართველ მასწავლებელთა 79% სწავლებაში დამხმარე მასალად საბავშვო გაზეთებსა და ჟურნალებს იყენებს. ამ მაჩვენებლით ჩვენ მნიშვნელოვნად ვუსწრებთ საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლს (57%). საინტერესოა, რომ იგივე ტენდენცია შეიმჩნევა საშუალოზე დაბალი მიღწევების მქონე სხვა ქვეყნებშიც (კუვეიტი, სამხრეთ აფრიკა, კატარი, მაკედონია).
- ➔ მასწავლებლები აცხადებენ, რომ მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებისათვის ყოველკვირეულად იყენებენ მოთხოვნებს (92%) და ლექსებს (72%) საკითხავად (საერთაშორისო საშუალოა: 70% და 37%).
- ➔ მონაცემთა მიხედვით, ქართველი მასწავლებლები წაკითხულის გააზრების უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეთა 36%-ს ყოველკვირეულად აძლევენ გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების შემცველ ტექსტებს. ეს მონაცემები ინგლისისა და რუსეთის მაჩვენებლების იდენტურია და საერთაშორისო საშუალოს (26%) აღემატება.
- ➔ საინტერესოა, რომ ყოველ კვირას კითხვის უნარის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ საკლასო აქტივობებზე (მაგ. კლასში ხმამაღლა კითხვა), თითქმის ყველა ქვეყანის მონაცემების მიხედვით, მასწავლებლები უფრო ხშირად მიუთითებენ, ვიდრე მათი მოსწავლეები.
- ➔ მონაცემთა მიხედვით, ქართველ მოსწავლეთა 57% ყოველკვირეულად ავსებს ტესტს წაკითხულის შესახებ ან წერილობით პასუხობს კითხვებზე (საერთაშორისო საშუალოა 26%). ამ მხრივ, საშუალოზე დაბლა მყოფი ქვეყნები (მაგ. კუვეიტი, კატარი, ტრინიდადი და ტობაგო, ინდონეზია) მნიშვნელოვნად უსწრებენ წინ საშუალოზე მაღალი მიღწევების მქონე ბევრ ქვეყანას.

¹⁵ იგივე მაჩვენებელი აქცე ბელგიას, რუსეთის ფედერაციას, ლიბერას, ლატვიას, უნგრეთს, ბულგარეთს, პოლონეთსა და სლოვენიას.

- ქართველ მოსწავლეთა 55%-ს, კითხვის უნარის განვითარების მიზნით, მასწავლებლები ხშირად აძლევენ საკითხავ საშინაო დავალებას (საერთაშორისო საშუალოა 24%). **კვლევის შედეგების მიხედვით, მოგადად, მოსწავლეთა დაბალი მიღწევა კითხვაში კავშირშია საშინაო დავალების მაღალ სიხშირესთან.**
- საქართველოში კითხვის პროგრესის შესაფასებლად იყენებენ:
- საკლასო ტესტებს (მოსწავლეთა 67%) (საერთაშორისო საშუალოა 53%);
 - ეროვნული და რეგიონული მიღწევის ტესტებს (მოსწავლეთა 42%) (საერთაშორისო საშუალოა 27%);
 - დიაგნოსტიკურ ტესტებს (მოსწავლეთა 65%) (საერთაშორისო საშუალოა 46%).¹⁶



¹⁶ შედარებისათვის: პირველ-მეორე ადგილზე გასული პონტ-კონგენი მოსწავლეების მხოლოდ 16% ფასდება ეროვნული და რეგიონული მიღწევის ტესტებით და 33% – დიაგნოსტიკური ტესტებით. მოსწავლეთა უმეტესობის უკვედკვირებული შეფასება გარდა ხმამაღალი კითხვისა და კითხვებზე პასუხისა, ხდება წერილობით, არჩევით და ლია კითხვებით (75-80%). ამ მხრივ საშუალოზე დაბალ დონეზე მყოფი ქვეყნები არ ჩამოუვარდებიან საშუალოზე მაღალ დონეზე მყოფ ქვეყნებს, ზოგ შემთხვევაში კი უფრო მაღალი მაჩვენებლებიც აქვთ.

- ➔ მონაცემთა მიხედვით, წიგნიერების კვლევაში ჩართული ქართველი მასწავლებლები ყოველკვირეულად (45%) და ყოველთვიურად (49%) ხვდებიან მშობლებს ბავშვის კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების განსახილვებად (საერთაშორისო საშუალო – 5% და 24%; რუსეთსა და ჰონგ-კონგში – 13% და 1%).
- ➔ ქართველ მშობელთა 44% იღებს სახლში მასწავლებლების ყოველთვიურ ანგარიშს შვილის კითხვის უნარის განვითარების შესახებ (საერთაშორისო საშუალოა 17%)¹⁷.
- ➔ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და გიყვარო თქვენი პროფესია, ქართველ მასწავლებელთა 83%-მა დადებითად უპასუხა, რის შედეგადაც საქართველო 45 ქვეყნის რეიტინგული სიის სათავეში აღმოჩნდა¹⁸.

ასეთი შეფასებების შემდეგ გაუგებარია, რატომ პქონდათ ქართველ მოსწავლეებს საშუალოზე დაბალი მიღწევები. ეს საკითხები დამატებით კვლევას საჭიროებს. ბოგადად, მნიშვნელოვანია ამ პრობლემაზე ფიქრი ორი მიმართულებით:

1. საერთაშორისო შეფასების შედეგების ანალიზმა უნდა გვაჩვენოს, რა ფაქტორები უწყობს ხელს კითხვის უნარის განვითარებას. სწორედ ამ მიზნით მოსწავლეების მიღწევებთან ერთად ვიკლევთ კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებულ მთელ კონტექსტს (ოჯახი, სასკოლო რესურსები, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ.); აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ტენდენციურ ინფორმაციას, რაც, ბუნებრივია, ამახინჯებს საერთო სურათს. ალბათ, საჭიროა თუნდაც მცირე შერჩევაზე ბოგიერთი მონაცემის გადამოწმება, რაც მოგვცემს მონაცემთა სანდობის შეფასებისა და კორექტირების შესაძლებლობას.
2. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა გააცნობიერონ კვლევის მიზანი და დანიშნულება: წიგნიერების საერთაშორისო კვლევის მიზანი არ არის კონკრეტული სკოლის ან მასწავლებლის შეფასება; ამ კვლევის მიზანი სწავლისა და სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებაა, რისთვისაც ობიექტურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ ინფორმაციის

¹⁷ ასეთი ზრუნვით განსაკუთრებით გამოირჩევიან ხაშუალობები დაბალ დონეზე მყოფი ქვეყნები (ირანი, კატარი, მაკედონია).

¹⁸ საკუთარი პროფესიით კმაყოფილების მაღალი ხარისხი აქვთ ასევე კუვეიტისა და მაკედონიის მასწავლებლებს.

ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყვდეს, თუ რა და რატომ არის შესაცვლელი თუ დასახვეწი სწავლების პროცესში. როგორც დიაგნოზის გუსტი დასმა არის აღეპვატური და ეფექტური მკურნალობის წინაპირობა, ასევე ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ღირებული და რელევანტური რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფისა და მოსწავლეთა წიგნიერების ხელშეწყობისთვის.

3.9.3. ოჯახის ფაქტორები

- მშობლების განათლება
- ოჯახის რესურსები: წიგნების რაოდენობა ოჯახში, ხაბაგშვილი წიგნების რაოდენობა, კომბიუტერი
- მშობლების დასაქმება და პროფესია
- გკონომიკური მდგრძალებელი
- მშობლების ქნა და წარმომავლობა
- მშობლების ჩართულობის ხარისხის ბავშვის სკოლამდევლ განათლებასა და წიგნიერებაში
- მშობლების დამოკიდებულება კითხვისადმი და კითხვის ინტენსივობა

PIRLS-2006 კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილ მოსაბრებას იმის თაობაზე, რომ მობარდები, რომელთა წიგნიერების განვითარებას ოჯახში ხელს უწყობენ, კარგი მკითხველები არიან. კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ მობარდებს, რომელთა ოჯახებში წიგნის კითხვა მკვიდრი ტრადიციაა და რომელთა მშობლებიც ცდილობენ, ბავშვები ადრეულ ასაკიდანვე ჩააბან წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში (მაგალითად, სხვადასხვა სახის სახალისო თამაშები ასოებისა და სიტყვების გამოყენებით, მცირე მოცულობის წიგნის კითხვა და წაკითხულებელი საუბარი და ა.შ.).

¶ ოჯახის საგანმანათლებლო რესურსის ინდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობლების განათლების დონე. ამ მხრივ საქართველო კითხვაში საშუალობე მაღალი დონის ქვეყნებთან ერთად ლიდერობს (იმ ქვეყნებს შორის, ხადაც მშობლელთა 40%-ზე მეტს აქვს უმაღლესი განათლება, არის საქართველოც კანადას, დანიას, ისრაელს, ისლანდიას, ნიდერლანდებს, კატარსა და ნორვეგიასთან ერთად)¹⁹. თუმცა ეს, სამწუხაროდ, არ აისახა ქართველი მოსწავლეების მიღწევებზე. ეს შედეგი დამაფიქრებელია, მით უმეტეს თუ

¹⁹ კვლევის მიხედვით, მშობლელთა განათლების დონე სარწმუნოდ დადგებით კავშირშია კითხვის მიღწევის მაჩვენებელთან. ბოგადად, იმ მოსწავლეების მიღწევის მაჩვენებელი კითხვაში, ვისი ერთ-ერთი მშობლელი მაინც უმაღლესი განათლებითაა, ერთი სტანდარტული გადახრით მაღალია იმ მოსწავლეებზე, ვის მშობლებსაც არასრული საშუალო განათლება აქვთ.

გავითვალისწინებთ, რომ თავად ქართველ ბავშვებს კითხვისადმი განწყობის მაღალი ინდექსი (50%) აქვთ (საერთაშორისო საშუალო – 49%).

- **მშობლების დამოკიდებულება კითხვისადმი და კითხვის ჩვევები.** საქართველოში მოსწავლეთა 42%-ის მშობელი კითხვას კვირაში 5 საათზე მეტს უთმობს და, ამ მხრივ, საქართველო კითხვაში საშუალოზე მაღალი დონის ქვეყნებთან ერთად ლიდერობს. ზოგადად, იმ მოსწავლეებს, ვისი მშობლებიც კარგი მკითხველები არიან, მნიშვნელოვნად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ კითხვაში.
- ქართველ მოსწავლეთა 41%-ის მშობელს აქვს კითხვისადმი განწყობის მაღალი ინდექსი (საერთაშორისო საშუალო 52%).
- **სკოლამდელ ასაკში წიგნიერებასთან დაკავშირებული აქტივობები მნიშვნელოვანი კავშირშია მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებასთან.** თუმცა საქართველოს შემთხვევაში ეს კავშირი არ დასტურდება – საქართველოში მოსწავლეთა 66%-ს სკოლამდელი აქტივობის მაღალი ინდექსი აქვს (*მაღალი ინდექსის საერთაშორისო საშუალო 54%*). მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ქართველ ბავშვებს საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ²⁰. ეს შედეგები საქართველოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეფორმირების აუცილებლობაზე მიუთითებს.
- PIRLS-ის კვლევა ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანი კავშირია ოჯახში წიგნების რაოდენობასა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის. სფატისტიკურად სანდო განსხვავებაა იმ მოსწავლეთა წიგნიერების დონეებს შორის, ვისაც ოჯახში საგანმანათლებლო რესურსის, ერთი მხრივ, მაღალი და, მეორეს მხრივ, დაბალი ინდექსი აქვთ. იგივე ვითარებაა საქართველოშიც. საინტერესოა, რომ საქართველოში მხოლოდ მოსწავლეთა 9%-ს აქვს ოჯახში საგანმანათლებლო რესურსის მაღალი ინდექსი (წიგნების და ჟურნალების რაოდენობა). ამავე დროს მშობელთა 8% აღნიშნავს, რომ ოჯახში 51-100 საბავშვო წიგნი აქვთ (საერთაშორისო საშუალო 19%). 100 წიგნზე მეტი აქვთ ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 4%-ს (საერთაშორისო საშუალო 13%). კითხვაში საშუალოზე დაბალი

²⁰ PIRLS-ის კვლევის მიხედვითაც, წიგნიერებასთან დაკავშირებული ოჯახის სკოლამდელი აქტივობის მაღალი ინდექსი 20 ერთეულით აძლევს უპირატესობას ბავშვებს იმათთან შედარებით, ვისი ოჯახის სკოლამდელი აქტივობის ინდექსი საშუალოა.

მაჩვენებლების მქონე ქვეყნების 25%-ზე მეტი მოსწავლის ოჯახში საბავშვო წიგნების რაოდენობა²¹ 10-ზე ნაკლებია.

4. ჩას ვერიფირებული მოსწავლის მარტინის მიზანი

PIRLS 2006 წლის წიგნიერების საერთაშორისო კვლევა და საგანმანათლებლო რეფორმა საქართველოში

ჩვენ მოკლედ წარმოგიდგინეთ PIRLS-2006-ის შედეგები. ამჯერად ამ შედეგებს საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის კონტექსტში განვიხილავთ. მიგვანიშნებს თუ არა PIRLS-2006-ის შედეგები მიმდინარე რეფორმის არაეფექტურობაზე? ამ შედეგების რეფორმის ინდიკატორად განხილვა გაუმართლებელია; უნდა გავითვალიწინოთ, რომ სისტემური რეფორმა (სწავლების ახალი მეთოდოლოგია, ახალი კურიკულური, სკოლების მართვის ახალი წესი, ახალი სახელმძღვანელოები და ა.შ.) ჩვეულებრივ არ იძლევა სწრაფ ეფექტს. რეფორმა მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეფასდეს, რაც დასრულდება ცვლილებების დანერგვა. ახალი კურიკულური ამ ეტაპზე მხოლოდ პილოტირებას გადის, მასწავლებელთა ტრენინგები ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ასე რომ, უფრო ადეკვატურია, ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ ჩვენი კვლევა საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის სასტარტო მდგომარეობას ასახავს (base line კვლევა). რეფორმის ეფექტურობა კი მხოლოდ PIRLS-2006-ისა და შემდგომი ციკლის - PIRLS-2011-ის შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს.

PIRLS 2006 და მშობლიურ ენაში სახელმწიფო შეფასება (2003 წელი)

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მიუხედავად არასახარბიელო შედეგისა PIRLS-2006-ში, რეფორმების ამ ეტაპზე მაინც ჩანს ქართველი ბავშვების გარკვეული წინსვლა კითხვის უნარის განვითარებაში. ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას PIRLS-2006-ისა და მშობლიურ ენაში სახელმწიფო შეფასების (2003) შედეგების შედარებითი ანალიზი იძლევა. საქართველოში 9-10 წლის მობარდების

²¹ ნიდერლანდებში, შოტლანდიაში, განსაკუთრებით კი რუსეთის ფედერაციასა და პონგ-კონგში მნიშვნელოვნად იმატა იმ მოსწავლეთა რაოდენობამ, ვის ოჯახშიც ბევრი წიგნია.

სახელმწიფო შეფასება მშობლიურ ენაში წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ანალოგიური მეთოდოლოგიით ჩატარდა. სახელმწიფო შეფასების ტესტების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ წაკითხულის გააზრებას ეთმობოდა. საერთაშორისო შეფასებისა და ეროვნული შეფასების მონაცემთა შედარებითი ანალიზის ზოგადი სურათი ასეთია:

- ➥ ქართველმა ბავშვებმა წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS-2006) 2003 წლის სახელმწიფო შეფასებასთან შედარებით უფრო კარგად გასცეს პასუხი ისეთ კითხვებს, რომლებიც მათგან მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვასა და ბოგადი დასკვნების გამოტანას მოითხოვდა. მაგალითად, თუ ისეთ კითხვაზე პასუხის გაცემას, რომელიც მოსწავლისაგან ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას და უშუალო დასკვნის გამოტანას მოითხოვდა, სახელმწიფო შეფასებაში საშუალოდ მოსწავლეთა 35%-მა გაართვა თავი, საერთაშორისო შეფასებაში ამ მაჩვენებელმა 50%-მდე მოიმატა.
- ➥ კითხვები, რომლებიც მოითხოვს მოსწავლისაგან ტექსტის მთლიანობაში გაგებას, ტექსტში მოცემული აზრებისა და ინფორმაციის გააზრებას, როგორც მთელი ტექსტის, ისე მისი ცალკეული პასაჟის იმპლიციტური შინაარსის ამოცნობას, სამი წლის წინ მოსწავლეთა დაახლოებით 35%-მა დაძლია. ამჯერად ამ ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემა საშუალოდ 45%-მა მოახერხა.
- ➥ დავალება, რომელიც ითვალისწინებს მოცემული წინადადებების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებას მოთხოვობის აგების მიზნით, ეროვნული შეფასების დროს სწორად შეასრულა მოსწავლეთა მხოლოდ 20%-მა. საერთაშორისო შეფასებისას ეს პროცენტული მაჩვენებელი 40-მდე გაიზარდა (ასეთი ტიპის დავალებაში ჩანს, რამდენად კარგად აღიქვამს მოსწავლე ტექსტის სტრუქტურას).
- ➥ ძალაში დარჩა ეროვნულ შეფასებაში გამოკვეთილი ერთ-ერთი ტენდენცია – ქართველმა ბავშვებმა საინფორმაციო ტექსტებთან შედარებით უკეთესად დაძლიერ მხატვრული ტექსტები, რაც მოსალოდნელი იყო, რადგან ჩვენს სასწავლო პრაქტიკაში საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობის ტრადიცია თითქმის არ არის.

ამგვარად, თუ PIRLS – 2006 წლის მონაცემებს შევაღარებთ სახელმწიფო შეფასების შედეგებს, აშკარად დავინახავთ მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენციას, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით ჩვენი შედეგები ძალიან დამაფიქრებელია.

შესაძლებლობები და მოლოდინი. როგორც უკვე აღვნიმეთ, 45 ქვეყნის დაახლოებით 215 000-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში. ამათგან 26 ქვეყანა PIRLS-2001-ის კვლევაშიც მონაწილეობდა და ამ ეტაპზე მათთვის ხელმისაწვდომია ცვლილებების ტენდენციებთან დაკავშირებული მონაცემებიც. PIRLS 2001-2006 წწ-ების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მიღწევები. ორ აბიურ ქვეყანაში, სინგაპურსა და ჰონგ-კონგში, რომლებმაც მნიშვნელოვანი წინსვლა აჩვენეს, 2001 წლიდან დაინერგა სისტემური რეფორმები, რომელიც ეხებოდა კითხვის სპეციალური სასწავლო გეგმის შემოღებას, კითხვასთან დაკავშირებული სასწავლო მასალების მომზადებას, მასწავლებლების სპეციალურ მომზადებას, ჰონგ-კონგი არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები მოსწავლეთა სწავლისა და სწავლების დღევანდელი ვითარების გასაუმჯობესებლად. 2001 წლის წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში ჰონგ-კონგს საერთაშორისო სკალურ საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა (ისევე, როგორც 2006 წლის კვლევაში საქართველოს). PIRLS-ის კვლევის 2001 წლის მონაცემების საფუძველზე ჰონგ-კონგის კურიკულუმის განვითარების საბჭომ დაგეგმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებისთვის. ეს ცვლილებები ეხებოდა სასწავლო გეგმასა და სასწავლო მასალებს, ასევე ოჯახის და საზოგადოების ჩართულობის გრძას სწავლის პროცესში, დაწყებითი კლასების და საბავშვო ბაღების მასწავლებლების ტრენინგს, კითხვის სწავლების მეთოდოლოგიაში საინფორმაციო მასალის შეფანას და ა.შ. შედეგად PIRLS 2006 კვლევის მონაცემებით ჰონგ-კონგი მიღწევების რეიტინგული სიის სათავეშია რუსეთთან ერთად. 2001 წელთან შედარებით რადიკალურად გააუმჯობესეს მიღწევის ყველა ღონის მაჩვენებელი აგრეთვე რუსეთის ფედერაციამ და სლოვენიამ. ამჯერად ამ ქვეყნებში განსაკუთრებით მაღალია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, ვინც საერთაშორისო საშუალო და უმაღლეს ღონიერებს მიაღწია. რუსეთის ფედერაციასა და სლოვენიაში გაფარდა სტრუქტურული ცვლილებები, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაწყებითი განათლების საფეხურს დაემატა კიდევ ერთი დამატებითი წელი.

2006 წელს წიგნიერებაში მაღალი მიღწევების მქონე ქვეყნების უმრავლესობაში 2001 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მიღწევები. მათ ეფექტურად გამოიყენეს 2001 წლის წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები და რეკომენდაციები, რის შედეგადაც სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. ამ ქვეყნების რიცხვში შედის პირველ სამეულში მოხვედრილი ქვეყნები (პონგ-კონგი, რუსეთის ფედერაცია და სინგაპური). რეიტინგულ სიაში შემდეგმა ხუთმა ქვეყანამაც (სლოვენია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, იტალია, გერმანია, უნგრეთი) 2001 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მიღწევები.

საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის პრიორიტეტი, მართალია, განათლების ხელმისაწვდომობაა, მაგრამ რამდენად ხარისხიანია ის? PIRLS 2006 წლის შედეგების მიხედვით, მაგალითად, პოლანდიაში საერთაშორისო მიღწევის დაბალ დონები ქვემოთ არც ერთი მოსწავლე არ არის, თუმცა უმაღლეს დონეს მოსწავლეთა მხოლოდ 6% აღწევს. მოსწავლეთა მხოლოდ 1% რჩება მიღწევის დაბალ დონები ქვემოთ რუსეთის ფედერაციაში, პონგ-კონგში, სლოვენიაში, კანადაში, ლუქსემბურგში, ბელგიასა და ლიტვაში, საქართველოში კი ეს მაჩვენებლი 17%-ია. ცხადია, აუცილებელია კომპლექსური დონისძიებების დაგეგმვა, რაც სწორედ ხელმისაწვდომობის პირობებში განათლების მაღალი ხარისხის მიღწევაში დაგვეხმარება.

იმედია, PIRLS-ის მომდევნო ციკლის (2011) დასრულების შემდეგ მოგვეცემა შესაძლებლობა, საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის ეფექტურობასა და PIRLS-ში ქართველი მოსწავლეების მაღალი მიღწევების შესახებ ვისაუბროთ, რაშიც მნიშვნელოვან როლს სწორედ PIRLS-ის კვლევა და ამ კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები შეასრულებს.

5. ჩეკომენტაციები

რითი დაგვეხმარება PIRLS-2006-ის შედეგები მიმდინარე რეფორმის ეფექტურად წარმართვაში?

როცა ბუსტად არის ცნობილი, რა ხარვეზები აქვს სასწავლო პროცესს, გაცილებით აღვილია მათი აღმოფხვრა. სწორედ ამიტომაც შეიძლება საერთაშორისო კვლევა გახდეს ჩვენს ქვეყანაში ახალი ცვლილებების კატალიბაფორი.

რა ცვლილებების აუცილებლობას ვხედავთ ამ ეტაპზე?

1. საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის კითხვის სწავლების სპეციალური სასწავლო პროგრამა. კითხვის ინსტრუქციები, ძირითადად, ინტეგრირებულია მშობლიური ენის სასწავლო გეგმასთან. კითხვაში ძალიან მაღალი მიღწევების მქონე ზოგ ქვეყანაში არსებობს **კითხვის სპეციალური სასწავლო გეგმა**. ეს გამოცდილება შეიძლება ეფექტურად დაინერგოს საქართველოშიც. კურიკულუმში დიდი ყურადღება უნდა მიექცეოს:
 - a. კითხვის სწავლებას მოსწავლის წიგნიერების ხელშესაწყობად;
 - b. კითხვის სწავლებას ინფორმაციის შეძენის მიზნით;
 - c. კითხვის სწავლებას ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბების მიზნით.
2. კურიკულუმის ამგვარი ცვლილებები, ბუნებრივია, უნდა აისახოს სახელმძღვანელოებში.
3. აუცილებელია დაწყებითი კლასის მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების რეფორმირება, რომელშიც დიდი აქცენტი უნდა გაკეთდეს კითხვის სწავლების პროგრამაზე.
4. აუცილებელია პედაგოგებისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება და დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება. **მასწავლებლებს საშუალება უნდა მიეცეთ, გაუცნონ ტექსტის განხილვისა და გააზრების იმ მეთოდებს, რომლებსაც თანამედროვე სასწავლო პრაქტიკაში იყენებენ მსოფლიოს წარმატებული ქვეყნები.**
5. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საინფორმაციო ხასიათის ტექსტების კითხვას და გააზრებას.

6. აუცილებელია ამ მიმართულებით სკოლამდელი აღმზრდის სისტემის რეფორმირება, სკოლამდელი აღმზრდის დაწესებულებებისათვის აღმზრდების მომზადების პროგრამის ანალიზი და გაუმჯობესება, რასაც წინ უნდა უძლეოდეს კვლევა და ანალიზი იმისა, თუ როგორ არის ორგანიზებული სკოლამდელი აღმზრდის დაწესებულებები საქართველოში, როგორია აღმზრდელთა მომზადება და კვალიფიკაცია, სკოლამდელი აღმზრდის რა მეთოდოლოგიაა დანერგილი საბავშვო ბაღებში და ა.შ.
7. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასკოლო ბიბლიოთეკებს. უნდა მოწესრიგდეს და ამოქმედდეს სასკოლო ბიბლიოთეკა. უნდა მომზადებს კლასგარეშე საკითხავი წიგნების ნუსხა. დღეისათვის წიგნის ბაბარი კარგად არის მომარაგებული ჩინებულად იღუსტრირებული საბავშვო წიგნებით, მაგრამ ეს ძვირადღირებული პროდუქცია, სამწუხაროდ, ბევრი ოჯახისათვის მიუწვდომელია. ამდენად, დღეს სახკოლო ბიბლიოთეკების მნიშვნელობა კიდევ უფრო იმზურდება.
8. აუცილებელია საბავშვო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ხელშეწყობა. კარგად იღუსტრირებული, მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შედგენილი ჟურნალ-გაზეთები კითხვის ინტერესს გაუდვივებს მოსწავლეებს.
9. ოჯახი აქტიურად უნდა ჩაერთოს შვილის განათლების პროცესში. მშობლებმა მეტი დრო უნდა დაუთმონ ბავშვებს, დაინტერესდნენ, რას კითხულობებ ისინი; გაახშირონ მასწავლებელთან კონტაქტი და შვილის წარმატების კონტროლი. **როგორც წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები ცხადყოფს**, “მშობლები არიან ბავშვების პირველი, და შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვის მასწავლებლები²²”. თავის მხრივ, სკოლამ და პედაგოგებმა მშობლებს უნდა მიაწოდონ რეკომენდაციები და მითითებები, თუ რა უნდა გააკეთონ მათ ბავშვის კითხვის უნარის განვითარების ხელშესაწყობად.
10. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სკოლებს და სკოლის ბიბლიოთეკებს, სოფლის სკოლების პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხსა და სოფლისთვის სრულყოფილი სასკოლო რესურსების შექმნას.

²² წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS-2006-ის პრეს-რელიზი.

ჩვენ გაგაცანით რეკომედაციები, რომლებიც კვლევის შედეგების პირველადი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა იმ ჯგუფმა, რომელიც ორგანიზებას უწევდა საერთაშორისო შეფასებას საქართველოში. ბუნებრივია, PIRLS-2006-ის შედეგების უფასო გამოყენებას იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ განათლების პოლიტიკის შემქმნელები პროფესიონალებთან ერთად (განათლების ექსპერტები, ფსიქოლოგები, პრაქტიკოსი პედაგოგები და ა.შ.) დეტალურად გააანალიზებენ კვლევის შედეგებს და დასახავენ პრობლემების დაძლევის სტრატეგიებს.

რა აქტივობები გვაქვს დაგეგმილი PIRLS-2006-ის შედეგების ეფექტური გამოყენებისათვის?

- ექსპერტთა ჯგუფის შექმნა დაწყებითი კლასის მასწავლებლებისათვის რეკომედაციების შესამუშავებლად.
- PIRLS-2006-ში წარმატებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.
- დეტალური ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება და გამოცემა, რათა მასალა ხელმისაწვდომი გახდეს დაწყებითი კლასის ყველა მასწავლებლისათვის.
- საქართველოს ყველა რეგიონში სამუშაო სემინარების მოწყობა დაწყებითი კლასის მასწავლებლებისთვის PIRLS-2006-ის შედეგებისა და რეკომენდაციების გაცნობის მიზნით.
- PR – აქციები „მობარდთა წიგნიერება“ (სატელევიზიო გადაცემების ციკლი, პუბლიკაციები, შეხვედრები საბავშვო მწერლებთან და ა. შ.).
- PIRLS-2006-ის შედეგების მიხედვით დაწყებითი კლასის მასწავლებელთა ფრენინგ-პროგრამის მომზადება და მათი ტრენინგი.
- კითხვის სპეციალური სახწავლო გეგმის შექმნაზე მუშაობა.
- სკოლამდელი აღზრდის სისტემის რეფორმირების მიზნით სპეციალური პროექტის მომზადება.
- დაწყებითი კლასის მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების სრულყოფის მიზნით სამუშაო სემინარებისა და შეხვედრების მოწყობა იმ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან, რომლებიც ამზადებენ დაწყებითი კლასის მასწავლებლებს.

ამ საკითხებზე სამუშაოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა საკორდინაციო საბჭო, რომელიც კურირებას გაუწევს საქართველოში ბავშვთა

წიგნიერების განვითარების მიზნით დაგეგმილი სხვადასხვა სახის აქტივობების განხორცილებას.

დაბოლოს, ყველასათვის ცნობილია, რომ სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება მოგარდისათვის სწავლაა, სწავლის საფუძველი კი – კითხვის უნარია. ჩვენ ყველას – პედაგოგებს, მშობლებს შესაძლელობა გვეძლევა ეფექტურად გამოვიყენოთ საერთაშორისო კვლევის შედეგები და ხელი შევუწყოთ მოგარდთა სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას, რომელშიც გადამწყვეტი როლი კითხვასა და კითხვისადმი ინტერესს, ზოგადად წიგნიერებას ენიჭება.

ԸՆԴՀՈՌ 1

Ի՞նչո՞ւ շահեցած է պատեհական?

մռայլ օնֆորմացիա զուտեցություն և վարագություն
մարդու մասնակիություն և անձնագործություն
առաջարկություն և առաջարկություն
պահանջման և պահանջման առաջարկություն



პითხვის სწავლება

ძირითადი მიღებობები

კითხვა ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია, რომელსაც მოგარდი სკოლაში სწავლის პირველივე წლებიდან იძნეს. წიგნიერების დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კითხვის სწავლების ბევრი სხვადასხვა მიღებობა შემუშავებული და ამ სფეროში პოლემიკა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამჟამად ყველაზე მეტად დებატები უონეგიური სწავლების და მთლიანი ენის მიღებობის გარშემო წარმოებს. ჩვენი მიზანი არ არის, განვიხილოთ წიგნიერების სწავლების ყველა არსებული სტრატეგია, წარმოგიდგენთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს და ძალიან მოკლედ გაგაცნობთ იმ დისკუსიებს, რომლებიც მათ გარშემო მიმდინარეობს.

ფონეტიური მეთოდი

ამ მიღებობის მთავარი თემაა – **საუკეთესო გზა კითხვის სწავლისთვის არის გზა ნაწილიდან მთელისკენ**. ამ მეთოდის მიხედვით, მოგარდები კითხვის სწავლისას პირველ რიგში ცდილობენ, გაიაზრონ ენის უმცირესი კომპონენტი და შემდეგ უკვე გადადიან მთლიანი ტექსტის გააზრებაზე (ადამსი, 1990; სტალი, 1998). ამ მიღებობაში ძირითადი აქცენტი ნაცნობი სიტყვების მარაგისა და ახალი სიტყვების შესწავლის მეშვეობით ფონეტიკური ელემენტების შესწავლაზე კეთდება.

ფონეტიკური მეთოდის მიხედვით, მოგარდი პირველ რიგში სწავლობს იმ სიტყვებს, რომლებშიც ერთსა და იმავე ფონეტიკურ კომპონენტებს ეხედებით, როგორიცაა, მაგალითად, ფონემა /დ/ სიტყვებში: დათვი, დოლი, დევი. ამ ელემენტს თავად ბავშვი აღმოაჩენს, რადგანაც იგი კითხულობს იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავენ კონკრეტულ ფონეტიკურ ელემენტს. შემდეგ ეფაპზე ბავშვი სწავლობს, თუ როგორ განასხვაოს ეს ფონემა სხვა ფონემებისაგან. მაგალითად, ის კითხულობს სიტყვებს – დათვი, მერხი, დოლი და იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, იწყება თუ არა ეს სიტყვები ერთი და იმავე ბერით, როგორც პირველად მიცემული სიტყვები (დათვი, დოლი, დევი). ამის შემდეგ მას მოეთხოვება, შეადგინოს სიტყვები, რომლებიც მის მიერ ნასწავლი ფონემისაგან შედგება. ხოლო მას შემდეგ, რაც ბავშვი ამ საფეხურს გადალახავს, მას დასჭირდება, ისწავლოს, თუ როგორ შეიძლება განაზოგადოს ეს ყველაფერი ახალი სიტყვების კითხვისას და, საბოლოო ჯამში, ნასწავლი გამოიყენოს – წაიკითხოს უკვე მთლიანი წინადაღებები და არა ცალკეული სიტყვები. იმის ნაცვლად, რომ შესწავლილ იქნას იზოლირებულად ცალკეული ბერები, მათი შესწავლა ხორციელდება კონტექსტში.

მასწავლებელი, როგორც წესი, სწავლებას ნაცნობი სიტყვებით იწყებს, რომელთა ფონეტიკური ელემენტები ბავშვისათვის ნაცნობია და შემდეგ ამაგებს ახალ სიტყვებს, რომლებიც იგივე ბგერები შეიძლება იყოს. როცა მობარდები იწყებენ სწავლას ნაცნობი სიტყვებით, მათ უნდა იცოდნენ, ან მათ უნდა შევასწავლოთ გარითმვის პრინციპი, რაც ხელს უწყობს ფონეტიკური ცნობიერების განვითარებას. არსებობს უამრავი ტექნიკური სქემა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ფონეტიკური სწავლების მეთოდების ათვისებაში.

ფონეტიკური მეთოდით გათვალისწინებული აქტივობებისთვის ერთი გაკვეთილის განმავლობაში ბევრი დროის დათმობა, შესაძლოა, მობარდებისთვის მოსაწყენი გახდეს და ამიტომაც ის მასალა, რომელიც სწავლების დროს გამოიყენება, უნდა იყოს რაც შეიძლება მიმზიდველი და საინტერესო. ფონეტიკის სწავლება არ უნდა დავიდეს უაბრო სავარჯიშოების გაკეთებასა და წესების გამოყენების ცხადია, ექსპლიციტური სწავლება ფონეტიკური ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად, ასევე ანბანის პრინციპების ათვისება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ეს ყველაფერი ავტომატიზმში არ გადაიტრდება.

მთლიანი ენის მიღვომა

მთლიანი ენის მიღვომა მობარდის განვითარების ფილოსოფიას ეფუძნება. ამ მიდგომის დამცველები დარწმუნებულები არიან, რომ ბავშვი კითხვასა და წერას ისევე სწავლობს, როგორც ლაპარაკსა და მოსმენას – ცდისა და შეცდომის მეთოდით და ენის პრაქტიკული და აქტიური გამოყენებით.

მთლიანი ენის მიღვომა ყურადღებას ამახვილებს ტექსტიდან აბრის გამოტანის მნიშვნელობაზე. მოტივაცია კითხვის სწავლის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული და ამიტომაც ავთენტური, საინტერესო ლიტერატურის გამოყენება, ტექსტებით მდიდარი გარემოს შექმნა იმისათვის, რომ მობარდებს კითხვის მიმართ მოტივაცია გავუდვივოთ, ამ მეთოდის ქვაკუთხედია. მთლიანი ენის მეთოდის მიხედვით, ფონეტიკის ექსპლიციტურად სწავლება არ არის აუცილებელი, რადგანაც ამ შემთხვევაში სწავლება მიმდინარეობს მთლიანიდან ნაწილისკენ; კონტექსტიდან გამომდინარე სიტყვის მნიშვნელობების გამოცნობა და ზედაპირულად აღქმა კითხვის სწავლის უპირველესი სტრატეგიაა.

ამ მეთოდის მიხედვით, კითხვის სწავლის უმცირესი ელემენტებიდან დაწყების და შემდეგ მთელზე გადასვლის ნაცვლად, კითხვის სწავლა იწყება პირიქით – მთლიანიდან ნაწილისკენ და ნაცნობიდან უცნობისკენ (გუდმანი და გუდმანი, 1982). სწავლა ამ კუთხით გულისხმობს არა ცალკეული სიტყვების კითხვის სწავლას, **არამედ ტექსტიდან** აზრის გამოტანის სწავლას. ამიტომაც კითხვის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს კომუნიკაციებისა და ბუნებრივი აქტივობების ფონზე მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში. ხოლო ნებისმიერი სახის სასწავლო აქტივობა, რომელიც ფონეტიკასთან არის დაკავშირებული (რაც შესაძლებელია, აუცილებლობის შემთხვევაში ინტეგრირებულ იქნას ამ მეთოდში) უნდა განხორციელდეს კონკრეტული აბრობრივი ტექსტის კონტექსტში და არა ცალკე (გუდმანი და გუდმანი, 1982; თირნი და რედენცი, 2000). ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს კითხვის უნარის განვითარებას, არის შინაგანი მოტივაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მობარდის ენთუზიაზმის გაზრდა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მობარდის კითხვის უნარის განვითარებაში.

მობარდთა მოტივაციის ბრდას და სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვას ხელს შეუწყობს ის, რომ მათ საკითხავად უნდა მიეცეთ საინტერესო, რეალურ ფაქტებთან ახლოს მდგომი ლიტერატურა; სიტყვის ამოცნობის უნარი ბავშვს აქტიური კითხვის, წერის პროცესში უნდა განუვითარდეს. კითხვის ეფექტურად სწავლა შესაძლებელია არა მასწავლებლის ინსტრუქციებით, არამედ მობარდების აღმოჩენების ხარჯზე (გუდმანი და გუდმანი, 1982; ჩარჩი, 1994; ვივერი, 1990).

მთლიანი ენის მეთოდის მიმდევარი მასწავლებლები ცდილობენ, საკლასო გარემო მასტიმულირებელი გახადონ მობარდებისთვის. კლასში მრავლად უნდა იყოს საბავშვო ლიტერატურა, ილუსტრირებული წიგნები, ხელოვნების ნიმუშები, რაც ხელს შეუწყობს მობარდთა ინტერესის გაღვივებას. მასწავლებლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ასევე ბიარი წიგნის პრინციპი (როდესაც მობარდები ერთად სხედან ”დიდი წიგნით”, რომელსაც ისინი კითხულობენ და ერთად მსჯელობენ). ამ მეთოდით მობარდებს ასევე წაახალისებენ, თავად დაწერონ მოთხოვნები, იკითხონ ლიტერატურა და წაიკითხონ ერთმანეთის ნაწერი (თირნი და რიდენსი, 2000).

ძირითადი კრიტიკა ამ მიდგომისა მდგომარეობს იმაში, რომ მობარდებს კითხვისას ხვდებათ ესა თუ ის სიტყვა და ისინი იგებენ მის მნიშვნელობას კონკრეტულ კონტექსტში, მაგრამ შემდეგში, შესაძლოა, ამ სიტყვას დიდი ხნის მანძილზე აღარ

შეხვდნენ. რა თქმა უნდა, იგივე არ ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მობარდებს კითხვის სწავლისთვის აუცილებელ ბაზისს უქმნიან და ახალი სიტყვების მნიშვნელობას სისტემატურად აწვდიან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარების ნაციონალური ინსტიტუტი ატარებდა კვლევების სერიას 30 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევები მკაფიოდ ადასტურებს ფონეტიკის სწავლების მნიშვნელოვნებას, ასევე ნათლად ჩანს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წაკითხულიდან ამრის გამოტანის, მოტივაციის და კითხვისაგან სიამოვნების მიღების ფაქტორები, რაც მთლიანი ენის მიღვომისას აქცენტირებულია. ამის გამო გაჩნდა მოსამარება, რომ **უფრო ეფექტურია** დაბალანსებული (ე.წ. კომბინირებული) მიდგომა, რომელიც მოიცავს ფონეტიკის სწავლებას და ამასთანავე ეყრდნობა მთლიანი ენის ფილოსოფიას.

კომბინირებული მიღება

იმის გამო, რომ კითხვის სწავლებასთან დაკავშირებული დებატები ძირითადად ფოკუსირებული იყო მეთოდების ორ ნაწილად – ფონეტიკურ და მთლიანი ენის მეთოდებად დაყოფის გარშემო, გაჩნდა რამდენიმე ახალი, საინტერესო მიღება. მაგალითის სახით კომბინირებული მიღების ორი ვარიანტის განვიხილავთ.

1. ერთობლივი სტრატეგიული კითხვა

ამ მიღების მიხედვით, მოზარდებს კითხვის სტრატეგიებს ასწავლიან ერთობლივად მუშაობისას. პირველ საფეხურზე მასწავლებელი მთელ კლასს უხსნის, ასწავლის კითხვის სტრატეგიებს პირდაპირი მითითებით, იმიტაციით და როლების გათამაშებით.

ძირითადი სტრატეგიები, რომელიც ისწავლება, არის:

- ⇒ **წინასწარი განხილვა.** ეს არის კითხვის დაწყების წინა ეტაპი. მოსწავლეებს მოეთხოვებათ, განხილონ ის, თუ უკვე რა იციან მოცემული საკითხის შესახებ და წინასწარ განჭვრიტონ, მათი აზრით, რას ისწავლიან დამატებით.
- ⇒ **"მონიშნე და გაახმოვანე".** მოსწავლეებს მოეთხოვებათ, აღნიშნონ, ტექსტის რომელი ნაწილი იყო რთული გასაგებად და რა უნდა მოიმოქმედონ იმისათვის, რომ გამოასწორონ მდგომარეობა. მაგალითად, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ის წინადადება, რომელიც რთული მოეჩვენათ, აგრეთვე ამ წინადადების წინ და შემდეგ მოცემული წინადადებები, ან დაყონ სიტყვა მცირე შემადგენელ ნაწილებად.
- ⇒ **არსის წვდომა.** გამოთქვან ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა, ჩამოთვალონ პიროვნებები ან ადგილები, მიუთითონ, თუ რა არის მნიშვნელოვანი ამ ადგილებში, პიროვნებებსა და საგნებში.
- ⇒ **შეჯამება.** წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დასვან კითხვები იმისათვის, რომ აჩვენონ, რამდენად გაიგეს და გაიაზრეს ტექსტში მოცემული ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხები და საბოლოო ჯამში შეფასდეს, თუ რა ისწავლეს მოსწავლეებმა ამ ტექსტიდან.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიყონ ჯგუფებად (არაერთგვაროვანი შემადგენლობით), სადაც მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ ამ სტრატეგიაზე და ყოველი მათგანი კონკრეტულ როლს ასრულებს (ჯონსონი და ჯონსონი, 1989; პალინსკარი და ბრაუნი, 1984). ამგვარმა მიღებამ კარგი შედეგი გამოიღო როგორც იმ მოსწავლეებთან, რომელთაც კითხვის სირთულეები ჰქონდათ, ასევე საშუალო და მაღალი მიღწევის მოსწავლეებთან.

2. რეპეტიტორი (მოსწავლე მასწავლებლის როლში)

მოსწავლეები უნდა გახდნენ მოცემული ტექსტისა თუ გაკვეთილის „ექსპერტები” და შემდეგ ასწავლონ თავიანთ თანატოლებს. ეს მეთოდი ცნობილია თანატოლების რეპეტიტორის სახელით. თითოეულ მოსწავლეს მიეწოდება ექსპერტის ფურცელი, სადაც აღწერილია, თუ რა უნდა წაიკითხოს; მოცემულია აგრეთვე რამდენიმე კითხვა და მინიშნებულია ის ჯგუფი (არაერთგვაროვანი სქესისა და შესაძლებლობების მიხედვით), რომელთანაც უნდა იმუშაოს. ამის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ მათვის განკუთვნილ ტექსტს და განიხილავენ მას თავიანთ „ექსპერტთა“ ჯგუფში (თავის მხრივ, ეს ჯგუფი შედგება სხვა კოოპერაციული ჯგუფის მოსწავლეებისგან, რომლებიც ასევე გახდებიან ექსპერტები იმავე ასპექტში), თუ რა არის ამ ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები. შემდეგ ისინი ბრუნდებიან თავიანთ კოოპერაციულ ჯგუფებში და უამბობენ ჯგუფის წევრებს, თუ რა ისწავლეს მათ ექსპერტთა ჯგუფში. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ ტესტი (სლავინი, 1983).

საბოგადოდ, კოოპერაციული სწავლის მიღვომამ დაამტკიცა, რომ ის ეფექტური სწავლების მეთოდია მეთოდების იმ მრავალ ჩამონათვალთა შორის, რომლებიც გამოიყენება ბოლო ათეული წლების განმავლობაში (სლავინი, 1983, 1996, ჯონსონი და ჯონსონი, 2000).

ავლევებზე ღაფუძნებული ინსტერჯიბი. სავარაუდოდ, ყველაზე ყოვლისმომცველი კვლევების სისტემა, რომელიც კითხვასთან დაკავშირებით ჩატარებულა, შექმნილია ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების ნაციონალურ ინსტიტუტში (NICHD). ეს ორგანიზაცია 1965 წლიდან სისტემატურად სწავლობს კითხვის უნარის განვითარებას ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და აზიის 41 საკვლევ რეგიონში. ბოლო ათწლეულების მანძილზე, NICHD-ს მკვლევრებმა შეისწავლეს 35 000-მდე მობარდის და ბრდასრული ადამიანის კითხვის უნარის განვითარების პროცესები. კვლევაში ჩართული იყვნენ როგორც კითხვაში პრობლემების მქონე პირები, ისე ჩვეულებრივი მკითხველები. ამ კვლევების

საფუძველზე განხორციელდა კითხვის ხელშემწყობი რამდენიმე პროექტი, რომელშიც 1980 წლიდან დღემდე 8 000-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

ამ კვლევებზე დაყრდნობით კითხვის ეფექტურ სწავლებასთან დაკავშირებული მრავალი მიგნება გამოიკვეთა.

- პირველ რიგში დაასკვნეს, რომ მასწავლებლებისა და მშობლების მიერ მობარდებისთვის ხმამაღლა კითხვა ძალიან ეფექტურია ლექსიკური მარაგის გამდიდრების, ენის გამოსახვის და ენობრივი ნიუანსების აღქმის უნარების განვითარებისთვის (ლიონი, 1999). ადრეულ ასაკში ბავშვის აღზრდაში ამ კუთხით ჩარევა ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ბავშვების კითხვის უნარის ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც კითხვაში პრობლემები შეიძლება ჰქონდეთ.
- მობარდების კითხვის უნარის განვითარებას ხელს უწყობს ლიტერატურულად მდიდარი გარემო და პრაქტიკული მეცანიერებები ავთენტური ლიტერატურისა და ნაცნობი მასალების კითხვაში. თუმცა ამ კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი, ავთენტური ლიტერატურა და მდიდარი კონტექსტი ვერ ჩაანაცვლებს ბერების დეკოდირების უნარების ჩამოსაყალიბებლად საჭირო ექსპლიციურ სწავლებას (ლიონი, 1999; მოოტსი, 1996).
- ბავშვის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად და ენის გასააზრებლად გამოყენებული უნდა იყოს საინტერესო და ავთენტური მოთხოვნები.
- იმ მობარდებისთვის, რომელთაც კითხვის სირთულეები აქვთ, ძალიან მნიშვნელოვანია ადრეული ასაკიდანვე კითხვის სწავლების პროცესში ჩარევა, რადგანაც კითხვის აქტივობების ინტენსივობა და ხანგრძლივობა ექსპონენციალურად უნდა იზრდებოდეს ასაკის მატებასთან ერთად (ლიონი, 1999).
- ფონეტიკის სწავლების ექსპლიციური მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მობარდთა იმ ჯგუფისათვის, რომელსაც კითხვის პრობლემები აქვს (ფურმენი, 1996).

ამერიკის კონგრესის შეკვეთით, NICHD-მა განიხილა მობარდებისთვის კითხვის სწავლების ყველაზე ეფექტურ სტრატეგიებთან დაკავშირებული ლიტერატურა. გამოქვეყნებული 100 000-ზე მეტი გამოკვლევის ანალიზის საფუძველზე დადგინდა:

- ფონეტიკისა და ფონეტიკური ცნობიერების (იმის ცოდნის, რომ სიტყვები შედგება ბგერების მცირე სეგმენტებისაგან) ექსპლიციტურად და სისტემატურად სწავლების აუცილებლობა;
- ფონეტიკური მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობა მობარდებისთვის წინა სასკოლო პერიოდიდან დაწყებული მექქანიკური კლასის ჩათვლით, ისევე როგორც უფრო გვიან ასაკში იმ მობარდებისთვის, რომელთაც კითხვაში სირთულეები აქვთ.
- მობარდების უმრავლესობისთვის ფონეტიკური მეთოდებით სისტემატური სწავლების ეფექტურობა, ხოლო დაბალი მიღწევის მობარდებისთვის, რომელთაც კითხვის სირთულეები აქვთ, კომბინირებული მეთოდის გამოყენების აუცილებლობა. (NICHD, 2000).
- მასწავლებლის ბედამხედველობის ქვეშ ხმამაღალი კითხვის ეფექტურობა. ამ დროს მოსწავლე მასწავლებელს ხმამაღლა უკითხავს ტექსტს, ხოლო კლასელები უსწორებენ კითხვისას დაშვებულ შეცდომებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დაოსტატებას კითხვაში, ეხმარება მათ ახალი სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობაში, ასწავლის გამართულად კითხვას და ბოგადად, ხელს უწყობს კითხვის უნარის სრულყოფილად ჩამოყალიბებას.
- ლექსიკური მარაგის შეძენა უმჯობესია ერთდროულად ორი მეთოდის გამოყენებით – პირდაპირ (კონკრეტული ტექსტის გამოყენების გარეშე) და არაპირდაპირ (სიტყვებით, რომლებიც კონკრეტულ ტექსტში გვხვდება).
- სიტყვების გამეორება და მათი მრავალჯერადად გამოყენება ხელს შეუწყობს სიტყვათა მარაგის გამდიდრებას.
- არ გამოიკვეთა არც ერთი ცალკე აღებული მეთოდი, რომელიც სხვებზე უფრო ეფექტურია.

ძირითადი დასკვნა: კითხვის უნარის სრულყოფილად ჩამოყალიბებას ეფექტურად შეუწყობს ხელს სისტემატურად სხვადასხვა ტექნიკისა და განსხვავებული სტრატეგიების გამოყენება.

ლიტერატურული კონტენტის სწავლის სტანდარტის შესახებ

როგორც ვხედავთ, კითხვის სწავლა საკმაოდ რთული პროცესია. კითხვის უფასებელი სწავლებისა და კითხვის პრობლემების დაბლევის შესახებ დღემდე კამათობენ განათლების სპეციალისტები და ფსიქოლოგები. მეცნიერები გამოყოფენ კითხვის სწავლების 5 სფეროს:

- ➡ ფონემური ცოდნა (ფონემების გაცნოებიერების უნარი)
- ➡ ცოდნა ენის ასო-ბერების შესახებ
- ➡ კითხვის მოქნილობა
- ➡ ლექსიკური მარაგი
- ➡ წაკითხულის გააზრება

ფონემური ცოდნა

ფონემები – ისეთი სამეტყველო ბერებია, რომელთა ურთიერთჩანაცვლების შედეგად იცვლება სიტყვის მნიშვნელობა. მაგ. ქართულში ფონემებია ბ – ს – ბარი – სარი სხვადასხვა სიტყვაა, ქ – კ – ქარი – კარი ასევე განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებია²³.

ფონემების გაცნობიერების უნარი სხვადასხვა ასპექტს მოიცავს:

- ➡ სიტყვის პირველი ბერის გამოყოფა – რა ბერაზე იწყება სიტყვა; სიტყვებში პირველი ბერის იგივეობა (მაგ., ბარი, ბალი, ბანანი)
- ➡ სიტყვაში პირველი და ბოლო ბერის გამოყოფა – მაგ. სიტყვაში „ფანჯარა“ პირველი ბერაა ფ და ბოლო – ა
- ➡ ბერების სიტყვად გაერთიანება – მაგ., თ ხ ა – თხა; ვ ა შ ლ ი – ვაშლი.
- ➡ სიტყვის ბერებად დაშლა – მაგ., თარო – თ ა რ ო.

მეცნიერები კვლევის მიხედვით, ბავშვები, რომლებსაც კარგად განვითარებული აქვთ ფონემების გაცნობიერების უნარი²⁴, ადგილად ითვისებენ კითხვას და მართლწერას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში

²³ ჩვენს სინამდვილეში ბერებასა და ფონემას შორის განსხვავების წარმოჩენის კარგი მაგალითია რბილი „ლ“ და მაგარი „ლ“. ისინი ხშირედ ფონემურად არ განსხვავდება.

²⁴ ფონემების გაცნობიერების უნარი გულისხმობს იმის გაგებას, რომ სამეტყველო ბერების კომბინირებით სიტყვების შექმნა შეიძლება. ენის ასო-ბერების შესახებ ცოდნა კი გულისხმობს ასოს (გრაფემას) და ბერებას (ფონემას) შორის მეარი კავშირის გავებას. ფონოლოგიური ცნობიერება უფრო ფართო კატეგორიაა, რომელშიც ფონემების გაცნობიერების კონკრეტული უნარიც მოიახრება. ფონოლოგიური ცნობიერება სიტყვების, მარცვლების, რითმების, ინტონაციის თუ მახვილის ცნობას, გარჩევასა და ამ კომპონენტებით მანიპულირებას გულისხმობს.

აღნიშნული უნარის განვითარებაზე ბრუნვას. ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ სკოლამდელი აღზრდის სისტემას ეხება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის სასკოლო მზაობის ფორმირებასა და ბავშვის ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას.

ბავშვების ფონოლოგიური ცნობიერება შეიძლება გამოვლინდეს შემდეგ მოქმედებებში:

- ⇒ გარითმვა: მაგ., პური-ყური, კედელი-მჭედელი;
- ⇒ სიტყვებში მარცვლების გამოყოფა: მაგ., ფორთოხალი – **ფორ-თო-ხა-ლი**;
- ⇒ სიტყვებში პირველი და ბოლო მარცვლის გამოყოფა: მაგ., კარადა, პირველი მარცვალია კა-, ბოლო მარცვალია -და.
- ⇒ სიტყვაში ერთი ბერის ან ერთი მარცვლის ისე შეცვლა, რომ ახალი სიტყვა გამოვიდეს. მაგ. ბოლი-ბალი; თოხი-თოფი; თავი-თათი.

რას გვეუბნება მეცნიერული კვლევები ფონემური გაცნობიერების უნარის განვითარების შესახებ? ფონემური გაცნობიერების უნარი შესაძლებელია გავარჯიშდეს და დასწავლილ იქნება. ამ უნარის სტიმულირება და გავარჯიშება აუმჯობესებს ბავშვების კითხვის უნარს და წაკითხულის გააზრებას. ფონემური გაცნობიერების უნარის განვითარების შედეგად ბავშვები სწრაფად და თავისუფლად კითხულობენ რთულ სიტყვებსაც კი, ავტომატიზებული ხდება სიტყვების წაკითხვა, **ამიფომ მათ უკვე შეუძლიათ მეტი ყურადღების გამახვილება წაკითხულის შინაარსბეჭვა**. გარდა ამისა, ამ უნარის განვითარება ხელს უწყობს მართლწერის ათვისებას.

მასწავლებლები მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებს იყენებენ მოსწავლეთათვის ფონემების გაცნობიერების უნარის განვითარების და გავარჯიშების მიზნით. კერძოდ, კვლევების მიხედვით, ყველაზე გავრცელებული და ეფექტური სავარჯიშოებია:

- ⇒ **ფონემის იზოლაცია** – სიტყვაში ერთი ბერის ცნობა. მაგ.: რა არის პირველი ბერა სიტყვაში “თავი”?
- ⇒ **ფონემის იდენტურობა** – სხვადასხვა სიტყვაში ერთნაირი ბერის ცნობა. მაგ.: რომელი ბერაა ერთნაირი შემდეგ სიტყვებში: კატა, კომში, კედელი?
- ⇒ **ფონემების კატეგორიზაცია** – სხვადასხვა სიტყვაში საწყისი ბერის გამორჩევა და ამის მიხედვით სიტყვების კლასიფიკაცია. მაგ.: რომელი სიტყვა იწყება განსხვავებული ბერით: თითი, თარო, ტაფა.

⇒ **ფონემების გაერთიანება** – ფონემების თანმიმდევრობის მოსმენა და მათი ერთ სიტყვად გაერთიანება, შემდეგ ჩაწერა და წაკითხვა. მაგ.:

მასწავლებელი: რა სიტყვა იქნება **ძ-ა-ლ-ლ-ი?**

ბავშვები: ძალლი.

მასწავლებელი: ახლა ჩავწეროთ ამ სიტყვის ბგერები: ძ (ჩაწერეთ) ა, ლ, ლ, ი.

ამის შემდეგ მასწავლებელი თვითონ წერს დაფაზე სიტყვას „ძალლი”.

მასწავლებელი: ახლა კი წავიკითხოთ, რა დავწერეთ: ძალლი.

⇒ **ფონემის სეგმენტაცია** – სიტყვის ბგერებად დაშლა, ან სიტყვაში შემავალი ბგერების დათვლა. მაგ.:

მასწავლებელი: რამდენი ბგერაა სიტყვაში „თოხი”?

ბავშვები: 4 ბგერაა.

მასწავლებელი: რა ბგერებია?

ბავშვები: თ თ ხ ი.

მასწავლებელი: ახლა ჩავწეროთ ეს ბგერები თ (ჩაწერეთ), თ, ხ, ი.

მასწავლებელი: ახლა წავიკითხოთ, რა ჩავწერეთ?

⇒ **ფონემის გამოკლება (წაშლა)** – ახალი სიტყვის მიღება სიტყვაში ერთი ფონემის გამოკლებით. მაგ.:

მასწავლებელი: რა სიტყვას მივიღებთ, თუ სიტყვას „შეელი” გამოვაკლებთ
პირველ ბგერას „შ”?

⇒ **ფონემის დამატება** – ახალი სიტყვის შექმნა არსებულ სიტყვაზე ფონემის დამატებით. მაგ.:

მასწავლებელი: რა სიტყვას მივიღებთ, თუ სიტყვას „ალამი“ დავამატებთ
პირველ ბგერას „კ”?

ბავშვები: „კალამი”.

⇒ **ფონემის შეცვლა** – ახალი სიტყვის შექმნა სიტყვაში ერთი ფონემის შეცვლით. მაგ.:

მასწავლებელი: სიტყვაში „ქვა” „ქ“ შეცვალოთ „რ“ ბგერით, რა სიტყვას მივიღებთ?

ბავშვები: „რვა”.

ფონემების გაცნობიერების უნარის გავარჯიშება მეტად მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში, სანამ ბავშვი ანბანის ასოებს ისწავლის. კვლევების

მიხედვით, განსაკუთრებით შედეგიანია ამ უნარის განვითარება ანბანის ასოების დაუფლებასთან ერთად.

ფონემების გაცნობიერების უნარის სტიმულირება განსაკუთრებით ეფექტურია, თუ ერთი სასწავლო წლის პერიოდში საშუალოდ 20 საათი ეთმობა ფონემების გაცნობიერების უნარის განვითარების პროგრამას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს წერა-კითხვის ათვისებაში.

ენის ასო-ბგერითი მიმართების სნავლება

ენის ასო-ბგერითი მიმართების სწავლება გულისხმობს ფონემებისა და გრაფემების შესატყვისობის სწავლებას წერისა და კითხვის დროს.

ენის ასო-ბგერითი მიმართების სწავლება მოიცავს:

- ➡ გრაფო-ფონემურ მიმართებებს
- ➡ ასო-ბგერით კავშირებს
- ➡ ასო-ბგერით შესატყვისობას
- ➡ ბგერით-სიმბოლურ შესატყვისობას
- ➡ ბგერების გამოთქმას და მართლწერას.

ასო-ბგერითი მიმართების სწავლება ეხმარება მოსწავლეებს ანბანის პრინციპის გაგებასა და გამოყენებაში. ბავშვები სწავლობენ, რომ არსებობს მყარი და განსაზღვრული კავშირი დაწერილ ასოებსა და გამოთქმულ ბგერებს შორის.

აღმოჩნდა, რომ ასო-ბგერითი მიმართების სისტემატური და თანმიმდევრული სწავლება:

- ➡ შემდგომში აუმჯობესებს წაკითხულის გააჩრებას;
- ➡ განსაკუთრებით სასარგებლოა კითხვის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის (ფონემების გაცნობიერების უნარის გავარჯიშებასთან ერთად იგი კითხვის პრობლემების პრევენციის კარგი საშუალებაა).

ასო-ბგერითი მიმართებების სწავლების პროგრამები მრავალფეროვანია და მასწავლებლები განსხვავებულ მიღებას იყენებენ, თუმცა ყველა მათგანის მიზანია

ბავშვებისთვის სიტყვების დეკოდირების (ამოკითხვის) სწავლება ასო-ბგერითი კავშირების დასწავლის გზით.

ასო-ბგერითი მიმართების სწავლების პროცერამები:

- ▶ **სინთეზური** – ბავშვები სწავლობენ, თუ როგორ უნდა გარდაქმნან ასოები ბგერებად და როგორ უნდა გააერთიანონ ეს ბგერები სიტყვებად;
- ▶ **ანალიტიკური** – ბავშვები სწავლობენ ასო-ბგერით კავშირებს დასწავლილი სიტყვების ანალიზის საფუძველზე. ამ დროს არ ხდება სიტყვების ცალკეულ ბგერებად გამოთქმა.
- ▶ **ანალოგიაზე დაფუძნებული** – ბავშვები სწავლობენ ნაცნობი სიტყვების ნაწილების გამოყენებას ისეთი უცნობი სიტყვების წაკითხვისას, რომელშიც შედის ნაცნობი სიტყვის ნაწილი.
- ▶ **მართლწერის გამოყენება** – ბავშვები სწავლობენ სიტყვების ფონემებად დანაწევრებას და ფონემებისგან სიტყვების შედგენას ამ ფონემების შესატყვისი ასოების ჩაწერით.

აღნიშნული პროგრამები სისტემატიზებული და ექსპლიციტურია, რადგანაც მოსწავლეები სწავლობენ ასო-ბგერების დაკავშირებას, შესატყვისობას, სიტყვების ასო-ბგერებად დაშლას და ასო-ბგერებისგან სიტყვების აწყობას. ასეთი სისტემატიზებული მეთოდები ეხმარება ბავშვებს, გამოიყენონ ასო-ბგერითი კავშირები და შესატყვისობები სიტყვების წერა-კითხვისას. აღნიშნული პროგრამების გამოყენების ხანგრძლივობა მაქსიმუმ 2 წელია. ამ პერიოდში მიმართებული პროგრამების საშუალებით ბავშვების უმრავლესობა თავისუფლად ეუფლება წერა-კითხვას.

ასო-ბგერითი მიმართების არასისტემატური და ირიბი სწავლებაა ისეთი პროგრამები, როგორიცაა:

- ▶ **ლიტერატურული პროგრამა** – სადაც ყურადღება გამახვილებულია წერა-კითხვის აქტივობებზე და ასო-ბგერითი მიმართებების სწავლება გაბნეულია ამ აქტივობებში. ასოები და მათთან დაკავშირებული ბგერები ისწავლება კითხვის პროცესში.
- ▶ **ბაზალური კითხვის პროგრამა** – რომლის საფუძველია მთლიანი სიტყვის წაკითხვაზე მიმართული აქტივობები და ყურადღების გამახვილება სიტყვის მნიშვნელობაზე;
- ▶ **მთლიანი სიტყვის ამოცნობის პროგრამა** – ბავშვებს ასწავლიან სურათების შესატყვისი მთლიანი სიტყვის ამოცნობას, დაახლოებით

50-დან 100 სიტყვამდე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვები ისწავლიან სურათების შესატყვისი სიტყვების წაკითხვას, მათ ასწავლიან ასო-ბგერით მიმართებებს.

კითხვის მოქნილობა

მოქნილობა გულისხმობს ტექსტის ბუსტად და სწრაფად წაკითხვას. მოქნილობა მეტად მნიშვნელოვანი უნარია, რადგან წარმოადგენს ხიდს სიტყვების ცნობასა და მათი მნიშვნელობის გავებას შორის. შესაბამისად, ამ უნარის მქონე მკითხველი ერთდროულად ცნობს სიტყვას და იგებს მის მნიშვნელობას. ის არ არის კონცენტრირებული სიტყვების დეკოდირებაზე (ასო-ბგერითი მიმართების დადგენაზე) და ამიტომ მისი ყურადღება მნიშვნელობასა და ტექსტში გადმოცემულ აზრზეა მიმართული. ასევე, ადვილად ამყარებს აზრობრივ კავშირს ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს შორის.

მოქნილობის ხარისხი იცვლება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რას კითხულობს ადამიანი – ნაცნობ თუ უცნობ ტექსტს, ტექსტს უცნობი და რთული სიტყვებით და ა.შ. მაგ., ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული შეფასებისას აღმოჩნდა, რომ მე-4 კლასელთა 44%-ს მოქნილობის დაბალი ხარისხი და შესაბამისად წაკითხულის გააზრების მწირი უნარი აქვთ, რადგან ეს ორი უნარი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

არსებობს კითხვის მოქნილობის გასაუმჯობესებელი ორი სტრატეგია:

- ⇒ ხმამაღალი განმეორებითი კითხვა: მოსწავლეები ტექსტის ნაწილებს ხმამაღლა კითხულობენ და მასწავლებლისგან მკაფიო უკუკავშირს იღებენ;
- ⇒ ჩუმი კითხვა, კითხვა „თავისთვის”: მოსწავლეები ჩუმად და დამოუკიდებლად კითხულობენ.

მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ ხმამაღალი, განმეორებითი კითხვა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოქნილობას, მაშინ როცა ჩუმ კითხვასთან დაკავშირებით ახეთი მნიშვნელოვანი ეფექტი აღმოჩენილი არ არის. ბავშვები ტექსტის ნაწილების რამდენჯერმე ხმამაღლა წაკითხვისას, მასწავლებლის დახმარებით მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ კითხვის ტემპს, სიბუსტეს, სიტყვების ამოცნობის უნარს. მასწავლებლები კლასში ხშირად იყენებენ ხმამაღლად კითხვის მეთოდს, როდესაც რიგ-რიგობით აკითხებენ მოსწავლეებს. ეს მეთოდი არ აუმჯობესებს მოქნილობას, რადგანაც თითო მოსწავლე მხოლოდ ერთხელ კითხულობს ტექსტის მცირე ნაწილს.

ხმამაღლალი განმეორებითი კითხვის დროს კი მოსწავლეები რამდენჯერმე კითხულობენ ტექსტის ერთსა და იმავე ნაწილებს, სანამ მოქნილობის გარკვეულ ხარისხს არ მიაღწევენ.

კითხვის მოქნილობის გაუმჯობესება პირველ რიგში შესაძლებელია მოსწავლეთათვის კარგი კითხვის მაგალითის ჩვენებით. აუცილებელია, მასწავლებელმა ტექსტის ნაწყვეტი გამოთქმით წაუკითხოს კლასს და შემდეგ სთხოვოს მოსწავლეებს, წაიკითხონ იგივე ტექსტი. ბუნებრივია, რამდენჯერმე ერთი და იმავე ტექსტის წაკითხვა მოსაწყენია. შესაბამისად, შეიძლება გაკვეთილზე სხვადასხვა ტიპის სიტუაციის მოფიქრება, სადაც რამდენჯერმე ერთი და იმავე ტექსტის წაკითხვა არ იქნება მოსაბეგრებელი²⁵.

კითხვის მოქნილობაზე მუშაობა უნდა გაფრმელდეს კითხვის ავტომატიზებულ ჩვევად გადაქცევამდე.

კითხვა არ არის ავტომატიზებული თუ:

- ⇒ უცხო ტექსტის წაკითხვისას მოსწავლე შეცდომით, ან საერთოდ ვერ ამოიცნობს ლექსიკური ერთეულების 10%-ს;
- ⇒ ვერ კითხულობს გამოთქმით და შესაბამისი ინტონაციით;
- ⇒ ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ მოსწავლეს უჭირს აბრის გამოფანა წაკითხულიდან.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხმამაღლა საკითხავი ტექსტი ცყოლოს:

- ➡ მარტივი (დასაშვებია, რომ 20 სიტყვაში 1 სიტყვის ამოკითხვა იყოს გაძნელებული);
- ➡ მოკლე (50-დან 200 სიტყვამდე, მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად)
- ➡ საინტერესო და ცნობისმოყვარეობის აღმდვრელი.

მოქნილობაში სავარჯიშოდ განსაკუთრებით კარგია ლექსები.

25 ამ ოვალსაზრისით სასარგებლოა ზღაპრები, სადაც ფრაზები მეორდება. მაგ., ზღაპარი „გვრიტი“. ასევე „თხამ გენახი შეჭამა“, „რწყილი და ჭიანჭველა“.

არსებობს ხმამაღალი კითხვის რამდენიმე მეთოდი:

- ⇒ ბავშვი-უფროსის კითხვა: ამ დროს ბავშვი და უფროსი ერთმანეთს ენაცვლებიან კითხვისას. პირველად კითხულობს უფროსი და აჩვენებს მაგალითს. შემდეგ კი ბავშვი რამდენჯერმე კითხულობს იმავე ტექსტს ხმამაღლა უფროსის დახმარებით.
- ⇒ გუნდური კითხვა: ანუ უნისონში კითხვა, როდესაც მასწავლებელი და ბავშვები ერთად კითხულობენ მოკლე ტექსტს. ჯერ მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ხმამაღლა წაიკითხონ რამდენჯერმე (3-ჯერ).
- ⇒ წყვილში კითხვა: 2 მოსწავლე უკითხავს ერთმანეთს ხმამაღლა, რიგრიგობით. ამ დროს კარგია, თუ წყვილში განსხვავებული უნარის მკითხველებია, რადგანაც კარგი მკითხველი ეხმარება სუსტ მკითხველს.
- ⇒ ძკითხველთა ოჯაფრი: მოსწავლეები სწავლობენ პიესას, სადაც დიალოგებია. გაკვეთილზე ინაწილებენ როლებს და კითხულობენ დიალოგებს. ასეთი სიტუაცია კარგი საფუძველია ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვისათვის. ეს მეთოდი ასევე სახალისოს ხდის კითხვას.

რადგანაც გაქვეთილის დრო შეზღუდულია აღნიშნული ტიპის ვარჯიშისთვის, მეტად მნიშვნელოვანია, ამგვარ აქტივობებში თვალის წევრების ჩართვა. ამიტომ ხშირად მასწავლებლები სახლში მშობლებს სთხოვენ, წაუკითხონ ბავშვს ტექსტი ხმამაღლა. კარგი კითხვის მაგალითი ბრდის ბავშვის ინტერესს წიგნისადმი, უმდიღებს ბავშვს ლექსიკას და, რაც მთავარია, წაახალისებს ხმამაღლალ კითხვაში.

კითხვის მოქნილობის შემოწმება ხდება მოსწავლის ხმამაღლალი კითხვისას მისი ინტენსიურის, პაუზების და ტემპის შეფასებით. მოქნილობის ხარისხი მაღალია, თუ მოსწავლე:

→ კითხულობს წუთში 90 სიტყვაზე მეტს²⁶;

²⁶ ამერიკელების მიერ გამოქვეყნებული ასაკობრივი ნორმის მიხედვით პირველი კლასის ბოლოს მოსწავლის კითხვის ხტანდარტია წუთში 60 სიტყვის სწორად წაკითხვა; მეორე კლასის ბოლოს – 90-110 სიტყვა წუთში, ხოლო საშუალოდ 114 სიტყვა – მესამე კლასის ბოლოს. Put Reading First. The research building blocks of Reading Instruction. National Institute of Literacy. 2003, გვ. 29

- ▶ კითხულობს ექსპრესიულად: ინტონაციით, საჭირო პაუზებით სასვენ ნიშნებთან;
- ▶ კარგად იგებს წაკითხულის შინაარსს.

ლექსიური მახაგი

ლექსიკური მარაგი იმ სიტყვების ცოდნაა, რომელსაც ჩვენ კომუნიკაციისათვის ვიყენებთ. განასხვავებენ ზეპირ ლექსიკონს და კითხვის ლექსიკონს. ზეპირი ლექსიკონია სიტყვების მარაგი, რომელსაც ვიყენებთ საუბრისას და სხვისი ნათქვამის გაგებისას; კითხვის ლექსიკონია სიტყვების მარაგი, რომელსაც ვცნობთ ან ვიყენებთ წერისა და კითხვის დროს.

ლექსიკური მარაგი მეტად მნიშვნელოვანია წაკითხულის გააზრებისათვის. სიტყვათა მნიშვნელობების ცოდნის გარეშე მკითხველი ვერ გაიგებს ტექსტში გადმოცემულ აზრს.

მკვლევრები გამოყოფენ 4 სახის ლექსიკონს:

- ⇒ სმენით ლექსიკონს – სხვისი ლაპარაკისას სიტყვების გაგებისათვის საჭირო მნიშვნელობების ცოდნა;
- ⇒ ზეპირ ლექსიკონს – სიტყვების გამოყენება ჩვენი საუბრისას;
- ⇒ კითხვის ლექსიკონს – წაკითხულის შინაარსის გაგებისათვის სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა;
- ⇒ წერით ლექსიკონს – სიტყვების მნიშვნელობის გამოყენება წერისას.

ბავშვი სიტყვის მნიშვნელობებს ირიბად ეუფლება უფროსებთან ურთიერთობის, ყოველდღიური გამოცდილების მიღების პროცესში.

სიტყვის მნიშვნელობის უნებლიერ დაუფლების 3 გზა არსებობს:

- ▶ უფროსებთან საუბრის, დიალოგის, მათი მოსმენის გზით;
- ▶ როდესაც უფროსი უკითხავს ბავშვს წიგნს;
- ▶ როდესაც ბავშვი თვითონ კითხულობს ხშირად.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი სიტყვის მნიშვნელობებს ირიბად ეუფლება ზემოაღნიშნული აქტივობების საფუძველზე, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსიკურ მარაგზე სპეციალურ, სისტემატურ მუშაობას. ასეთი სისტემატური მუშაობა მოიცავს:

1. მოსწავლეთათვის მოსმენილი ან წაკითხული სიტყვის მნიშვნელობის ახსნას;

2. მოსწავლეთათვის სიტყვის დასწავლის სტრატეგიების სწავლებას.

სიტყვის მნიშვნელობის გაგება, მისი სხვა მნიშვნელობებთან დაკავშირება (სინონიმები, ანტონიმები), სიტყვის მნიშვნელობის კონტექსტში გაგების სწავლება სხვადასხვა მეთოდებით არის შესაძლებელი. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს: გაკვეთილზე წაკითხული ტექსტიდან სიტყვის მნიშვნელობების განმარტება; დისკუსიის მოწყობა სიტყვის მნიშვნელობის გაგებაზე; ლექსიკონების გამოყენება; ცნებების განმარტება და მათი მსჯელობებში გამოყენება; კონტექსტით განსხვავებული მსჯელობის, წინადაღების მოყვანა, სადაც სიტყვას უკვე სხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს; ახალი სიტყვების სიტუაციურ საუბარში გამოყენება გაკვეთილზე და ა. შ.

ნაყითხურის გააზიარება

კითხვის სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი შედეგია ის, რომ კარგი მკითხველი სწრაფად და ბუსტად იგებს წაკითხულის შინაარსს და აზრს.

წაკითხულის გააზრების უნარი შეიძლება გაუმჯობესდეს სისტემატური სწავლებით, რომლის შედეგადაც მკითხველებს გამოუმუშავდებათ წაკითხულის გააზრების სპეციფიკური სტრატეგიები. ეს სტრატეგიები ცნობიერი სქემებია, რომლის საფუძველზე მკითხველი იგებს ტექსტში გადმოცემულ აზრებს.

მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია შემდეგი 6 სტრატეგიის დადებითი ეფექტი:

- გაგების მონიტორინგი (შემოწმება)
- გრაფიკული და სემანტიკური სქემების გამოყენება
- კითხვებზე პასუხის გაცემა
- კითხვების ჩამოყალიბება
- ტექსტის სტრუქტურის ამოცნობა
- შეჯამება.

გაგების მონიტორინგი

გაგების მონიტორინგის, ანუ შემოწმების შედეგია ის, რომ მოსწავლემ იცის, წაკითხულიდან რა გაიგო, რა ვერ გაიგო და რას სჭირდება დაგუსტება.

მოსწავლეებმა უნდა აითვისონ წაკითხულის გავების შემოწმების შემდეგი სტრატეგიები:

- ➡ ტექსტის გაუგებარი ნაწილის განსაზღვრა;
- ➡ ტექსტის რთულად გასაგები ნაწილის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა;
- ➡ ტექსტის თავიდან გადახედვა;
- ➡ ტექსტში ისეთი ინფორმაციის მოძებნა, რომელიც დაეხმარება ტექსტის რთული ნაწილის გაგებაში.

გრაფიკული და სემანტიკური სქემების გამოყენება

ეს სტრატეგია გულისხმობს ტექსტში მოცემულ მსჯელობებსა და ცნებებს შორის მიმართების გრაფიკულ გამოხატვას. ტექსტის გრაფიკული და სქემატური ორგანიზება ეხმარება მკითხველს, გამოყოს ძირითადი აზრები და ცნებები, გაარკვიოს, როგორ არის ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული აზრები ერთმანეთთან დაკავშირებული და რა მიმართებაა ამ აზრებს შორის.

ტექსტის გრაფიკული, სქემატური ორგანიზება ეხმარება მოსწავლეს:

- ➡ კითხვისას ყურადღება გაამახვილოს ტექსტის სტრუქტურაზე;
- ➡ შეამოწმოს და ვიზუალურად გამოსახოს ტექსტში მოცემული აზრობრივი მიმართებები;
- ➡ დაწეროს ტექსტის ძირითადი დებულებების შეჯამება.

კითხვების პასუხის გაცემა

წაკითხულის უკეთ გასაგებად სასარგებლოა კითხვების დასმა წაკითხულის შესახებ. მასწავლებლის კითხვები ეხმარება მოსწავლეს, კარგად გაიგოს ტექსტის შინაარსი. კითხვები წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით ეფექტურია კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად, რადგანაც მოსწავლე:

- ➡ უკეთ იგებს კითხვის მიზანს;
- ➡ ყურადღებას ამახვილებს დასასწავლ მასალაზე;
- ➡ აქტიურად ფიქრობს კითხვისას;
- ➡ ამოწმებს, რა გაიგო ტექსტში და რა – არა;
- ➡ აანალიზებს ტექსტს იმის მიხედვით, რა გაიგო ახალი და რა არის მისთვის უკვე ნაცნობი.

მასწავლებლის კითხვები ეხმარება მოსწავლეს:

- ➡ დაუბრუნდეს ტექსტს და იპოვოს პასუხი იმ კითხვებზე, რასაც ვერ გასცა პასუხი;
- ➡ კითხვა დაუკავშიროს ტექსტში მოცემულ აზრს და იდეას.

კითხვები ტექსტის გარშემო შეიძლება ეხებოდეს:

- ➡ ტექსტში ცხადად მოცემულ ინფორმაციას;
- ➡ ტექსტში სხვადასხვა ადგილას მოცემულ ინფორმაციას, რომელთა ურთიერთდაკავშირებაც არის საჭირო;
- ➡ დედაამრს, რაც არ არის მოცემული ტექსტში პირდაპირ და მისი გაგებისათვის შეიძლება საჭირო იყოს მკითხველის გამოცდილება ან დაგროვილი ცოდნა.

კითხვების ჩამოყალიბება წაკითხული ტექსტის გარშემო

მოსწავლეები სწავლობენ, თუ როგორ უნდა დასვან კითხვები წაკითხულ მასალაზე. ეს სტრატეგია იძლევა ტექსტის შინაარსის უკეთ გაგების საშუალებას. კითხვის დამოუკიდებლად დასმისას მოსწავლე სწავლობს ტექსტის სხვადასხვა ნაწილებიდან ინფორმაციის ამოკრებას და ინტეგრირებას. მაგ. მოსწავლეს შეიძლება ვთხოვთ, დასვას კითხვები ტექსტში გადმოცემული ძირითადი აზრის შესახებ.

ტექსტის სტრუქტურის ამოცნობა

ტექსტის სტრუქტურა გულისხმობს მასში გადმოცემული მოვლენების, შინაარსის ერთ მთლიან სიუჟეტად გაერთიანებას. ის მოსწავლეები, ვისაც შეუძლია ტექსტის სტრუქტურის გაგება, კარგად იმახსოვრებენ მოთხრობის, ტექსტის დეტალებს, კარგად იგებენ ტექსტის აზრს.

ტექსტის სტრუქტურის ამოცნობის სწავლება ნიშნავს შინაარსის კატეგორიების გამოყოფას: შესავალი სიტუაციის, მოქმედების ან მოვლენების დაწყების, მიზნების, შედეგების და იმის გაანალიზებას, თუ როგორ აერთიანებს შინაარსობრივ ელემენტებს სიუჟეტი. ერთ-ერთი სასარგებლო სტრატეგია ტექსტის (მაგალითად, მოთხრობის) „რუკის“ შექმნაა.

მოთხოვთ „რუკა“ მისი გრაფიკული გამოხატულებაა, სადაც სქემაზე რადმოცემია მოვლენათა თანმიმდევრობა. ამ მეთოდს, ძირითადად, იყენებენ მარტივი ტექსტების, მოთხოვთების სწავლებისას.

შეჯამება

ეს სტრატეგია გულისხმობს ტექსტის ძირითადი იდეების შეჯამებას. შეჯამების სტრატეგიის გამოყენებით, მოსწავლემ უნდა გამოყოს, რა არის ტექსტში ძირითადი და გადმოსცეს თავისი სიტყვებით.

შეჯამების სწავლება ეხმარება მოსწავლეს:

- ➡ ტექსტის ძირითადი იდეების გამოყოფაში;
- ➡ ძირითადი იდეების ურთიერთდაკავშირებაში;
- ➡ ბედმეტი ან უსარგებლო ინფორმაციის უგულებელყოფაში;
- ➡ წაკითხულის შინაარსის დამახსოვრებაში.

მრავალი კვლევა მიუთითებს, რომ წაკითხულის გააზრებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას და წარმოსახვის უნარს.

წაკითხულის გააზრებაზე მუშაობა დაწყებითი კლასებიდან უნდა დაიწყოს. კითხვის სწავლების პროცესში ყერადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ როგორ აკავშირებენ მოსწავლეები მოთხოვთების ნაწილებს, რა გაიგეს, რა კითხვა შეუძლიათ დასვან კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით და ა.შ.

წაკითხულის გააზრების ეფექტური სტრატეგიები სპეციალურად დაგეგმილია სწავლების პროცესში. ის მოიცავს რამდენიმე საფეხურს:

- ➡ **პირდაპირ ახსნას:** მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რაფომ არის საჭირო წაკითხულის კარგად გაგებისათვის სპეციალური სტრატეგიის გამოყენება;
- ➡ **მოდელირებას, მაგალითის ჩვენებას:** მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს მაგალითზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ კონკრეტული სტრატეგია წაკითხულის გასააზრებლად. ამისათვის ყველაზე კარგი საშუალებაა „ხმამაღალი ფიქრის“ მეთოდი ტექსტის გარშემო.
- ➡ **გავარჯიშებას მასწავლებლის ბედამხედველობით** – მოსწავლეები იყენებენ კითხვის რომელიმე სტრატეგიას და მასწავლებელი ეხმარება საჭიროებისამებრ.

- ➡ დამოუკიდებელ გამოყენებას – მასწავლებელი ნაკლებად ერევა მოსწავლის მიერ კითხვის სტრატეგიის გამოყენების პროცესში და მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობს.

წაკითხულის გააზრების ეფექტური სტრატეგია ისწავლება კოოპერაციული (თანამშრომლობითი) სწავლების დროს. განსაკუთრებით ეფექტურია წაკითხულის გააზრების თანამშრომლობითი მეთოდით სწავლება საგნობრივი სპეციფიკური ტექსტების შემთხვევაში. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს კითხვის კონკრეტული სტრატეგიის მაგალითს, უხსნის, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ის, შემდეგ პყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად და ეხმარება მათ, ჯგუფურ მუშაობაში გამოიყენონ ეს სტრატეგია.

კვლევებით დადასტურებულია, რომ წაკითხულის გააზრების სწავლება უკვე პირველი კლასიდან, კითხვის სწავლების პარალელურად უნდა დაიწყოს. აბრი იმის შესახებ, რომ მოსწავლეები ჯერ კითხვას ისწავლიან და შემდგომში ისწავლიან, როგორ გაიაზრონ წაკითხული, მცდარია.

პირების ხელშეკრულების სტანდარტი

კვლევებმა დაადასტურა, რომ კითხვა ინტერაქტიული და სოციალური პროცესია. კითხვისას პარტნიორის არსებობა სასარგებლობა მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებისათვის. ამიტომაც კითხვის სწავლების პროცესში ხშირად იყენებენ ხმამაღლა კითხვის ტექნიკას, ამბის მოყოლის ტექნიკას.

სტანდარტი 1

ხმამაღლა კითხვა (ამბის მოყოლა)

მიზანი: ტექსტის შესწავლის გარეშე ამბის მოსმენისაგან სიამოვნების მიღება.
ხელს უწყობს ენის სტრუქტურის და კითხვის პროცესის გააზრებას.
პროცედურა: კლასის შეკრება და ხმამაღლა კითხვა.

„ძვირფასი დრო“ (ანუ „მიატოვე ყველაფერი და იკითხე“)

მიზანი: გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძღვათ დრო, იკითხონ მათ მიერ შერჩეული ტექსტები.

პროცედურა:

ა. ყველა, მასწავლებლის ჩათვლით, კითხულობს;

ბ. არავითარი ჩარევა!

სუსტი მხარეები: „ძვირფასი დროის“ დადგომამდე საჭიროა დროის გამონახვა იმისათვის, რომ შეირჩეს წიგნები (საკლასო ბიბლიოთეკის დახმარებით).

საკითხავი მასალის განაწილება („დიდი წიგნი”)

მიზანი: კოოპერაციული სწავლება

პროცედურა:

- ა. წიგნის გარშემო შემოკრება (ეკრანზე ჩვენება იმ შემთხვევაში, თუ დიდი წიგნის მოძიება შეუძლებელია);
 - ბ. ავტორის, წიგნის თავფურცლის, გამომცემლის, საავტორო უფლების შესახებ საუბარი;
 - გ. მოსწავლეები ერთობლივად კითხულობენ მოთხოვნას;
 - დ. მსჯელობენ პუნქტუაციასთან დაკავშირებით.
- ძლიერი მხარე: კლასი ერთად სწავლობს და იღებს ინფორმაციას წიგნის (წიგნების) შესახებ.
- სუბტილურობა:** შეიძლება გართულდეს მოსწავლეთა ქცევის მართვა.

წყვილებში კითხვა

მიზანი: გამოცდილი მკითხველის მიერ სუსტი მკითხველისათვის დახმარების გაწევა

პროცედურა:

ერთდროულად, ხმამაღლა კითხვა

ან

შენაცვლებით კითხვა: პირველი მკითხველი კითხულობს რაიმე ნაწყვეტს, ხოლო მეორე აგრძელებს კითხვას იქიდან, სადაც პირველი მკითხველი გაჩერდა.

ძლიერი მხარჯ: სოციალიზაცია.

სუსტი მხარჯ: გამოცდილმა მკითხველმა, შესაძლოა, დაჯაბნოს სუსტი მკითხველი. სასურველია, რადიკალური განსხვავება მათ შორის არ იყოს.

მეგობრული კითხვა

მიზანი: ორი, ერთნაიარი სიძლიერის მკითხველისთვის უკეთესი შედეგების მიღწევაში ხელშეწყობა.

პროცედურა: იგივე, რაც წყვილებში კითხვის შემთხვევაში.

სუჟატებია 2

ორიენტირებული კითხვის და აზროვნების აქტივობა

მიზანი: ეს სტრატეგია გამოიყენება იმისათვის, რომ დაეხმაროთ მოსწავლეებს:

1. განსაზღვრონ კითხვის დანიშნულება;
2. ტექსტის კითხვისას გამოიყენონ წინასწარ განჭვრეტა;
3. წაკითხულებები დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილებები.

დასაბუთება: რაც უფრო მეტ სტრატეგიას გამოიმუშავებენ მოსწავლეები კითხვისას, მით უფრო კარგ დამოუკიდებელ მკითხველებად ჩამოყალიბდებიან ისინი.

პროცედურა:

1. მიეცით მოსწავლეებს მითითება, წაიკითხონ მოთხრობის სათაური და გამოათქმევინეთ აზრი იმის შესახებ, თუ რას შეიძლება ეხებოდეს ეს მოთხრობა. ჩამოწერეთ მათი პასუხები დაფაზე;
2. წაიკითხეთ მოთხრობის პირველი ნაწილი. პკითხეთ მოსწავლეებს, თუ რამდენად გამართლდა, უარყოფილი იქნა ან შეიცვალა მათი ვარაუდი, „წინასწარმეტყველება“. იმ მოსწავლეებს, რომლებმაც გამოთქვეს ვარაუდები მოთხრობის შინაარსთან დაკავშირებით, შეუძლიათ, შეცვალონ თავიანთი პასუხები;
3. შემდეგ ეტაპზე არ გადახვიდეთ მანამ, სანამ მთლიანად კლასი არ დაამთავრებს კითხვას (გზადაგზა შეწყვიტეთ კითხვა და გამოათქმევინეთ მოსწავლეებს ვარაუდები);
4. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, ახსნან თავიანთი „წინასწარმეტყველები“ ხმამაღლა მსჯელობის საშუალებით.

ძლიერი მხარე:

1. სტრატეგია ხელს უწყობს კრიტიკული კითხვის უნარის განვითარებას;
2. ასევე ხელს უწყობს წაკითხულის გააზრების უნარის ჩამოყალიბებას.

სუჟეტი მხარე:

1. სტრატეგია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეებს არა აქვთ წაკითხული და მოსმენილი ის ტექსტი, რომელიც გამოიყენება ამ აქტივობისას;
2. შესაძლოა, გაჭირდეს კლასის მართვა.

სუჟატებია 3

ნიშნების დასმა

მიზანი: კითხვის პროცესში სიმბოლოების გამოყენება ინფორმაციის კატეგორიზაციის მიზნით.

დასაბუთება: მოსწავლეების დახმარება, რათა ისინი უფრო ეფექტური მკითხველები გახდნენ.

პროცედურა: ტექსტის კითხვისას გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სიმბოლოები იმის აღსაწერად, რაც წაიკითხეთ. სიმბოლოების ჩასმისას იხმარეთ მხოლოდ ფანქარი!

*შევიძლიათ, გამოიყენოთ სხვა, თქვენთვის უფრო მოსახერხებელი სიმბოლოები

ვიცოდი = +

ასე არ ვფიქრობ = -

შევიძინე ახალი ინფორმაცია = ++

უნდა დავიმახსოვრო = !

კარგად ვერ გავიგე = ?

გაუგებარია = ??

ნამდვილად დავიმახსოვრებ = !!

ძლიერი მხარე:

მოსწავლეს ეხმარება, შეძლოს, ახლად წაკითხული ინფორმაციის კატეგორიზაცია.

სუსტი მხარე:

კლასში ქცევის წესები, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ეკრძალებათ, ნიშნები დასვან სკოლის ან ბიბლიოთეკის წიგნებში. ამიტომ სასურველია, ტექსტი ამობეჭდილი იყოს.

სუჟატებია 4

მოაზროვნები

მიზანი: მოსწავლეს ეს სტრატეგია ეხმარება, განივითაროს წაკითხულის გააზრების უნარი.

დასაბუთება: მოსწავლისთვის გასაგები იქნება, თუ რას კითხულობს და როგორ უწყობს ეს ხელს წაკითხულის გააზრების პროცესებს.

პროცედურები:

1. კითხვის პროცესში, იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეთათვის ტექსტი გასაგებია, ტექსტის გასწროვ, წიგნის არშიაზე, დასვით ნიშანი „+“, ხოლო თუ გაუგებარია, მაშინ ნიშანი „?“.

2. როდესაც კითხვა დასრულდება, აუხსენით მოსწავლეებს ის, რაც ახლახან წაიკითხეს. თუ მოსწავლეებმა ვერ გაიგეს, სთხოვეთ, შეცდონ, ახსნან, რაფომ ვერ გაიგეს. დაეხმარეთ ტექსტის გაუგებარი ნაწილის გააზრებაში.

ძლიერი მხარე:

მოსწავლეებს დაეხმარება იმის გააზრებაში, თუ სად „დაიბნენ“.

სუბტილური მხარე:

ამ სტრატეგიით მუშაობას დიდი დრო სჭირდება.

სასწავლო ჟურნალი

მიზანი: იმ ინფორმაციის აღწესევა, რაც მოსწავლეებმა შეისწავლეს. სწავლების შესახებ მოსაზრებებისა და შეკითხვების აღწესევა.

დასაბუთება: თავიანთი მოსამრებების ჩაწერით, მოსწავლეებს ექმნებათ შესაძლებლობა საკითხავი მასალა სხვადასხვა რაკურსით დაინახონ.

პროცედურა:

1. სწავლის დაწყებისას დაავალეთ მოსწავლეებს, შექმნან სასწავლო ეროვნალები;
 2. ერნალში დაგეგმეთ შემდეგი აქტივობები:
 - * შენიშვნების ჩაწერა
 - * დიაგრამების დახატვა
 3. შეამოწმეთ ჩანაწერები. უპასუხეთ კითხვებს და ახსენით ის, რაც გაუგებარია.

ძლიერი მხარე: მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, თუ რა წაიკითხეს.

Եշեցո թեարշ: Ֆյեսածլուա, գրուուս տզալսաթրուուտ առամոմցյեծնու օյու, րազգան սակուրու կյարնալու պաշտաման հանաწյուռի քածշեւու զաբաժանաւուա.

ტექსტის ჩარჩოები

მიზანი: ტექსტის სტრუქტურაზე მუშაობა წაკითხულის გააზრების მიზნით.

დასაბუთება: მოსწავლეები აღიქვამენ ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის კავშირს და ხედავენ ტექსტის სტრუქტურას, რის შედეგადაც მათი გააზრების პროცესები უფრო გაუმჯობესებულია და მათ შეუძლიათ გარკვეული დასკვნების გამოტანა.

პროცედურა:

1. დაავალეთ მოსწავლეებს, აიდონ ფურცელი და გაყონ ის სამ ნაწილად;
2. ფურცლის თითოეულ ნაწილში ჩახატონ ნახატები ტექსტის დასაწყისთან, შეა ნაწილთან და ბოლოსთან დაკავშირებით;
3. ამის შემდგომ თითოეული ნახატის შესახებ მათ უნდა მოიფიქრონ და დაწერონ წინადადებები ამ ნახატების ასახსნელად;
4. ბოლოს მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ აბრს ტექსტის სტრუქტურული ნაწილების შესახებ.

ძლიერი მხარე: მოსწავლეები მეტ პრაქტიკას იღებენ ტექსტის დასაწყისის, შეა ნაწილის და ბოლოს იდენტიფიცირებაში.

ტექსტის ანალიზის მეთოდები


მიზანი: ტექსტის სტრუქტურაზე მუშაობა წაკითხულის გააზრების უნარის განვითარების მიზნით.

დასაბუთება: ტექსტის სტრუქტურასა და მის ცალკეულ ნაწილებს შორის მიმართების დადგენით მოსწავლეებს უვითარდებათ წაკითხულის გააზრების უნარი.

წარმოგიდგენთ ტექსტის ანალიზის ხუთ მეთოდს:

1. ტექსტის გეგმის განხილვა (დასაწყისი, შეა ნაწილი, დასასრული);
2. ტექსტის მთავარი გმირების დაჯგუფება მათი თავისებურებების მიხედვით;
3. „ვენის დიაგრამა” გააზრებულობის განსავითარებლად

„ვენის დიაგრამა” ასახავს ყველა შესაძლო მათემატიკურ და ლოგიკურ მიმართებას თრ სიმრავლეს (ჯგუფსა თუ საგანს) მორის. ის, როგორც წესი, გამოისახება თრი ან მეტი ურთიერთგადამკვეთი წრით. წრების თანაკვეთა ასახავს იმ მახასიათებლებს, რომელიც საერთო აქვს მოსულ სიმრავლეებს თუ საგანთა ჯგუფებს. იმ შემთხვევაში, თუ ხდება სამზე მეტი სიმრავლის შედარება, ვენის დიაგრამაში შეიძლება გამოყენებულ იქნას წრისაგან განსხვავებული სხვა ფიგურების.



კითხვის სწავლების პროცესში „ვენის დიაგრამა”, ძირითადად, გამოიყენება სხვადასხვა ხასიათის ტექსტების – მხატვრული თუ საინჟორმაციო – ანალიზისათვის; მხატვრულ ტექსტებში პერსონაჟთა მორის განსხვავებისა თუ მსგავსების დასაღვენად, საინჟორმაციო ტექსტებში – ტექსტის ცალკეულ ნაწილებს მორის მიმართების გასააზრებლად, ცნებებს, ფაქტებსა და მოვლენებს მორის მიზეზ შედეგობრივი კავშირების დასაღვენად. კრაფიკული გამოსახვა ებმარება მოსწავლეებს აზრის ჩამოყალიბებაში. ვენის დიაგრამა ხელს უწყობს მათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი კითხვის პროცესში და აძლევს შესაძლებლობას, ჩამოყალიბონ საკუთარი ამრი იმის შესახებ, რა განსხვავება და მსგავსებაა ამა თუ იმ ცნებასა ან მოვლენას მორის.


„ვენის დიაგრამის” გამოყენების ყველაზე მარტივი გზაა: მასწავლებელი პირველ რიგში ირჩევს თემას, შემდეგ თრ მოსწავლეს ავალებს ვენის დიაგრამის შექსებას თრ განსხვავებულ საკითხები: თანაკვეთაში ისინი ჩაწერენ იმ თვისებებს, რომლებიც საერთო აქვს ამ თრ საკითხს, ხოლო წრის დანარჩენ აღვიდებში იმ თვისებებს, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განასხვავება.

რამდენიმე კითხვა, რომელიც დაემარტება მოსწავლეებს დიაგრამის შექსებაში:

- რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რაზ, რაც ახასიათებს ამ პერსონაჟს (ან ხაკოთხს)?
- რა არის ის, რაც საერთო აქვთ ამ პერსონაჟებს (ან საკითხებს)?
- რა არის ის, რაც განასხვავებს ერთმანეთისგან ამ პერსონაჟებს ან საკითხებს, თუმცა?

4. სოციოგრამის გამოყენება მთავარ გმირებს შორის დამოკიდებულებების გასაანალიზებლად

სოციოგრამა სოციალური ურთიერთობების გრაფიკული წარმოდგენაა. ეს მეთოდი შემუშავებულია მეცნიერის, ჯაკობ მორენოს მიერ და გამოიყენება ჯგუფში ურთიერთობების გასაანალიზებლად. სოციოგრამა შეიძლება აიგოს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება დაწერონ პასუხი კითხვაზე: თანაკლასელთაგან ვისთან ერთად გაატარებდი ბაზეულის არღადებებს? ან ვისთან ერთად ისურვებდი პრეზენტაციის მომზადებას? და ა.შ. რაც საშუალებას მოგემო ააგოთ ამგვარი სოციოგრამა.



ცხადია, სოციოგრამა შეიძლება აიგოს ლიტერატურულ პერსონაჟთა ურთიერთობების გასაანალიზებლად, რაც ხელს შეუწყობს წაკითხულის უკეთ გაატრებას.

5. თემების გამოყოფა ტექსტის მრავალი კუთხით შესწავლის მიზნით;
ძლიერი მხარე: მოსწავლეს ებმარება, შეისწავლოს მოთხოვნის სხვადასხვა კომპონენტი.

სასწავლო ტესტი

მიზანი: ეს ის სტრატეგიაა, რომელიც გვეხმარება დავადგინოთ, თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა კითხვის დონე საკითხავად შერჩეულ მასალას. ასევე შესაძლოა, ის გამოყენებული იქნას, როგორც ტესტი შესასწავლი მასალის გააზრების შესაფასებლად.

დასაბუთება: თუ კი მოსწავლეები შეავსებენ ტესტს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული ტექსტი შეესაბამება მათ ასაკობრივ შესაძლებლობებსა და კითხვის დონეს.

პროცედურა:

1. სახელმძღვანელოდან ან საკითხავი წიგნიდან ამოარჩიეთ რაიმე პასაჟი;
2. გადაბეჭდეთ ეს პასაჟი. პირველი წინადადება დატოვეთ ისე, როგორც ეს მოცემულია ტექსტში. ხოლო შემდეგ ყოველი მეხუთე სიტყვის ნაცვლად დატოვეთ ცარიელი ადგილი;
3. მოსწავლეები პირველ რიგში კითხულობენ მოცემულ პასაჟს. ამის შემდეგ გამოიცნობენ, რა სიტყვები უნდა იყოს ცარიელი ადგილების ნაცვლად;
4. შეაფასეთ მათი ნამუშევარი და თითოეულ სწორ პასუხში მიანიჭეთ 1 ქულა;
5. შეადარეთ სწორად გაცემული პასუხების პროცენტული რაოდენობა შემდეგ შკალას:

61% სწორად გაცემული პასუხი - დამოუკიდებელი დონე (თავისუფლად შეუძლია თავის გართმევა)

41 – 60% სწორად გაცემული პასუხი - სასწავლო დონე (საჭიროა დახმარება)

40%-ზე ქვემოთ სწორად გაცემული პასუხი – ჩავარდნა (საჭიროა განსაკუთრებული დახმარება)

ძლიერი მხარე: საჭიროებების შეფასების ალტერნატიული გზა.

სუბი მხარე: საჭიროებს ბევრ ბეჭდვას.

მკითხველების თეატრი

მიზანი:

1. ტექსტის კითხვაში ბევრი მოსწავლის ერთად ჩართვა.
2. მოსწავლეებისთვის ტექსტის ინტერპრეტაციაში დახმარების გაწევა უშუალოდ ინფორმაციის მიღების პროცესში.

დახასაძლება: რაც უფრო ჩართულები არიან მოსწავლეები ტექსტის კითხვაში, მით უფრო უვითარდებათ მათ გააზრების უნარი. ასევე ძალიან კარგია, გაუჩინოთ მოსწავლეებს მოტივაცია, ბევრი იკითხონ, რათა კითხვისგან მიიღონ სიამოვნება.

პროცედურა:

1. სცენარისთვის აირჩიეთ მოთხრობა. მიეცით მოსწავლეებს თავისუფლება, აირჩიონ როლები;
2. ჩაატარეთ რეპეტიცია. მოსწავლეებმა თავად გადაწყვიფონ, როგორ გამოიყენონ თავიანთი ხმა, ჟესტები და მიმიკები იმისათვის, რომ შექმნან მათ მიერ არჩეული გმირის სახე;
3. დადგით სპექტაკლი ან კლასში, ან აუდიტორიის წინაშე.

ძლიერი მხარე:

1. მოსწავლეებს ეხმარება, უკეთ გაიაზრონ მოთხრობის გმირების თავისებურებები და მათ გარშემო არსებული სიტუაციები;
2. გასართობია, რაც მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ!

სუბტილური მხარე: დროისა და ქცევის მართვა.

ერთობლივი კითხვა

მიზანი: მოსწავლეები ხდებიან პოეტური გამოცდილების, მხატვრული კითხვის აქტიური მონაწილეები. ასევე ხელს უწყობს თავისუფლად კითხვის უნარის ჩამოყალიბებას.

დასაბუთება: თავისუფლად კითხვის უნარის მქონე მოსწავლეებს უკეთესად შეუძლიათ იმ ტექსტის გააბრება, რომელსაც კითხულობენ.

გეგმა:

1. ექო-მკითხველი: ლიდერი კითხულობს თითოეულ სტრიქონს, ხოლო ჯგუფი იმეორებს იმ სტრიქონს, რომელიც ლიდერმა წაიკითხა;

2. ლიდერი და ერთობლივი კითხვა: ლიდერი კითხულობს ლექსის ძირითად ნაწილს, ხოლო ჯგუფი უნისონში კითხულობს რეფრენს;

3. კითხვა მცირე ჯგუფში: კლასი იყოფა ორ ან უფრო მეტ ჯგუფად და თითოეული ჯგუფი კითხულობს ლექსის ერთ-ერთ ნაწილს;

4. კუმულაციური კითხვა: ერთი მოსწავლე კითხულობს პირველ სტრიქონს ან სტროფს, ხოლო შემდეგ სხვა მოსწავლე / ჯგუფი უერთდება.

პროცედურა:

1. ამოარჩიეთ ლექსი და მოამზადეთ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური ვარიანტები;

2. იმუშავეთ მოსწავლეებთან ერთად იმ გადაწყვეტილების მიღებაზე, თუ როგორ უნდა დაიყოს ლექსი საკითხავად;

3. მოსწავლეებთან ერთად წაიკითხეთ რამდენჯერმე. მოსწავლეებს მიაქცევინეთ ყურადღება იმაზე, რომ სიტყვები გამოთქვან მკაფიოდ და იკითხონ გამოთქმით.

ძლიერი მხარე: მოსწავლეს ეხმარება განივითაროს, მაგალითად, რიგმის გრძნობა.

კითხვის წინასწარი გეგმა

მიზანი: კითხვის დაწყებამდე მოსწავლეების ცოდნის დიაგნოსტირება ანუ შემოწმება და განსაზღვრა და, შესაბამისად, მათთვის საჭირო ცოდნის მიცემა, რაც მოსწავლეებს მოამზადებს იმისათვის, რომ გაიაზრონ, რის წაკითხვას აპირებენ ისინი.

დასაბუთება: ამგვარი დიაგნოსტიკური და სასწავლო პროცედურები გამოიყენება მაშინ, როცა მოსწავლეები კითხულობენ საინფორმაციო ხასიათის ტექსტს და კლასგარემე საკითხავ ლიტერატურას.

პროცედურა:

1. მოსწავლეებს შესთავაზეთ ძირითადი იდეა ერთი სიტყვის, ფრაზის ან რაიმე სურათის სახით იმისათვის, რომ მოახერხოთ დისკუსიის წარმართვის ინიცირება;

2. მოსთხოვეთ მოსწავლეებს, გამოთქვან მოსაზრებები შეთავაზებულ საკითხთან დაკავშირებით და წარმოადგინონ ისინი სქემის სახით. დაეხმარეთ მათ, დააკავშირონ ერთმანეთთან გამოთქმული მოსაზრებები;

3. წარმოადგინეთ დამატებითი სიტყვები და სცადეთ, გაარკვიოთ ყველა ის გაუგებრობა, რაც წარმოიშვა;

4. დაავალეთ მოსწავლეებს, დახატონ ნახატები და/ან დაწერონ კომენტარები შეთავაზებულ საკითხთან დაკავშირებით, სადაც გამოიყენებენ წარმოდგენილი მოსაზრებების ჩამონათვალს;

5. დაავალეთ მოსწავლეებს, ერთმანეთს გაუზიარონ მათ მიერ მომზადებული კომენტარები იმისათვის, რომ დახვეწონ საკუთარი კომენტარი.

ძლიერი მხარე: ებმარება მოსწავლეს, შეისწავლოს ის საკითხი, რომელსაც გაკვეთილი ეხება.

სუბტილური მხარე: კლასის მართვა.

ორიენტირებული მოსმენის და აზროვნების აქტივობა

მიზანი: ორიენტირებული მოსმენის და აზროვნების აქტივობა გამოიყენება მოსწავლეთა ჩასაბმელად ისეთი ტექსტის კითხვაში, რომელიც აღემატება მათ დამოუკიდებელ და/ან სასწავლო კითხვის დონეს. ეს სტრატეგია გამოიყენება იმისათვის, რომ მოსწავლემ:

1. განსაზღვროს კითხვის მიზანი;
2. ამოიცნოს, გაიაზროს და გააცნობიეროს ინფორმაცია;
3. კითხვის მიზანზე დაყრდნობით შეისწავლოს საკითხავი მასალა;
4. შეაფასოს მიღებული ინფორმაცია;
5. საკითხავი მასალიდან ამოკრებილი ინფორმაციის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებები.

დასაბუთება: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან ტექსტის კითხვაში, მათი დამოუკიდებლობა იზრდება და მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გააკონტროლონ და შეამოწმონ საკუთარი ქცევა, როგორც მკითხველებმა, რაც ხელს შეუწყობს იმ ტექსტის გააზრებას, რომელსაც კითხულობენ.

პროცედურა:

1. მასწავლებელი მოსწავლეს უკითხავს მოთხრობის სათაურს და სიხოვს მას, გამოთქვას ვარაუდი, თუ რას შეიძლება ეხებოდეს ეს მოთხრობა. მოსწავლე მის მიერ გამოთქმულ ვარაუდს ჩაწერს სქემაში ან დაფაზე;
2. მასწავლებელი კითხულობს მოთხრობის პირველ აბზაცს ან პირველ ნაწილს და უხსენის მოსწავლეებს, გამართლდა, უარყოფილი იქნა თუ შეიცვალა მათი ვარაუდი. შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს, შეიცვალეს თუ არა ამასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრება;
3. მასწავლებელი აგრძელებს მოთხრობის კითხვას იმავე პრინციპით - 1. ვარაუდები, 2. კითხვის გაგრძელება, 3. მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებზე რეაგირება;
4. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს ლექსიკური მარაგის განვითარებას. მოსწავლეებს მოეთხოვებათ, ყურადღება გაამახვილონ იმ სიტყვებსა და ფრაზებზე, რომლებიც მათთვის გაუგებარია.

ძლიერი მხარე:

1. ადრეული ასაკიდანვე ავითარებს კრიტიკულად კითხვის უნარს;
2. მოსწავლეს ეხმარება, განივითაროს წაკითხულის გააზრების პროცესებზე ფიქრის უნარი.
3. მოსწავლეს რთავს ისეთი ტექსტების კითხვის პროცესში, რომლებიც საკმაოდ რთულია მის შესაძლებლობებთან შედარებით.


სუსტი მხარე:

1. ის მოსწავლეები, რომლებსაც უავავ წაკითხული ან მოსმენილი აქვთ ეს ტექსტი, ეფექტურად ვეღარ ერთვებიან კითხვის პროცესში;
2. კლასის მართვა, შესაძლოა, პრობლემური გახდეს.

ԸՆԿԻՐՈ 2

Ի՞նչո՞ւ վասնավոր կլուի՞զա?

Արայիջոյշող ռჩեզեծո մժոծլյածօսատզօս



კითხვის სწავლება რთული პროცესია, რომელიც დიდი დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. მშობლები არიან ბავშვების პირველი, და შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვის მასწავლებლები. შესაბამისად, ბავშვობიდანვე მათ ხელშია, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება ბავშვს კითხვისადმი. ბავშვები ჯერ სწავლობენ კითხვას და შემდეგ კითხულობენ იმისათვის, რომ ისწავლონ. მოუცლელობის მიუხედავად, მეტად მნიშვნელოვანია, მშობელმა ბავშვს დაუთმოს სულ მცირეოდენი დრო (30 წუთი მაინც) კითხვის უნარის განვითარებისათვის. ამავე დროს, კითხვა ბავშვისათვის სახალისო უნდა იყოს. მან არასოდეს უნდა იგრძნოს თავი დაძაბულად, ან ზეწოლის ქვეშ. მას არ უნდა ჰქონდეს წარუმატებლობის განცდა, რაც შემდგომში კითხვაზე უარის თქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება გახდეს.

ეს რეკომენდაციები დაეხმარება პედაგოგებს, **რჩევები მიხცენ მშობლებს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ ბავშვის კითხვის უნარის განვითარების ხელშესაწყობად.** აღწერილი აქტივობები სასარგებლო იქნება მშობლებისათვის, მოამზადონ ბავშვი კითხვისათვის, შეაყვარონ ბავშვს კითხვა და დაეხმარონ მას კითხვის სწავლაში.

ბავშვისათვის განკუთვნილი აქტივობები გაერთიანებულია 12 კომპონენტში, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გამოიყენონ მშობლებმა. 1-5 კომპონენტი მოიცავს აქტივობებს, რომელთა გამოყენება შეიძლება წინასასკოლო ასაკის მცირეწლოვან ბავშვთან. ხოლო აქტივობები, რომელიც განხილულია 6-12 კომპონენტში, ძირითადად უნდა იქნეს გამოყენებული დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან, რომლებიც სკოლაში სწავლობენ კითხვას.

საოცამი ასაკი

1 კომპონენტი: მიმართული მეტყველების მოსმენა

მოსმენა ლაპარაკის წინაპირობაა. ბავშვები ისმენენ ლაპარაკს, სანამ ლაპრაკს დაიწყებენ, სწავლობენ შეკითხვების დასმას, იგებენ სიტყვების მნიშვნელობას. მოსმენისა და ლაპარაკის გამოცდილებით ბავშვები ემზადებიან კითხვის სასწავლად.

ლაპარაკი და მოსმენა

- ▶ ხშირად ელაპარაკეთ და უმდერეთ ბავშვს ჩვილობის ასაქში;
- ▶ 3 წლამდე ბავშვს მოკლე და მარტივი წინადაღებებით ესაუბრეთ, ხოლო მოგვიანებით მასთან საუბრისას უფრო ვრცელი და რთული წინადაღები გამოიყენეთ. მაგ. ჯერ “მომიტანე წიგნი”, მოგვიანებით: “თუ არ შეწებდები, შენი საყვარელი ბლაპრების წიგნი მომიტანე. ის შენს თოახში თარობე დევს”.
- ▶ დაუსვით ბავშვს ისეთი შეკითხვები, რომლებიც მოითხოვს ვრცელ პასუხებს და არა მხოლოდ “კი” და “არა”-ს.
- ▶ ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვს, როცა ისინი გესაუბრებიან. უპასუხეთ მათ შეკითხვებს, დრო დაუთმეთ მათ.
- ▶ ასწავლეთ ბავშვს სახალისო ლექსები და მოთხრობები.
- ▶ ეთამაშეთ ბავშვს ისეთი თამაშები, რომლებიც მათგან ყურადღებას, საუბარს და მითითებების გაგებას მოითხოვს.

იკითხეთ ხმამაღლა

- ▶ ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს, დაუჯექით გვერდით თქვენს შვილს და ხმამაღლა წაუკითხეთ;
- ▶ იმდენი ხნის განმავლობაში იკითხეთ მოთხრობები, სანამ ბავშვი გისმენთ. თუ დაიღალა, შეწყვიტეთ კითხვა და უთხარით, როდის გააგრძელებთ.
- ▶ წაუკითხეთ ბავშვს მოთხრობა და სთხოვეთ, ეს მოთხრობა მოგიყვეთ;
- ▶ დაათვალიერებინეთ ბავშვს სიუკეთერი სურათები და საშუალება მიეცით, შეთხბას და მოყვეს მოთხრობა.

სხვა აქტივობები

- ➡ ბავშვთან ერთად სეირნობისას ესაუბრეთ, თუ რას ხედავთ, რა გესმით, რა ხდება თქვენს გარშემო (მაგ. ფოთლები შრიალებს, წვიმა მოღის. ბიჭი მირბის, ბავშვი ბურთს თამაშობს და ა.შ.)
- ➡ გაასეირეთ ბავშვები ზოოპარკში, წაიყვანეთ მუზეუმში და ისტორიული ადგილების სანახავად; აჩვენეთ საინტერესო ადგილები;
- ➡ დაუხატეთ ბავშვს და რიგრიგობით მოყევით ამ ნახატების მიხედვით ზღაპრები.

კომპონენტი 2: ნებიღობითი ენის გაცნობიერება.

სასაუბრო ენას წერითი ენა ცვლის. წარწერები გვხვდება ყველგან – მაღაზიაში, გასართობ ადგილებში, იარლიყებზე, კომპიუტერის ეკრანზე, წიგნში, ტელევიზორში, ქურნალებში და ა.შ. ბავშვები ხვდებიან, რომ წერა მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში და გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის.

- ➡ აჩვენეთ ბავშვებს, რომ ყოველდღე კითხულობთ გამოთხოვთ, ქურნალს ან წიგნს. ასე ისინი დარწმუნდებიან, რომ კითხვა მნიშვნელოვანია.
- ➡ ბავშვებს უნდა პქონდეთ საბავშვო წიგნები და სხვა ნაბეჭდი მასალა;
- ➡ როცა სახლისკენ ერთად მოსეირნობთ, ხმამაღლა წაიკითხეთ ხოლმე მაღაზიების სახელწოდებები და ყველა წარწერა, რასაც გმაში შეხვდებით;
- ➡ ბავშვებს მიეცით საწერი საშუალებები: დაფა და ცარცი, მარკერი და დაფა, ფანჯრები და ფურცლები და ა.შ.
- ➡ დაბადების დღეებზე და განსაკუთრებულ დღეებში აჩუქეთ წიგნები.

კომპონენტი 3: წიგნის კითხვის ლიჩებულების გაგება.

როდესაც ბავშვებს წიგნს ხმამაღლა უკითხავენ, ისინი ხვდებიან, თუ რაფომაა კითხვა მნიშვნელოვანი. ისინი კარგად იგებენ, რომ წიგნებიდან შეიძლება საინტერსო ამბები გაიგო, ახალი რამ ისწავლო, გაერთო და ა.შ.

როცა ბავშვს წიგნებს უკითხავთ, შეგიძლიათ:

- ➡ დააჭირინოთ წიგნი და გადააშლევინოთ გვერდები;
- ➡ ესაუბროთ, რომ წიგნი სხვადასხვა ნაწილებისგან შედგება: მაგ. სათაური, პირველი გვერდი, ბოლო გვერდი და ა.შ.
- ➡ წაუკითხოთ ნელა და გამოთქმით;
- ➡ გამოყოთ სიტყვები კითხვისას და ბავშვს უჩვენოთ, რომ სიტყვებს შორის დაშორებებია, რომ თქვენ ზემოდან ქვემოთ კითხულობთ, და მარცხნიდან მარჯვნივ.
- ➡ წაახალისოთ ბავშვი, დასვას კითხვები წაკითხულის შესახებ;
- ➡ ისაუბროთ მოთხოვთ აბაზურაბაშვი და დააკავშიროთ აღწერილი მოვლენები ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან;
- ➡ წაიყვანოთ ბავშვი ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიაში და თავად აარჩევინოთ წიგნები;
- ➡ ხმამაღლა წაუკითხოთ თქვენს შვილებს მაშინაც კი, როცა მათ თავად იციან კითხვა.

კომპონენტი 4: თონილობის ცნობიერება

ბავშვები სწავლობენ, რომ წინადაღებები სიტყვებისგან შედგება, ხოლო სიტყვები – ბგერებისგან. სწავლობენ, რომ სიტყვები ბგერებად შეიძლება დაიყოს (ხმოვნების მიხედვით) „მაგ. „კა-ლა-თა”, და ა.შ. მოგვიანებით ბავშვები აკავშირებენ ბგერებს და ადგენენ სიტყვებს. ბავშვების უმრავლესობას ბევრი ვარჯიში სჭირდება ამ ბგერების გამოყოფაზე.

- ▶ ასწავლეთ ბავშვს, გამოიცნონ სიტყვების პირველი ასოები;
- ▶ ათამაშეთ ბავშვი ბგერებით ისე, რომ სხვადასხვა სიტყვა მიიღონ.
(მაგ. რა მოხდება ჭ-ს რომ იქა დავუმატოთ? ბა-ს რომ ლი დავუმატოთ, ან ბან-ს რომ ანი დავუმატოთ?);
- ▶ დაუსახელეთ სიტყვები, რომელთაგან ზოგი ერთსა და იმავე ასოზე იწყება და ზოგი სხვა ასოზე. ბავშვმა უნდა გამოყოს ერთსა და იმავე ასოზე დაწყებული სიტყვები.
- ▶ ასწავლეთ ბავშვს სიტყვების გარითმვა. ჯერ გამოიყენეთ ყოველდღიური საოჯახო ნივთები და ნაცნობი სიტყვები, რომლებიც ჟღერენ ერთნაირად, მაგ: პური-ფული, საწოლი-მაწონი, კარი-ბალი და ა.შ.
- ▶ იმდერეთ და იკითხეთ პატარა საბავშვო ლექსები.
- ▶ წარმოთქვით წინადაღება და ბავშვს ტაში იმდენჯერ დააკვრევინეთ, რამდენი სიტყვაც მოისმინა წინადაღებაში.
- ▶ ამოირჩიეთ რთული სიტყვები, მაგ. ფოთოლცვენა (ფოთოლი და ცვენა). უთხარით, რომ თქვენ მხოლოდ ასეთი სიტყვის ერთ ნაწილს იტყვით. პკითხეთ, რომელი ნაწილი იყო გამოტოვებული. ეს თამაში რამდენჯერმე გაიმეორეთ.
- ▶ დაასახელეთ სიტყვები და სთხოვეთ ბავშვს, იმდენჯერ დაუკრას ტაში, რამდენ მარცვალსაც მოისმენს.

ქომპონენტი 5. ასოების ცნობა

ბავშვებს, რომლებმაც იციან ასოები და ციფრები სკოლაში შესვლისასას, უფრო უაღვილდებათ კითხვა. ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვმა იცოდეს ასოების დასახელება (ანბანი).

- ▶ დაეხმარეთ ბავშვებს, გამოიცნონ ასოები ანბანში, მაგ. ასოებიანი კუბიკებით თამაშის დროს;
- ▶ ითამაშეთ “ანბანობანა” - რიგრიგობით დაასახელეთ საყვარელი საჭმლის პირველი ასოები. შემდეგ დაასახელეთ არჩეულ ასოზე დაწყებული ცხოველის, საგნების ან ადამიანის სახელები, და ა.შ.
- ▶ გამოიყენეთ გამოაჭრევინეთ ასოები და დაალაგებინეთ ანბანის მიხედვით;
- ▶ შემოახატინეთ ბავშვებს უერნალებსა და გამოიყენეთ გამოიყენეთ დაბეჭდილი ასოები და დაასახელებინეთ.

სასამილ ასანი

კომპონენტი 6: ასო-ბგერითი შეთანხმების ცოდნა

ბავშვები სწავლობენ, რომ ნაწერი სიტყვები ასოებისგან შეღვება და ასოები კი გამოითქმის. ბავშვებმა უნდა ისწავლონ ასოებისა და ბგერების სწორად შეთანხმება.

- ▶ გამოთქვით ბგერა და სთხოვეთ ბავშვს, დაწეროს შესაბამისი ასო;
- ▶ ითამაშეთ ბგერებით: ბგერები გააერთიანეთ მარცვლებად და შემდეგ სიტყვებად;
- ▶ ბარათებზე დაწერეთ ასოები და ბავშვს სთხოვეთ, დაასახელოს მისი შესაფყვისი ბგერა (არა ასოს სახელი, არამედ, ბგერა, რომელიც წარმოითქმის);
- ▶ გამოყავით ისეთი სიტყვები, რომელიც იწყება იმავე ასოზე, რომელზეც თქვენი შვილის სახელი;
- ▶ დაწერეთ ასოები ბარათებზე და ერთ ჩანთაში ჩაყარეთ. ბავშვს მიეცით საშუალება, სათითაოდ ამოიღოს ბარათები და წარმოთქვას ბგერები; აიღეთ ფურცელზე დაწერილი რომელიმე ასო და ხელში დამალეთ. ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რომელ ხელშია. შემდეგ უჩვენეთ ფურცელი და სთხოვეთ, დაასახელოს ასო;

კომპონენტი 7: ღერისძიებაში ვაჩიში

ბავშვები დაწერილი სიტყვების დეკოდირების დროს თავიანთ ცოდნას იყენებენ ბეჭედის შესახებ. ისინი სიტყვას კითხულობენ ბეჭედის გაერთიანებით. დეკოდირების ცოდნა საშუალებას აძლევს ბავშვებს, ახალი სიტყვები წაიკითხონ. კარგი მკითხველები სწრაფად ახდენენ დეკოდირებას.

- ▶ აიღეთ ბარათი, რომელგეც წერია სიტყვა, თითო დაადეთ თითო ასოს და გამოთქვით მათი შესაბამისი ბერა, თან თითო ამოძრავეთ მარცხნიდან მარჯვნივ; დაიწყეთ მარტივი სიტყვებით.
- ▶ ბარათებზე დაწერეთ სიტყვები და დამალეთ სახლში. ბავშვი უნდა გაემართოს „განძის“ საძებნელად და იპოვოს ბარათები. შეაერთეთ ბარათებზე დაწერილი სიტყვები და წაიკითხეთ. დააჯილდოვეთ ბავშვი ტკბილეულით.
- ▶ დალუქული ან შეფუთული პროდუქტები აიღეთ და ბავშვს სთხოვეთ, წაიკითხოს ხმამაღლა, რა აწერია პროდუქტს.
- ▶ ჩამოწერილი საყიდლების სია ერთობლივად წაიკითხეთ ხმამაღლა.

კომპონენტი 8: ასოების ჩანება

კითხვის სწავლასთან ერთად, ბავშვები იწყებენ სიტყვების წერას. სიტყვების წერა ეხმარება ბავშვებს კითხვის სწავლაში. დაწყებით კლასებში წერა და კითხვა ერთად ისწავლება. როცა ბავშვები უკეთ კითხულობენ, მათ უფრო დაეხმარებათ ფორმალური მართლწერის გაკვეთილები.

- ▶ ბავშვს შეუძლია ასოებისგან შეადგინოს სიტყვები. უნდა დაიწყოთ მოკლე, მარტივი სიტყვებით. უთხარით ბავშვს სიტყვა, მაგ.: ორმარცვლიანი და მიეცით 7-8 ასო, მან უნდა შეადგინოს სიტყვა;
- ▶ შეუდგინეთ ბავშვს თავსატეხები: დაწერეთ სიტყვები ფურცელზე, გამოჭრით თითოეული ასო და ერთმანეთში აურიეთ. ამ დროს მაგნიტური ასოების გამოყენებაც შეიძლება. შემდეგ სთხოვეთ ბავშვს, შეადგინოს სიტყვა და დაასახელოს თითოეული ასო;
- ▶ წარმოთქვით რომელიმე სიტყვა და სთხოვეთ ბავშვს, გაიმეოროს ეს სიტყვა. შემდეგ დააწერინეთ ეს სიტყვა;
- ▶ გამოყავით მსგავსი კლერადობის სიტყვები. მაგ: მზე და ბზა, კარი-ქარი, ძვალი-ძველი;
- ▶ შემდეგ ბავშვს დაუსახელეთ სიტყვა და სთხოვეთ, დაასახელოს მასთან კლერადობით მიმსგავსებული სხვა სიტყვა;
- ▶ მოუყევით ბავშვს მოთხოვთა და მოაფიქრებინეთ მისთვის სხვა დაბოლოება;
- ▶ ბავშვს დააწერინეთ მადლობის ბარათები და მისაღოცები ახლობლებისთვის.

კომპონენტი 9: მოქნილი კითხვა

ასო-ბგერითი შეთანხმების გაგებასა და დეკოდირებაში ვარჯიშის შემდეგ ბავშვი ცდილობს, მთლიანი სიტყვა წაიკითხოს, წინადადების კითხვისას ის უკვე ცნობს სიტყვებს და მთლიანად კითხულობს. კითხვის ტემპი მატულობს და ბავშვი უკვე ახერხებს ნაცნობი სიტყვების სწრაფად წაკითხვას.

- ▶ თუ ბავშვი ნელა, მარცვალ-მარცვალ კითხულობს, გაამეორებინეთ მთელი წინადადება, სანამ გამართულად არ იტყვის. დაეხმარეთ წინადადებიდან აზრის გამოტანაში.
- ▶ თუ არასწორად კითხულობს რომელიმე სიტყვას, შეაჩერეთ, სწორად თქვით სიტყვა და შემდეგ მას გაამეორებინეთ ეს სიტყვა სწორად. როცა წინადადებას ბოლომდე წაიკითხავს, კიდევ გაამეორებინეთ ეს წინადადება.
- ▶ თუ ბავშვი ძალიან ნელა კითხულობს და კითხვის პროცესი ძალიან ჭიანურდება, სხვა მარტივი ტექსტის წაკითხვა შესთავაზეთ.

სხვა აქტივობები:

- ▶ როცა ბავშვი კითხულობს და თქვენ უსმენთ, ყოველთვის შეაქეთ და წაახალისეთ;
- ▶ გამოაკარით იმ წიგნების ჩამონათვალი, რომელიც თქვენმა შვილმა წაიკითხა;
- ▶ როცა თქვენი შვილი წიგნის ან მოთხრობის კითხვას მორჩება, ურჩიეთ, საკითხავად შესთავაზოს ოჯახის სხვა წევრს ან მეგობარს, იმისათვის, რომ შემდეგ გაუტიაროს თავისი მოსაზრებები.

კომპონენტი 10. ნაკითხურისგან სიამოვნების მიღება

მას შემდეგ, რაც ბავშვები კარგად ისწავლიან კითხვას, ისინი თანდათან უფრო რთულ ტექსტებსა და მოთხრობებს წაიკითხავენ. ბავშვებს უკვე სიამოვნებთ კითხვა, იქნება ეს წიგნი, გაზეთი თუ ჟურნალი. საკითხავი წიგნები ბავშვებს აუცილებლად სახლში უნდა ჰქონდეთ, ამასთან, გოგი წიგნი ადგილი წასაკითხი უნდა იყოს, გოგი კი შედარებით რთული.

- ▶ წაახალისეთ ბავშვები, წიგნები იკითხონ იმ საკითხებზე, რაც მათ აინტერესებთ;
- ▶ წააკითხეთ ბავშვებს თამაშების ინსტუქციები, წამლის ინსტურქციები და ა.შ.
- ▶ უზრუნველყავით სახლში ბავშვისათვის მშვიდი ადგილი, სადაც მას შეეძლება წიგნის წაკითხვა;
- ▶ ოჯახის ყველა წევრმა გამოყავით დრო კითხვისათვის. გამორთეთ ტელევიზორი და შეუდექით კითხვას. ამით უჩვენეთ ბავშვს, რომ კითხვა მნიშვნელოვანია.

კომპონენტი 11: ლექსიურნის გამოიტება

ახალი სიტყვების მნიშვნელობების სწავლა ებმარება ბავშვს უფრო რთული წიგნების წაკითხვასა და უფრო საოცარი ამბების გაგებაში. ახალი სიტყვების მნიშვნელობას ბავშვი იგებს, როცა მათ უკითხავენ, და როცა ის თვითონ კითხულობს. ახალი სიტყვების მნიშვნელობას ბავშვი ასევე გაკევთილზეც სწავლობს.

- ➡ შეურჩიეთ ბავშვს სხვადასხვა საკითხავი მასალა;
- ➡ ესაუბრეთ ბავშვს ყოველდღიურობაზე, რა მოხდა წარსულში, რას გეგმავთ მომავალში, საუბრისას გამოიყენეთ რთული სიტყვები;
- ➡ სთხოვეთ ბავშვს, ჩამოწეროს ახალი სიტყვები, რომელიც ისწავლა;
- ➡ განიხილეთ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში, შეადარეთ მათი მნიშვნელობები. სთხოვეთ ბავშვს, დაასახელოს ამ სიტყვის სინონიმი; შეადგინეთ სიტყვათა ოჯახი, დააჯგუფეთ სიტყვები მნიშვნელობების მიხედვით. დაწერეთ ფურცელზე, შემდეგ გამოჭრით და შეინახეთ;
- ➡ მას შემდეგ, რაც სიტყვების მნიშვნელობას გაიგებს, სთხოვეთ ბავშვს, ამ სიტყვებზე შეადგინოს წინადადებები.

კომპონენტი 12: ნაკითხულის გაზიერება

ბავშვი, რომელიც იგებს წაკითხული სიტყვების მნიშვნელობას, ყვება კიდეც, რა წაკითხა. თუმცა გააბრება მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ სიტყვების წაკითხვას. ის მოიცავს გაგებას, აბროვნებას და ახლის შემეცნებას. რაც უფრო მეტს იგებს ბავშვი წაკითხული წიგნებიდან, მით უფრო უადვილდება კითხვა.

- ▶ როცა ბავშვს წიგნებს უკითხავთ, დაუსვით მას შეკითხვები წიგნის გმირების, ადგილებისა და მოვლენების შესახებ;
- ▶ როცა მოთხოვთ კითხულობს, მოაყოლეთ, თუ რა წაიკითხა.
- ▶ მოაყოლეთ მას წაკითხული თავისი სიტყვებით;
- ▶ განიხილეთ წიგნში წაკითხული ახალი სიტყვები, შეადგინეთ წინადაღებები და დააწერინეთ. გამოაკარით ეს წინადაღებები კედელზე, კარადაზე ან მაცივარზე და სთხოვეთ ბავშვს, სიტუაციურად გამოიყენოს ახალი სიტყვები;
- ▶ კითხვისას წინასწარ ჰქითხეთ ბავშვს, მისი აბრით, როგორ დამთავრდება მოთხოვთა, როგორ გადაიჭრება პრობლემა, რომელიც წიგნშია დასმული.
- ▶ განიხილეთ წაკითხული წიგნები. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის. მოაყოლეთ ბავშვს, რა მოუმოქმედებია იმის მსგავსი, რაც მოთხოვთაში იყო აღწერილი.

ლანგითი 3

როგორ ფასეუბა ნაკითხულის
გააზიაროს?

წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში
გამოყენებული ტესტების ნიმუშები



